

652  
1963



652

Հայաստանի Հանրապետության Ազգային Գրադարան

ՀՀՀՀ

18

19463



ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივი - პოლიტიკური შერწყმული ჟურნალი

საქართველოს მშვიდობის კავშირის აპარის განყოფილების ორბანო

# შ ი ნ ა ა რ ს ი

- ძს. მშავია — ლექსები . . . . . 3
- პ. ლორია — ოლინკა (მოთხრობა) . . . 5
- შ. უზულაძე — ვალენტინა ტერეშკოვას (ლექსი) . . . . . 20
- ს. ჩხარტიშვილი — მხატვარი (ნოველა) 21
- შ. ანანიძე — ციურ დედოფალს (ლექსი) . . . . . 24
- მ. ვარშანიძე — ლექსები . . . . . 25
- ბ. მებრევილი — დიპლომი (მოთხრობა) 29
- ზ. გორბილაძე — ლექსები . . . . . 36
- ა. ჩხანიძე — მიყვარს გაზაფხული (ლექსი) . . . . . 39
- მ. დიბი — ლოდინი (მოთხრობა, ფრანგულიდან თარგმნა
- პ. ჯორბენაძემ) . . . . . 40

## დღეები და აღამიანები

- ნ. მაღაყონია — ბათუმი-ხულო (მგზავრის წერილი) . . . . 45

## მოგონებანი

- ჟ. ნოდარაძე — მოგონებები ივანე ჯავახიშვილზე . . . . . 51

4

1963

ივლინი აგვისტო

კრიტიკა და პუბლიცისტიკა


ვლ. შარაშიძე — რსდმპ ბათუმის კომიტეტი — პარტიის II ყრილობის მონაწილე . . . . .	56
ი. სიხარულიძე — გიორგი შუარ- ტყელელ-მაწუვერელის სადაურობისათვის . . . . .	62
ლიტერატურული კალენდარი	
ზ. გომორიშვილი — კაცობრიობის გაზაფხულის მომღერალი . . . . .	66
ხელოვნება	
დ. პილბე — მაყურებლის ჩანაწერები . . . . .	74
აზარის წარსულიდან	
ბ. სურგულაძე — მევენახეობა-მეღვი- ნეობის ისტორიისათვის აჭარაში . . . . .	77
წიგნის თარო	
ალ. ჩავლეიშვილი — სასარგებლო კრიტიკული ეტიუდები . . . . .	81
საბირა და იუმორი	
ბ. ჩხანიძე — პირველი ექსკურსია . . . . .	86

რედაქტორი, შოთა ქურიძე

სარედაქციო კოლეგია:

ბ. ახვლედიანი, ნ. გვარიშვილი, მ. ვარშანიძე (პ/მგ. შლივანი),

პ. ლორია, ალ. ჩავლეიშვილი, ფრ. ხალვაში.



## ქსენია მჭავიჯიანი


### შენით ვიცანით

მზეს გაუშლია ოქროს მანდილი,  
გულში იხუტებს ზღვასა და ხმელეთს.  
დღე დღევანდელი,  
დღე ხვალინდელი —  
ეჭიბრებიან ფერები ფერებს.  
დაციმციმებენ ნაზად და სანდოდ  
ფერები ღია,  
ფერები მუქი,  
აქედან მოჩანს სავალი ფართო,  
გაციკრებული იმედის შუქით;  
დიდი სიცოცხლის კამკამა ტალღა, —  
ასე გულით რომ ვეტრფიალებით.  
გადაქცეული ყამირი ბაღად,  
აღლევებული ოქროს ყანებით;  
ზეცის ცხრა კარის ერთად გაღება  
და ვარსკვლავების უბით ტარება,  
მზის საზეიმო გამონათება  
და სამშვიდობო აელვარება...  
...პარტიავ, შენ ხარ ჩვენი მიზანი,  
ყველა სიკეთის ჩვენთვის მსურველი,  
დღე დღევანდელი შენით ვიცანით  
და ხვალინდელი დილის სურნელიც.



ხელში მიჭირავს შენი სურათი,  
იმ საარაკო დღეებზე ვფიქრობ...  
ხელში მიჭირავს შენი სურათი  
და ვარსკვლავეთი მიღიმის თითქოს.  
თვალმოხატული შენი მშვენება  
ზღაპრად მოსმენილ ღმერთქალს მაგონებს,  
სითბო მეღვრება გულში ჩქერებად  
და მემატება მკლავში ძაღლონე.  
ვიგონებ წუთებს —

წუთებს საკვირველს  
(თუმცა რა არის დღეს საკვირველი?),  
როცა ღრუბლების კალთა აკრიფე,  
ცაში აიჭერ თეთრი ფრინველი.  
მისდევდა ფრენით ხომალდს ხომალდი  
და გედი არწივს მხარს უტოლებდი,  
ვაჟები ღელვას ველარ მალავდნენ,  
ცას შეჰყურებდნენ გულათრთოლებით...  
ხარ საოცრება ზეცის და მიწის —  
ქალს ვარსკვლავები გყვანან მეგობრად,  
მას, ვინაც შენი ტრფიალით იწვის.  
შენი ღიმილის შუქიც ეყოფა!  
...და შესანახად ველარ ვიმეტებ  
შენს სურათს, ვუცქერ, როგორც ხატებას,  
დავხედავ: გულში სითბო იმატებს,  
შენი ქალობა მემამაყება.



## პარმენ ლორია

### ო ლ ი ნ კ ა

მე მას ვხედავდი, როცა ჩვენი ქუჩით ზანტად და უხალისოდ მიფლატუნობდა. ტანზე მუდამ ძველი, კალთაჩამოგრძელებული, დაკერებული კაბა ეცვა, ფეხზე — ლანჩებაცვენილი ფეხსაცმელი. თავზე გრძელი თავსაფარი ჰქონდა წაკრული, ხან კი უბრალოდ ჩამოფარებული.

ქუჩაში მიმავალი არავის ამჩნევდა, არავის ესალმებოდა, არც არავის შეხედავდა. არც მას აწუხებდა ვინმე მისალმებით. იშვიათად ნაცნობი დედაკაცები თუ შეხვდებოდნენ და მოიკითხავდნენ:

— ოლინკა, რაღა ხარ, შე უბედურო?

ოლინკა შეჩერდებოდა, ბრყვიული თვალებით შეაჩერდებოდა ნაცნობს და შემდეგ ლულულულით ეტყოდა:

— თედორიასთან მივალ, ბეჩა. — ჩამოშვებულ კაბის კალთას შეიწვევდა, თავსაფარს სახეზე მოითარებდა და ისევ წაფლატუნდებოდა.

თედორე ოლინკას ძმა იყო, ერთ-ერთ დაწესებულებაში მსახურობდა და კარგი და პატიოსანი კაცის სახელი ჰქონდა. ოლინკას მეორე ძმაც ჰყავდა, მაგრამ იგი ახლოსაც არ იკარებდა ბუნებისაგან დაჩაგრულ დას, გროშიც არ ემეტებოდა მისთვის, თუმცა საკმაოდ შეძლებული იყო და უცოლ-შვილოდაც დადიოდა. ამიტომ ოლინკა მას ძმად არ თვლიდა და მის სახელსაც არ ახსენებდა ხოლმე.

თედორესაც არ სიამოვნებდა მახინჯი დის ხშირი ვიზიტი. მაშინვე უკმაყოფილება დაეტყობოდა სახეზე, როგორც კი სამსახურში კარებთან ატუხულ ოლინკას დაინახავდა, მაგრამ არ უწყრებოდა, არ უშლიდა მისვ-

ლას, არც გროშების მიცემას ივიწყებდა. ებრალებოდა ბუნებისათვის მო-  
ძულებული და შეურაცხყოფილი და. კარგახანს ფარავდა, არ ამბობდა  
ოლინკას ვინაობას. შემდეგ უადგილოდ ჩათვალა ასეთი საკუთარი  
ოლინკა დად აღიარა.

მართალია, მამით სხვადასხვა, მაგრამ ერთი დედის შვილები ვართ და  
არ დამშვენდება ზურგი შევაქციო და მოვიძულოო, უთხრა ერთგულ დაწესე-  
ბულების თანამშრომლებს, რომლებსაც არც თუ ისე მოსწონდათ მახინჯი  
ქალის თედორესთან ასე ხშირი ვიზიტი.

ამის შემდეგ ოლინკას ყველამ სიბრაღულით დაუწყო ცქერა და და-  
წესებულებაში შესვლასაც აღარ უშლიდნენ.

თავის უბედობას გრძნობდა ოლინკა. იცოდა საკუთარი ჭკუა-გონე-  
ბისა და უნარის ფასი და ამიტომ უფრო გაუბრუნდა ხალხთან ურთიერთ-  
ობას.

ხელსაქმე არ ეხერხებოდა, წერა-კითხვა არ იცოდა, სიტყვა-პასუხი არ  
უვარგოდა. პოდა, ასეთი ადამიანი ვის რაში გამოადგებოდა? თუმცა რა. მე-  
ზობლის ქალები მაინც იყენებდნენ მას. ვინ წყალს აზიდვინებდა, ვინ ეზოს  
ავგვევინებდა, იატაკს არეცხინებდა, ბაღჩას აბარვინებდა, გასამრჯელოდ კი  
სადილს აჭმევდნენ, ან ძველმანებს მიუგდებდნენ.

ამ საშოვართ კმაყოფილი იყო საბრალო ქალი. ნაწყალობევი ლუკმა  
ყოფნიდა, მიგდებული ძველმანებით იმოსებოდა და იოლად გადიოდა თუ  
შიმშილი შეაწუხებდა და მეზობლების ყურადღება მიაკლდებოდა, მაშინ  
გამოვიდოდა გარეთ, მეზობლების გასაგონად იტყოდა, თედორიასთან მიე-  
დივარო, კარს გამოხურავდა და ბაჯბაჯით ქუჩაში გავიდოდა.

ოლინკა ქალაქის გარეუბანში, დედისეულ ქოხში ცხოვრობდა. სხვის  
მოახლესა და ეზო-სახლ-კარის დამლაგებელსა და დამსუფთავებელს საკუ-  
თარი სადგომი დაულაგებელი და ჭუჭყიანი ჰქონდა. თუ ვინმე მადლიანი  
მიაკითხავდა და ეტყოდა, გამოასუფთავე, გოგო, ეს ქოხიო, თორემ თავისიო  
ვერ მოიფიქრებდა. ასე ეტყოდნენ მაშინაც, როცა ჭუჭყიანი ტანსაცმლით  
დაინახავდნენ.

თავისით ოლინკა მარტო თედორესთან წასვლას თუ მოიფიქრებდა,  
ამასაც უკიდურესი გაჭირვება აიძულებდა — ფეხსაცმელი თუ შემოაც-  
ვებოდა, ან ლუკმა პური სანატრელი გაუხდებოდა.

თედორემ იცოდა, რომ ოლინკას უჭირდა, თორემ ისე არ შეაწუხებდა.

ყველასთან უენო და უხმო ქალი ძმასთანაც მუხჯი იყო, მაგრამ თე-  
დორე ისედაც ხვდებოდა, რა უჭირდა მას. იგი მეტისმეტად გულკეთილი  
კაცი იყო, უკანასკნელ ლუკმას არ დაიშურებდა მშვიდობისა და გაჭირვებუ-  
ლისათვის, მაგრამ სწორედ ასეთი ადამიანები არიან ხოლმე ხშირად ხელ-  
ვიწროდ და გაჭირვებულნი. თედორეს თავად სჭიროდა მიხმარება და წა-  
მომგვლეება, ექვსი სული ერთი კაცის შემყურე იყო, მაგრამ ოლინკას სხვა-  
რა გზა ჰქონდა?

პოდა, მიდიოდა ძმასთან. ფრთხილად შეაღებდა კარს და შეიხედდა. თუ თედორე იქ იყო და შეამჩნევდა, გამოვიდოდა და მოიკითხვებდა: თუ არა, მაშინ ოლინკა დაელოდებოდა კარებთან ატუზული, ან ლოდინის გულგაწყალებული ხელს ჩაიქნევდა და უკმაყოფილო ბუტბუტით უკმა გამობრუნდებოდა. მის ოჯახში მისვლას ერიდებოდა, იცოდა, რძლისათვის ვერაფერი სასიამოვნო სტუმარი იქნებოდა, და აღარც აწუხებდა.

ერთხელ ოლინკა თედორესთან ერთად ქუჩაში დავინახე. თავსაფარ-შემოხვეული ოლინკა ბავშვივით სლუკუნ-სლუკუნით მიფლატუნობდა, თედორე კი დაღონებული უკან მიყვებოდა.

— მიწა გასახეთქს, ხედავ, რა ჩაუდენია, ქალო, აგი? — გადაულაპარაკა ჩემს წინ მიმავალმა დედაკაცმა მეორეს და ოლინკას თვალი გააყოლა.

— ჩემი სიკვდილი! — გაიმეორა მეორემ. — ვინ უბედურმა მოიკიდა მაგის ცოდვა ნეტავი?

— რამდენი უნაშუსო და ოხერ-ტიალია, ჩემო დაია! — თქვა პირველმა.

— არა, ქალო, სხვა ვერაფერს ნახა მაინც იმ ღვთისპირიდან შეჩვენებულმა, ვინცხა იყო?

— უი, არ იცი, დაია, შენ. მამაკაცი რომ... — მაგრამ ქალმა უცებ შემნიშნა და ენა ჩაიგდო.

ერთხელ კიდევ გავხედე ოლინკას, საეკვოდ შესუქებული მეჩვენა და მივხვდი, რატომ იხსენიებდნენ ასე ურიგოდ და რატომ წყევლიდნენ.

რა უღმობელი და უცნაურია ზოგჯერ ბუნება! წარმოქმნილ მშვენიერებაში ისეთ სიმახინჯეს შეიტანს, რომ ყველაფერს ფასს დაუკარგავს. აბა რა საჭირო იყო ოლინკას გაჩენა, მაგრამ თუ მაინც და მაინც ბრწყინვალე გააჩინა, დაეტოვებინა გამონაკლისად და შთამომავლობის გაუგრძელებლად! მახინჯს მახინჯი რად უნდა მიემატოს და მომრავლდეს?!

შემებრალა საწყალი ოლინკა, მაგრამ უფრო შემებრალა თედორე, რომელსაც ისედაც მძიმე ტვირთი უფრო დაუმძიმდა.

ნეტავი ახლა სად მიდიან ასე უბრად და დაღონებულნი?!

გავჩერდი და თვალი გავაყოლე. ერთ ვიწრო ქუჩაში შეუხვდით და მიმალნენ.

მაშინ მეხუთე კურსის სტუდენტი ვიყავი. ცხოვრებას ზემოდან დაცურებდი, მასში მხოლოდ ლამაზსა და მშვენიერს ვარჩევდი, სიხარულსა და ბედნიერებას ვგრძნობდი. არც თუ სხვისი დარდ-ნალველი მაწუხებდა, მაგრამ ამ სურათმა, ოლინკას და მისი ძმის ახლანდელმა მდგომარეობამ საგრძნობლად შეცვალა ცხოვრებისადმი ჩემი დამოკიდებულება. უფრო ახლოს მიმიყვანა მასთან და ჩამაფიქრა.

ოლინკა შეუხედავი ქალია, მახინჯი, გონებაჩლუნგი, ცხოვრებისათვის უვარგისი და შეუფერებელი, მაგრამ, როგორც ჩანს, ბუნებას მისთვის ერთი რამ მაინც დაუტოვებია სალი — სიყვარულის ინსტინქტი. თუ არ ეტრფიან, სამიჯნურო ბარათებს არ სწერენ, პაემანს არ უნიშნავენ და სიყვარულს



არ უხსნიან, მერე რა? ხომ გამოჩნდა კაცი, რომელმაც არ ითაკილა ოლინკა-  
კასთან გამიჯნურება... თუმცა გაუმიჯნურდა კი?

საინტერესოა ამ პატარა და არალამაზი რომანის ისტორია, მისი წაკითხვა მიუწვდომელია. თუმცა ოლინკა გონებაჩლუნგია, მაგრამ იმდენი კი იცის, რომ ბირველი და, ალბათ, უკანასკნელი სიყვარულის საიდუმლო შეინახოს. არ გაამხილოს იგი.

გარეშესათვის ეს არც ისე დიდი ამბავია. გართობაა, კომედიაა, მაგრამ...

მე თედორეს დაღვრემილი და შეწუხებული სახე დამიდგა თვალწინ. იგი თავმომწონე და ამაყი ვაჟაკია. აუცილებლობის გამო ითმენდა ბრიყვი და მახინჯი დის სიახლოვეს, კეთილი გული და პატიოსნება უკარნახებდა ასე მოქცეულიყო, დედის შვილისათვის არ ეკრა ხელი, მაგრამ როგორ მოეთმინა დისგან შექენილი ბუში?

ალბათ, თედორე ვერ შეურიგდება ბუშის გაჩენას და უკანონო არსებას უკანონოდვე მოუღებს ბოლოს, ამ ქვეყნის მზის შუქს არ დაანახვებს.

ასე ვფიქრობდი მაშინ და ერთხანს კიდევ გამყვა ეს ფიქრი, მაგრამ შემდეგ გამიარა, დრომ და შორს ყოფნამ გადამავიწყა ბევრი რამ და მასთან ერთად ოლინკა და მისი რომანიც.

ჯერ სტუდენტობა, შემდეგ შორეულ მშენებლობაზე მივლინება, ბოლოს, სამამულო ომის გრიგალი. რამდენი გაჭირვება, რამდენი ტყვია და ცეცხლი...

და გადამავიწყდა ათი-თორმეტი წლის წინანდელი უბრალო თუ მნიშვნელოვანი შემთხვევები და ეპიზოდები... ბევრი რამ არ მახსოვს, მაგრამ...

ჩემს მშობლიურ ქალაქში ვარ დასასვენებლად და ჯანმრთელობის აღსადგენად. მეტწილად სახლში ვზივარ, მაგრამ არც ქუჩაში სეირნობას ვერიდები. გამოვდივარ და უცხოელი ტურისტებით დავეიალობ, ვათვალიერებ ახალაგებულსა თუ ხარაჩოებქვეშ მომწყვდეულ სახლებს, სწორ ქუჩებსა და ყვავილებით აფერადებულ გაზონებს.

ამ თორმეტ წელიწადში დიდი ცვლილება მომხდარა ჩემს ქალაქში. მოსახლეობასაც უცვლია სახე. ბევრ ნაცნობს ვეღარ ვცნობ ახლა, პატარებად რომ მეგულებოდნენ, დავაჟაკებული დამიხვდნენ. ჩემი ტოლები და ვაჟაკები ხომ სულ შეცვლილან. ახალი ადამიანებიც შობილან და ქალაქი ჟრიაბულით აუვსიათ. ასე ვერიაბულობდით მე და ჩემი ტოლებიც ერთ დროს...

მოდგმა მიდის და მოდგმა მოდის. ერთს მეორე ცვლის და ქვეყანა მაინც უცვლელი რჩება. სიცოცხლე მაინც ისევე მოძრავი და მჩქეფარეა, როგორც იყო და გაჩენილა.

და ერთხელ ქუჩაში სეირნობისას მოულოდნელად ოლინკას მოვკარი თვალი. რატომღაც მესიამოვნა მისი დანახვა. მეუხერხულა, თორემ მივი-

ლოდი და მივესალმებოდი. ამ ხნის განმავლობაში მის გარეგნობას ცვლილება არ განეცადა. ყელიც ისევე მოგრეხილი ჰქონდა, ხელებიც ისევე მოცვენილი, ფეხებსაც ისე მიათრევდა, თუმცა ტანზე უკეთ უცვლელად ეკაბა და შავი თავსაფარი, ისე, როგორც ორი-სამი წლის დაქვრივებულმა ქალებმა იციან. თვალი გავაყოლე და შევნიშნე, რომ ოლინკა მარტო არ იყო. მას ათი-თორმეტი წლის ბიჭი მიუძღოდა წინ.

ბავშვი მიდიოდა დინჯად, ჩაფიქრებული, არც უკან იხედებოდა, არც აქეთ-იქით, არც გვერდით ჩამვლელს აქცევდა ყურადღებას. ოლინკა ცდილობდა არ ჩამორჩენოდა ბიჭს და მის ახლოს ევლო, მაგრამ ამას ვერ ახერხებდა, მისი მოკლე ფეხები ვერ აკეთებდა ისეთ ნაბიჯებს, რომ წინმიმავალს წამოწეოდა.

მე დამაინტერესა ბავშვის ვინაობამ, მიმართულება შევცვალე, ქუჩის მეორე მხარეზე გადავედი და ოლინკას დავემგზავრე. მას ჩემთვის არც შემოუხედავს, მაგრამ ბუტბუტი კი შეწყვიტა და ფეხს აუჩქარა.

ვაჟი ერთი შეხედვით ჩამოგავდა ოლინკას, განსაკუთრებით თვალებში ემჩნეოდა მსგავსება, ისე ფართო და შავი ჰქონდა, მაგრამ ჰკვიანური და მახვილი.

დავიჯერო შეილა?

ნაბიჯი შევანელე. ცოტა უკან ჩამოვრჩი და შევჩერდი.

— ვაი და ვუი ჩემს ტერსა და კუდიანებს, — მოულოდნელად აბუტბუტდა ოლინკა. — იმ ჰოკზე და სარზე თამაში შეიძლება, ჩემო შეილო?! კლასში თვარ ისტავლე და წიგნები არ დაიხეპირე, ისე რავა იქნება, შენ ჩემო ნუგეშო და საწყალო ბაღანავ... ვაი, ვაი, ჩემს მოსწრებას, — მოიმოთქმა უცებ ოლინკამ. — ჩემი თედორიე რომ ცოცხალი იყოს, მაშვინ ხომ ვერ გამიბედავდი ასე... რეიზა არ გეცოდვება, ბიჭო, საწყალი ბიძაშენი, მიწაში რომაა ჩაგდებული? ხომ გახსოვს, რაფერ გეუბნებოდა, ისტავლე, თვარა უბედური იქნებიო. უბედური მე ვარ და იგიც საყოფია ქვეყნისათვის.

ბავშვმა რომ შეატყო ოლინკა თანდათან უმატებდა და უმატებდა ბუტბუტს, ნაბიჯი დაიმოკლა, მობუტბუტეს გაუთანაბრდა და ხმადაბლა უთხრა:

— კარგი, დედაჩემო, გეყოფა, ქვეყანას ნუ ჩარევ ჩვენს საქმეში. — და ისევ დაწინაურდა.

ოლინკამ წუთით დაიბა ენა. არ ეურჩა შეილს, არც საწყენად მიუღია მისი ნათქვამი. პირიქით, რალაცნაირი სიამაყე იგრძნო, შუბლი გაეხსნა და სახეზე მოფარებული მანდილი მოიშორა.

— საყვედური არ გიყვარს, თავმომწონე კი ხარ მარა, სტავლა და ჰკულის სტავლება არ გიყვარს. — აბუტბუტდა ისევ ოლინკა. — ჩემო შეილო, არ ვარგა ასე. ჩემო შეილო, დეიცადე, ბიჭო პატარე, სათქმელი მაქვს შენთან.

მაგრამ ბიჭს დედისათვის ყურადღება არ მიუქცევია, თანატოლები შეხვდნენ და მათ დაემგზავრა.

ჩემთვის ყველაფერი ნათელი გახდა.

ოლინკა დედაა, ვაჟიშვილის დედა. ეტყობა, შეინარჩუნა თავისი პირველი და, ალბათ, უკანასკნელი შეცოდების ნაყოფი. შობა შვილი, მიხედა მას, ძუძუ აწოვა, მიეაღერსა, უპატრონა, მოუარა, ერთი სიტყვით, სიცოცხლე აჩუქა. დიახ, აჩუქა, აჩუქა სიცოცხლე, თუ ამ საჩუქრისათვის მადლობელი არის ვინმე.

შევატყვე, რომ ოლინკას ვაჟი არც თუ ისე ბედნიერად თვლიდა თავს ამ ქვეყნად მოსვლით. უმამობა და მახინჯი დედის გვერდით სიარული, მისი ბრიყვეული ბუტბუტი ტანჯავდა ბავშვს.

სამაგიეროდ ერთი უბედური ადამიანი გაბედნიერდა ამ ბიჭის გაჩენით, საპატიო სახელით დააჯილდოვა იგი და დედის როლი დააკისრა.

ახლა აღარ სლუკუნებდა უბედური ქალი. ყველას შემოხედვას არ გაურბოდა, უკანონოდ და უფულებოდ არ გრძნობდა თავს. ამ ქვეყანაში წილი ედო მას და მის ერთადერთ ვაჟსაც.

ამ შეხვედრამ ძალიან გამახარა და მასიამოვნა. ოლინკას ბედნიერება უნებლიეთ გავიზიარე და მისი მდგომარეობა წარმოვიდგინე. ალბათ, ბედი უფრო უღმობელი და შურიანია, თორემ რა იქნებოდა, ამ უბედურ ქალს მომხედავი და გამკითხავი ძმა შერჩენოდა ცოცხალი?! მაშინ ხომ სრულყოფილი იქნებოდა ოლინკას ბედნიერება?!

იმ დღეს ზოგიერთი ძველი ნაცნობი მოვიანახულე და ჩემი კმაყოფილება გავუზიარე.

— უსათუოდ სასიამოვნოა, მასეთ უბედურს რომ ბედი გაუღიმებს.— მითხრა ერთმა ქალმა, რომელიც კარგად იცნობდა ოლინკას ცხოვრებას და მისი ნათესავების მდგომარეობას. — იმ კეთილშობილ ადამიანს უნდა უმადლოდეს საბრალო ბიჭი ამ ქვეყნად მოსვლასა და სიცოცხლის შენარჩუნებას, თორემ სხვა ვინმე მას არ გაახარებდა. მახინჯი დედის მუცელშივე მოუხსობდა სიცოცხლეს.

შემდეგ მიაშვეს, თუ როგორ გადაწყდა საბრალო ბუშის ბედი.

თედორეს მეზობლის ქალებმა გაუმხილეს თურმე ოლინკას მდგომარეობა. გააფრთხილეს, ისეთ დღეშია ის უბედური, რომ თავს მოიკლავს და ყურადღება მიაქციეთო. თავზარი დაეცა საბრალო თედორეს, გული შეუწყუხდა, მაგრამ მდგომარეობა ამით არ გამოსწორდებოდა და ისევ თავად იკისრა წამხდარი საქმის მოგვარება. ჯერ ოლინკა ინახულა, მოელაპარაკა, რამდენად ეს მოსახერხებელია ისეთი ჭკუის ადამიანთან, შემდეგ დაარიგა, თვალყურის მდევნებელი მიუჩინა და, როცა დრო დადგა, სამშობიაროში წაიყვანა. შვილის სიყვარულმა დაბინდული გონება გაუხსნა ოლინკას, შრომა შეაყვარა, ნაშრომის დაფასება ასწავლა, ცუდისა და კარგის გარჩევას შეაჩვია.



ბავშვი, რომელსაც ოლინკამ სიყვარულით ვახტანგი დაარქვა, თავიდანვე კარგი ზნის გამოდგა. ბიძამ იგი ჯერ საბავშვო ბაგაში შემდეგ საბავშვო ბაღში, მერე სკოლაშიც მოაწყო და ის იყო, კიდევაც დალია უბედურმა სიცოცხლე. საკუთარი შვილებიც ვერ დატოვა დასახლებული და თავდადებული.

ძმის დაკარგვა შვილის სიყვარულმა გადაატანინა ოლინკას. ძნელი იყო ისეთი მოამაგე ძმის დაკარგვა, მაგრამ ბუნებრივად ბრძოლა ვის მოუგია, ოლინკას რომ რგებოდა რამე. კიდევ კარგი, მადლიან ადამიანებს დაუჯერა და ერთ დაწესებულებაში დამლაგებლად დაიწყო მუშაობა.

საქმეში გამოეწაფა და დაოსტატდა საწყალი ქალი. დილიდან საღამომდე ცოცხი და ჩვარი უჭირავს ხელში და ფუსფუსებს. ამიტომ ემადლიერებიან მას და ხშირად ფულად დახმარებასაც უწევენ. ბოლოს, იქამდე დაიხლოვეს, რომ თვით დაწესებულებაში გამოუყვეს ერთი ოთახი და შვილიანად შიგ ჩაასახლეს.

დაწესებულებას სჭირდება დედა-შვილი და მათ შრომას სათანადოდ იყენებენ. ყველაფერი ეს კარგია და სასიამოვნო, მაგრამ ყველაზე სასიხარულო ის არის, რომ ბატარა ვახტანგი რჩეულთა შორის რჩეული მოსწავლეა და ბეჯითზე უბეჯითესი.

\* \* \*

ავვისტოს დღეები იწურებოდა. მოსწავლე ახალგაზრდობა ბანაკებიდან და აგარაკებიდან ბრუნდებოდა. შორეული ქვეყნებიდან მოფრენილი მერცხლებივით ეფინებოდნენ ქუჩებს და ჟრიამული გაჰქონდათ. სასწავლო ნივთების სავაჭროებში ტევა არ იყო. იძენდნენ წიგნებს, რვეულებს, ფანქრებს. გამოდიოდნენ დატვირთულნი და ერთმანეთის ნავაჭრს ამოწმებდნენ.

იმ დღეს შემთხვევით მეც ერთ-ერთ ასეთ სავაჭროში მოხვდი და ძალიან მესიამოვნა, როცა ოლინკა და მისი ვაჟი შევნიშნე.

დედა გარეშე თვალს ერიდებოდა. შვილს მოშორებით ედგა, მაგრამ მისი ბრყვული თვალები ბავშვს არ შორდებოდა და მის ახლოს ტრიალებდა.

— აირჩიე და იყიდე. ჩემო შვილო! — წასჩურჩულა მან ბავშვს, რადგან იგი, ამხანაგებში გართული, ავეიანებდა შესაძენი ნივთების შერჩევას.

— ჰო, ვიცი. — შემოხედა ბავშვმა, ამხანაგებს გამოეთიშა და სახელმძღვანელოებით საესე თაროებს მიაღდა.

მე მოშორებით დავდექი და თვალს ვადევნებდი დედა-შვილს. სანამ ვახტანგი წიგნებს არჩევდა, ოლინკა მოშორებით იდგა და რაღაცას ბუტბუტებდა. მაგრამ როცა ბავშვმა საჭირო ნივთები გადმოაწყო და გამყიდველს დაანგარიშება თხოვა, მაშინ შვილს გვერდით ამოუდგა და გადმოლაგებულ ნივთებს ვადახედა.



გამყიდველმა ნავაჭრის ღირებულება შეაჯამა და ბავშვს ახედა.

— მოგართმევთ. — და ვახტანგი დედას მიუბრუნდა.

— კაი, შვილო, კაი. — თქვა ოლინკამ, უბიდან განასკველეს ცხვირსანოცი ფრთხილად ამოაცოცა, გამოსხსნა და ფული დახლზე დაალაგა. ბავშვმა ერთი თვალის მოვლებით გადათვალა დედის ქონება და შუბლშეკრულმა ჩაულაპარაკა:

— კიდევ სამი მანეთი უნდა.

— სამი მანათი რა ამბავია, ჩემო შვილო? — კინაღამ ატირდა ქალი. — იქნება ნაკლებად მოგვეცეს. სამი მანათი რა ამბავია!.. რა ამბავია სამი მანათი!.. ამდენი ფული რა ამბავია! — აბურტყუნდა ოლინკა.

— კარგი. — უკმაყოფილოდ თქვა ბიჭმა. — თუ მეტი ფული არ გაქვს, ყველას არ წამოვიღებ. — შემდეგ თანაკლასელი ბიჭი შენიშნა და იმას მიმართა: — ვალოდია, ზედმეტი ფული ხომ არ შემოგრჩა, რომ მასესხო?

— არა, ყველაფერი მომიკვდეს, თუ მქონდეს. — მაგრამ ჯიბეში მაინც ჩაიყო ბავშვმა ხელი. — არა, არა მაქვს, უკანასკნელი ფული ამაში მივეცი. — ბიჭმა ლამაზად შეხვეული საფარგლე და სახაზავები უჩვენა.

— რა მიეცი? — საფარგლე მოეწონა ვახტანგს.

— რვა მანეთი.

— მე ოთხიანსაც დაეჯერდებოდი. — ნაღვლიანად თქვა ოლინკას ვაჟმა, ნივთი პატრონს დაუბრუნა და გამყიდველს მიუბრუნდა: — დეიდა, ამეებს აღარ წავიღებ. — რამდენიმე ნივთი გადასდო უკან. — ახლა არ მჭირდება, შემდეგ ვიყიდი.

— როგორც გინდოდეს, — თქვა გამყიდველმა წყენით. — თუნდაც სულაც ნუ წაიღებ. — და გადმოლაგებული ნივთების მთლიანად წაღება მოიწადინა, მაგრამ შეეაჩერე.

— რა ღირს სულ ეს ნივთები? — შევეკითხე.

— ორმოცდაშვიდი მანეთი და სამი შაური. — მიპასუხა მან.

— კარგი, ელაგოს აქ. — ვუთხარი გამყიდველს და ვახტანგს მივუბრუნდი. გამოველაპარაკე. ვკითხე რომელ კლასში იყო, როგორ სწავლობდა, რა უფრო აინტერესებდა და იზიდავდა, რა პროფესიას აირჩევდა.

— მე ბევრი რამ მინდა, მაგრამ... — კეთილად შემომხედა ბავშვმა. — ყველაზე უფრო ანგარიში და ხაზვა მიყვარს. — გამოტყდა შემდეგ.

— მაშ საინჟინროზე შეხვალ. — გავუღიმე მე.

— უჰ, მანამდე... მე ძალიან მინდა ინჟინერი გავხდე.

— კარგია. კოლეგები ვიქნებით.

— თქვენ ინჟინერი ხართ?

— მშენებელი.

— მე ქიმიკოსობა უფრო მაინტერესებს. — ისევ შემომხედა და გამოიღმა. — თქვენ, ალბათ, სასაცილოდ არ გყოფნით ჩემი ნათქვამი.

— რატომ, რატომ?! ათიოდე წლის წინათ მეც ხომ შენებარ მეოცნებე

მოსწავლე ვიყავი! გარკვეული აზრი და შეხედულება მქონდა ცხოვრებაზე და ჩემს მომავალზეც.— შემდეგ სახელი ვკითხე და, რადგან ვიცოდი მამის ხსენება არ ესიამოვნებოდა, გვარი აღარ მიკითხავს, არც ვინაობა სცდენია.

— მაშ, ამხანაგო ვახტანგ, — მივმართე, როცა საუბარს მოვრჩით. — მე მინდა დღევანდელი ჩვენი გაცნობა რაიმე სამახსოვროთი აღვნიშნოთ და, თუ შენ ძალიან არ გეწყინება, ნება მომეცი ამ ნივთების ღირებულება მე გადავიხადო.

ბავშვს ლოყები წამოუწითლდა.

— მადლობელი ვარ, მაგრამ... მაპატიეთ. მე მაქვს ფული ყველაფერი ეს შევიძინო... თქვენ, იქნებ...

— არა, არა, აკი ვთხოვე, ნება მომეცი-მეთქი?! — დავუწყე დამშვიდება.— მე შენ სამოწყალოდ არაფერს გაძლევ, და, ვფიქრობ, არც არაფერი გჭირს შენ სამოწყალო. მე მხოლოდ მინდა მომავალ ჩემს კოლეგას ვუსახსოვრო ეს მცირე ნობათი. თუ შენ ამას შეურაცხყოფად ჩათვლი და მიზანშეუწონლად მივაჩნია, იმ შემთხვევაში პატიებას ვთხოვ.

ბავშვი უხერხულ მდგომარეობაში ჩავაყენე.

— თუ მეტყვით თქვენს ვინაობას და სამაგიერო პატივისცემის გადახდის საშუალება მომეცემა, მაშინ თანახმა ვარ.

— სამაგიეროს არ მოვითხოვ, მაგრამ არც მისგან გათავისუფლება. — გავუღიმე მე. — მეც მიმიღია ამგვარი საჩუქარი უფროსებისაგან.

ბავშვმა უხერხულობას თავი დააღწია და მეგობრულად გამესაუბრა.

— ცხოვრებაში ყველაფერია მოსალოდნელი. მთა მთას ვერ შეხვდება, თორემ ადამიანი ადამიანს მუდამ შეხვდებაო. — მითხრა მან და დამეთანხმა სამახსოვროდ წაეღო საჩუქარი.

რაკი დავითანხმე, მცირე საჩუქარს აღარ დავჯერდი. ძვირფასი ფარგალი და სახაზავები გადმოვაწყობინე გამყიდველს, საკმაო რაოდენობის ქაღალდები და რვეულები და, როცა ყველაფერი ეს შეფუთული გადავეცი და მადლობით გამოწვდილი ხელი ჩამოვართვი, შიგ ათთუმნიანი ჩავუდე და შუბლზე ვაკოცე.

ჩემი წასვლის შემდეგ რა მოხდა დედა-შვილს შორის, ამის შესახებ მეორე დღეს მიაშბო გამყიდველმა ქალმა.

ოლინკა ძალიან გაუკვირვებია ჩემს საქციელს. არც თუ ისე კეთილი ვჩვენებივარ იმ საბრალოს. შიშიც დაჩნევია. ეჭვებით გაბრუებულა. შეილსაც გაჯავრებია, რატომ მიიღე უცხო კაციდან ასეთი საჩუქარიო. ხომ შეიძლება სახლში მოგვიხტეს და შენი თავი წამართვასო. ატირებულა. ძლივს დაუმშვიდებიათ, უთქვამთ, რომ საშიში პიროვნება არა ვარ და შეიძლება მენდოს ადამიანი.

ცხოვრება მთის მდინარესავით მჩქეფარე და უღმობელია. მორებივით

მიაქანებს ადამიანებს და გზადაგზა ფანტავს. ზოგს მახლობლად ვარდისფერ ფარდავივით გაშლილ მწვანეზე, ზოგს კლდეს მიახლის ან ლოდზე, მწვანე-წითელილილს მიატოვებს, ზოგს მდორეში შეაცურებს და ტაატით მიაყენებს, ზოგს კი ტალღებად ქცეულ ზღვაში შეაგდებს და ოკეანეთა სამყაროში დაასადგურებს.

მეც ასე გამიტაცა ახალი ცხოვრების დაუდევარმა ტალღამ და მშობლიური კუთხიდან შორეულ მხარეში გადამისროლა. აქ რაღაც დროებით საიმედო კარავი დავდგით, ჩემისთანები ასობითაა. ყველა ისინი შესევციან ხარაჩოებს და გიგანტების კედლებს აგებენ. ამიტომაც მეამაყება ჩემი ხვედრი:

ახალ ქალაქს და ახალ ქარხნებს ვაგებდით, „დიდ ქიმიას“ ვქმნიდით. ყველას თავისი საქმე ჰქონდა მიჩნეული, ყველას თავისი ადგილი ეჭირა მშენებლობაზე და ამ ყველაში მეც ვერიე, როგორც ერთი დიდი უზნის ხელმძღვანელი და პასუხისმგებელი მშენებელი.

საათობით იზრდებოდა ახალი ქალაქისა და ქარხნების სიგრძე, სიმაღლე და განი.

საყოფად გვყავდა მუშა-ხელი და ოსტატები, არც მანქანების სიმციროეს ვგრძნობდით, მაგრამ ჭერ კიდევ არ გვყოფნიდა მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, ინჟინერ-ტექნიკოსთა ძლიერი კადრი.

ერთ დღით, კონტორაში რომ მივედი, მაგიდაზე რამდენიმე განცხადება დამიხვდა დალაგებული.

ახალკურსდამთავრებული ინჟინრები გამოევგზავნათ და სამუშაოზე დანიშნვას მოითხოვდნენ.

— სამივლინებო ფურცელს და სხვა დოკუმენტებს წარმოადგენენ. — მითხრა კადრების განყოფილების უფროსმა, რომელიც პირველი შეხვედროდა ახალმოსულთ. — შესანიშნავი ყმაწვილებია. — დაუმატა მან. — თუ პირობები არ დაგვიწუნეს ან ჰავას შეეგუენ, კარგად წავა ჩვენი საქმე.


განცხადებებს გადავხედე. უცნობი გვარები და სახელები, შორეული ქალაქები და რესპუბლიკები, სხვადასხვა ეროვნების შვილები, სხვადასხვა დარგის სპეციალისტები... კარგია, ძალიან კარგია. მესიამოვნა ამგვარად შერჩეული ჭაბუკების მოვლინება ახალგაშლილ მშენებლობაზე.

— სად არიან ახლა? — შევეკითხე თანამშრომელს, რომელმაც ეს განცხადებები გადმომცა.

— მშენებლობის თვალმოსავლებად. მითხრეს, რომ მალე დაბრუნდებიან. — მიპასუხა თანამშრომელმა და მთხოვა დამეცადა მათ მოსვლამდე.

წასასვლელი ვიყავი, მაგრამ გადავდე. გადავწყვიტე დამეცადა ახალჩამოსული ჭაბუკებისათვის. ჩამოვჯექი და კვლავ განცხადებებს გადავავლე თვალი.

სულ ოცამდე განცხადებაა.



„იქნებ, ვინმე ჩვენი კუთხიდანაც იყოს“, გავიფიქრე და მამინეც თვალებში მომხვდა ერთი გაცხადება, რომლის ავტორი ქართველი აღმსარებელი „ინჟინერი ქიმიკოსი ვახტანგ უმამიაშვილი“.

— აა, ვახტანგი?! — უნებლიეთ წამოვიძახე. — ეს ის ვახტანგი ხომ არაა, რამდენიმე წლის წინათ რომ... არა, ის ხომ ჯერ კიდევ... — დროს გამონაგარიშებას შევეუდექი. — სწორია, თუ სწავლას განაგრძობდა, დღეს მართლაც დასრულებული ვაუკაცი და სპეციალისტი იქნებოდა. თორმეტი წელიწადი ცოტა როდია... მაგრამ ვითომ ის არის? საინტერესოა. უმამიაშვილი. ნეტავ, უმამობას ხომ არ ნიშნავს ეს სიტყვა? იქნებ განზრახ შეირქვა ასეთი გვარი. უმამიაშვილი! ასეთი გვარი არ გამიგონია, თუმცა ჩვენ დალოცვილ პატარა საქართველოში იმდენი გვარი და სახელია, რომ თანაბრად განაწილებით მთელ მსოფლიოს ეყოფა.

ცოტა ხანი და ახალგაზრდა ინჟინრებიც მოვიდნენ. ერთმანეთს რიგობით შემოყვნენ და მივლინების საბუთები წარმოადგინეს.

მოსულთა მეტი ნაწილი უცოლ-შვილო იყო და მაინც და მაინც პირობები არ აინტერესებდათ, მაგრამ ერივნენ ცოლ-შვილიანები და ახალდაქორწინებულებიც, რომლებიც ცხოვრებას სხვა თვალით უყურებდნენ.

— პირობები საუცხოოა, ამხანაგებო, მაგრამ კეთილმოწყობილი ბინები ჯერ არ გვაქვს, მალე კი გვექნება. — ღიმილით ვუთხარი ერთ ახალგაზრდას, რომელსაც ყველაზე მეტად ბინის საკითხი აწუხებდა.

— და დიდხანს გაგრძელდება ასე? — იკითხა მეორემ.

— ყოველ შემთხვევაში, ერთი წელიწადი, ან ცოტა მეტი მოგვიწევს მოთმენა.

— ერთი წელი ბევრია. — თქვა პირველმა. — შეპირებული ვარ, რომ ჩამოსვლისთანავე გავუზგავნი დებუშას და აქაურობის ამბავს შევატყობინებ.


— თქვენც შეატყობინეთ, რომ კარგად იმგზავრეთ, მუშაობა დაიწყეთ და იმედიანად იყოს.

— არა, ეს არ კმარა. — უკმაყოფილოდ შემომხედა მან. — ასე მცოდნოდა, უარს ვიტყოდი წამოსვლაზე. ჩვილბავშვიანი ქალი მარტოდმარტო დაეტოვე უცხო ქალაქში. რომ რამე გაუჭირდეს...

მე დავამშვიდე, შევპირდი, რომ მალე დავაკმაყოფილებდით ბინით, მაგრამ ის მაინც შიშობდა.

— რა გაეწყობა. — ვუთხარი მე. — დღეს აქ ველური ადგილია, კეთილმოწყობელი, ტალახიანი და მიუვალი, მაგრამ ნახეთ როგორი იქნება ერთი წლის შემდეგ. ჯერჯერობით კი ჩვილბავშვიანთა მისაღებად მზად არა ვართ... თუმცა თუ თანახმა გახდებით და დროებით კარავში დაიდებთ ბინას... დაზამთრებამდე შეიძლება კაპიტალური მშენებლობაც დავამთავროთ და იქ გადავიყვანოთ.





— კარგი აზრია. — სხვები დამეთანხმნენ ახალგაზრდის მაგივრად. — ამაზე უარესი გაჭირვება აუტანიათ.

— კარგი, თანახმა ვარ. ვაცნობებ ჩამოვიდეს. დაზამთრებამდე კარავ-შიაც იოლად გავალთ. — დაყაბულდა ახალგაზრდა, საბუთები დამიტოვა და ცოლისათვის დეპეშის გასაგზავნად გაეშურა.

სხვებთან უფრო ადვილად მოვაგვარე საქმე; სამუშაო უბნები გავუნაწილე, სპექტანსაცმელი გამოვუწერე, საერთო საცხოვრებელ ბარაკში მივუჩინე საწოლი და ის იყო ყველა გავისტუმრე, რომ უკანასკნელი განმცხადებელიც მოადგა კონტორის კარს.

— შეიძლება?!

— მობრძანდით. — მისი განცხადება ავიღე და ახალშემოსული შევათვალე. ის იყო, ერთ დროს ჩემი ვაცნობილი ბიჭი, სულელ ოლინკას საყვარელი ვაჟი. ძალიან მესიამოვნა, რომ ჩემი გუჟანი გამართლდა და ეს ახალგაზრდა ინჟინერი სწორედ ჩემი ნაცნობი ვახტანგი გამოდგა.

— თქვენთან ჩემი განცხადებაა. ახლა კი მივლინების ბარათი და დიპლომი მოვიტანე. — მითხრა მან და მაგიდას მოუახლოვდა.

— უპირველეს ყოვლისა, გამარჯობა, ამხანაგო ვახტანგ! — წამოვდექი და ხელი გავუწოდე. — დაბრძანდით!

— გაგიმარჯოთ. — და გაკვირვებით შემომაჩერდა. — ქართველი ბრძანდებით?!

— დიახ, ქართველი. ხომ არ გიკვირთ?

— არა, გასაკვირი არაფერია. — უფრო ბეჯითად მომაპყრო მხერა. — ალბათ, იმიტომ მომმართეთ სახელით. — გაეღიმა მას.

— მამის სახელსაც დაუშვებდი, რომ მცოდნოდა, მაგრამ... განცხადებაში არ იხსენიებთ მამის სახელს.

— ჰო, ალბათ, გამომრჩა, თუმცა... — უხერხულად შეწრიალდა სკამზე.

— სასიამოვნოა, რომ ჩვენთან მოხვდით. არიან ჩვენი თანამემამულენი, მაგრამ ქიმიკოსი კი პირველი ხარ იმათ შორის.

— მართლა? თავიდანვე ეს დარგი მიზიდავდა. — რაღაც საეჭვოდ დამიწყო ცქერა.

— ცოლ-შვილიანი ხართ?

— არა, ბატონო, რა დროს ჩემი ცოლ-შვილია! — ქალწულივით დაიმორცხვა ჭაბუკმა. შემდეგ იფიქრა და დაუმატა: — ცოლით არ ვარ, მაგრამ...

— გასაგებია, დედა გახლავთ, ხომ მართალია? — ღიმილით შევხედე მე.

— მართალია, მაგრამ თქვენ ვინ მოგახსენათ? — უფრო საეჭვოდ დამაკვირდა.

— არავისაც არ მოუხსენებია, თავად მივხვდი. ერთადერთი შვილს დედა ვერ მოიშორებს. ისიც ხანგრძლივი დროით.

— სიმართლეს ბრძანებთ. დედისერთა ვარ. — ლოყები შეუწოდდა და დაუმატა: — მყავს ერთი საბრალო დედა.

— ქალბატონი ოლინკა! — წამომცდა უნებურად და წამსვე ჩივიდა ენა, მაგრამ გვიანდა იყო.

— ააა! — სკამიდან წამოიჭრა გაკვირვებული ბიჭი. — თქვენ მისი სახელიც იცით?

— და ყველა თქვენიანის. — მოფხიზლება არ ვადროვე ახალგაზრდას. — მართალია, მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, მაგრამ მაინც თვალწინ მიდგას ჩვენი შეხვედრა...

— სასწავლო ნივთების სავაჭროში! — აღტაცებით წამოიძახა მან და მომაშურა. — მაპატიეთ, რომ ვერ გიცანით. დამნაშავე ვარ. მერე, როგორ ვვოცნებობდი თქვენთან შეხვედრას... როგორ წარმოვიდგენდი, შეგხვდებოდით და გვერდს ავივლიდით... მაშინ თქვენ...

— ახალგაზრდა ვიყავი და არც ჭალარანარევი თმა მაუშნობდა.

— არა, არა, ეგ მართალი არაა, თქვენ ახლაც ლამაზი და მოსაწონი ხართ. — მოვიდა, მკერდზე ამეკრა და შვილივით მომეხვია.

ცოტა ხანს კიდევ წავისაუბრეთ. ვახტანგს ბევრი ისეთი რამ მოვაგონე, რომელიც მის ბავშვურ მეხსიერებას აქამდე არ მოეტანა. შემდეგ ვთხოვე, დედა მოეყვანა და გაეცნო ჩემთვის.

— არა, მაგას ნუ დამავალებთ. — მუდარით მთხოვა. — თქვენ იცით ვინ არის დედაჩემი და რას წარმოადგენს. ისეთივე დარჩა, როგორც იყო. არ არის გამოსაჩენი ქალი, მაგრამ დედაა და...

— შენგან პატივისცემა და სიყვარული ეკუთვნის. — არ დავამთავრებინე სიტყვა ახალგაზრდა ვაჟს. — ასეთი ვაჟკაცის დედა, როგორი შესახედავიც არ უნდა იყოს იგი, სახელისა და ქების ღირსია.

— ვაჟკაცობას ვერ დავიკვებნი, ბატონო, მაგრამ სურვილი კი მაქვს პატიოსნად და კეთილშობილურად ვემსახურო ჩემს ქვეყანას და ხალხის საქმეს. — კვლავ ჩვენი პირველი შეხვედრა გაიხსენა და მეათეჯერ ითხოვა პატიება, რომ ვეღარ მიცნო. — ახლა თუ ნებას მომცემთ... — ხელი გამომიწოდა, მაგრამ არ ჩამოვართვი.

— არა, მე უთუოდ უნდა გამოგყვე თან და დედათქვენი ვნახო. — მკლავში გამოვდე ხელი და გამოვიყვანე.

ის ძალიან წუხდა, უხერხულად ტრიალებდა, სიმწრის ოფლში იღვრებოდა, არამც და არამც არ სურდა დედასთან მიეყოლოდი, მაგრამ რა ექნა.

ჩვენ მანქანაში ჩავსხედით და სადგურისაკენ გავეშურეთ.

როგორც ყველაფერი, რკინიგზის სადგურიც შენების პროცესში იყო. მისი მაგივრობა ერთ საბარგო ვაგონს ჰქონდა მინდობილი.

ჩვენ სწორედ იქ გავაჩერეთ მანქანა და ჩამოვედით.

ოლინკა შორიდან ვიცანი. იგი ბარჯთან ჩამომჯდარიყო და შვილის

მოლოდინში თავისთვის ბუტბუტებდა. ძველი, ჩემი ნაცნობი ოლინკა იგი მხოლოდ ჩაცმულობით განსხვავდებოდა. კარგი ხარისხისა და შეკერილი ტანსაცმელი ეცვა, თაღის დარაიის თავსაფარი მოესხა, მინდა ნილად ჰქონდნ დახვეული, მაგრამ მაინც ოლინკა იყო და მის ბრიყულ თვალებს რა შეცვლიდა!

დაინახა თუ არა შვილი, მაშინვე წამოხტა და მოაშურა.

— რეიზა მომკალი, ჩემო შვილო, ფიქრით და დარდით. — პირველი სიტყვა ეს იყო, შვილს რომ შეეგება. — ამდენი ხანი სად იყავი? გული გამისკდა, იქნება რამე მოუვიდა-მეთქინ. ასე არ უნდა ქნა, ჩემო შვილო, ხომ იცი ავი სული და კუდიანი ყოველთვის უდარაჯებს ვაჟკაცს. ერთი თვალი რომ მოგკრას და გაგთვალოს, რაი მეშველება?!

— კარგი, ნუ გეშინია, დედაჩემო. — დაუწყო დამშვიდება შვილმა. — ხომ ხედავ, არაფერი არ მომსვლია, ცოცხალი დავბრუნდი. არც აწი მომივა რამე.

— ვაი, ვაი, ჩემი სიკვდილი, შენ კიდომ არაფერი იცი და სულელი ხარ. — აღულულდა ისევ ოლინკა. — რაი გეშველება, უბედურ დედა-შენს რამე რომ მოუვიდეს? ვინაა შენი პატრონი, შე საწყალო, ხომ ხედავ რაფერ უცხო ხალხში ხარ? ვერაფერი მაგენის ნალაპარაკები ვერ გევიგეფუი ეშმაკსა და კუდიანს. ამფერ ხალხში რაფა იცხოვრება, ჩემო შვილო. ერთი ჩვენიანი მაინც იყოს, წამლად რომ დაგჭირდეს.

— არიან, დედაჩემო, ჩვენიანებიც. — ძლივს გააჩუმა დედა ვახტანგმა. — ჩვენიანებია ყველა შენ ამაზე ნუ იდარდებ.

— ქართველებია ჩვენიანი, შე უჭკუო. — სიყვარულით შეაჩერდა შვილს ოლინკა.

— ჰოდა, მეც ქართველებზე ვამბობ.

— არ დამაჯერო, არ დამაჯერო! — ხელები გაასავსავა ოლინკამ. — ასე შორე რომელი სულელი წამოვიდოდა, შე ბრიყვო, იმდენი დღეი და ღამე ვიარეთ იმ პოვეზით.

— მერე იმ სხვებმაც გამოიარეს იმდენი გზა. — უთხრა შვილმა.

— მაი არ მჯერა. — ხელი ჩაიქნია ოლინკამ და ვაჟს შეკეცილი საყელო შეუსწორა. — ხომ მითქვამს, ტანზე კოხტად ჩაცმა უნდა გიყვარდეს-მეთქინ. თუ კაცს კოხტაობა არ უყვარს, იგი ბრიყვი და სულელია.

— ჰოდა, კარგი, გეყოფა, გავიგე. — წყენით მიმართა დედას შვილმა. — აქ ყველაფრის ლაპარაკი კი არ შეიძლება. — და ამ დროს მათთან მიახლოებული რომ შემნიშნა, უხერხულად შეიშმუშნა, მაგრამ ჩემი დავალების შეუსრულებლობა ვერ გაბედა. — მობრძანდით! — მითხრა, შემდეგ ოლინკას მიუბრუნდა და ხელი მხარზე დაადო:

— დედა, გახსოვს, ერთხელ რომ ერთმა კეთილმა ძიამ დამასაჩუქრა?

— წიგნები და ფარგლები რომ გიყიდა? — ახედა ოლინკამ შვილს.

— ჰო, იმდენი რამე რომ მიყიდა.

— ვაი და ვუი ჩემს ტერს და შენს ავათმასხენებელს, რაღა არ მან-  
სოვს, ბიჭო?! სულ მეღანდებოდა იგი კაცი. შენს თავს წამართმევდა მე-  
გონა, თურმე კაი კაცი ყოფილა.

— ის კაცი აქ არის ახლა. — უთხრა ვაჟმა და ჩემკენ გამოიხედა.

— აქანე არის? ამ ქვეყანაში?

— დიახ, აქა ვარ, ქალბატონო ოლინკა, — გავუღიმე მე და მისკენ  
წავიწიე.

ოლინკამ თავისი ბრიყვეული თვალები მომაჩერა, კარგახანს მიყურა,  
რამდენჯერმე ამხედ-დამხედა და უცნაური ხმით შესძახა:

— ვაი და ვუი ჩემს ტერს და ორგულს, მართლა იგი არ ყოფილა! —  
სიხარულმა თანდაყოლილი მოკრძალება და შიში დააფიწყა, ჩემკენ გამო-  
ექანა. ორივე ხელი გამომტაცა, გულში ჩაიკრა და აღუღლულდა.

მე ვერ მოვახერხე მიტაცებული ხელების გამოხსნა, თავი ვერ გავი-  
თავისუფლე, მაგრამ მისი საქციელის საპასუხოდ დავიხარე და ჭადარით  
მოსილ თავზე ვეამბორე.

ისიც დედა იყო და მე მოკრძალება მმართვებდა.



## გალეა შუბლაძე

### ვალენტინა ტარეჟოვას

შენ შეახსენ ზეცას კარი,  
კოსმოსის გზას გაჰყევ როცა.  
იქ მშვიდობის მტრედად გცანით,  
სიყვარულის ანგელოსად.  
განთიადის  
გზა დიადი  
დაგელოცა!

შენი ხმა რომ ზეცას მისწვდა,  
ვარსკვლავების დაგზავდა ტაში.  
ძირს კი მთელი დედამიწა  
გუგუნებდა ძლევის მარშით.

— ძმობა მარად! —

უფრო მძლავრად  
ვჰეჭეთ მაშინ.

მთვარე შეგზავდა შუქმფინარეს,  
თურმე შურით არ ეძინა.

ვალენტინა ჰგავდა მთვარეს,  
მთვარე კიდევ ვალენტინს.

გზად ვარდები

ფერადები

დაგეფინა.

დიდება, ვინც შთაგინერგა

დიდ საქმეთა ძალა, ნება.

გზა, გაჭრილი ცაში მდებარად.

დიდ საბჭოთა გზად დარჩება.

ჩვენს პარტიას —

ბრძენს და დიადს

გამარჯვება!

## სასილი ჩხაკიძე

### მ ხ ა ტ ვ ა რ ი

მზიას ფეხები ცხელ ქვიშაში ეფლობოდა. იგი ხშირად იხდიდა ქოშებს, გამოფერთხავდა და გზას აგრძელებდა.

მზე პირდაპირ თვალგზაში სცემდა. ქალიშვილმა ხელი შუბლთან მიიჩრდილა და ირგვლივ მიმოიხედა. ვიღაცას ეძებდა.

პლაცე მოფენილი იყო ხალხით. სანაპიროს გასწვრივ წყალი აქაფებულყო მობანავეთა დგაფუნისაგან.

მზიას ფეხებთან დიდი სოკოსმაგვარი ქუდი ფარფატებდა. მზია ხედავდა ბავშვის სუსტ, მზით გარუჯულ მხრებს და ცალ ხელს, რომლითაც იგი რაღაცას ხატავდა მუხლებზე დადებულ ალბომში. ფეხები არ უჩანდა, სილაში ჰქონდა ჩაფლული.

მზია დაიხარა, რომ ბავშვისათვის შეეხედა. მას ოდნავ მოეჭუტა ცალი თვალი და ტუჩებმოკუმული გულმოდგინედ ხატავდა. გვერდით სილაში ფერადი ფანქრები ეყარა, და კიდევ ნახევარი ვაშლი.

ქალალზე ეხატა ორი ბავშვი, რომლებსაც თითქმის მათზე დიდი ბურთი ფეხებში მოეჭიათ. ბიჭი წითელი ფანქრით აფერადებდა ბურთს.

მზიას რატომღაც ძალიან მოუნდა გამოლაპარაკებოდა ამ ბავშვს, ქუდი აუწია. ბიჭმა უკმაყოფილოდ ამოხედა, მაგრამ მზიას მაჯაზე საათი დაინახა და იკითხა:

— რომელი საათია?

— თერთმეტს ათი უკლია.

— კიდევ ათი წუთი და ამოვალ. — თავისთვის ჩაილაპარაკა ბიჭმა და ხატვა განაგრძო.

— რატომ ჩაფლულხარ?

ბიჭს პასუხი არ გაუცია, ბურთს აფერადებდა გულმოდგინედ.

მზიამ უცებ გადაწყვიტა აქ ებანაეა, კაბა გადაიძრო და მუქლურჯი საბანაო კოსტიუმი გაისწორა.

— რა გქვია? — ჰკითხა მზიამ და გვერდით მიუჯდა პატარა მხატვარს.

— აჩიკო. — ბიჭმა წითელი ფანქარი გადასდო და მზია აათვალიერაათვალიერა. — თქვენ?

— მზია.

— ჩემს დასაც მზია ჰქვია. — პირველად გაიღიმა ბიჭმა.

— ფეხბურთი გყვარებია, — გაუღიმა მზიამაც და ქალაღზე გამოხატულ ფეხბურთელებზე ანიშნა.

— როცა ფეხები მომირჩება, ფეხბურთელი გამოვალ.

მზია შეცბა, სათქმელი შერჩა ტუჩებზე. უნებლიეთ შეაელო თვალი ქვიშაში ჩაფლულ ფეხებს. მერე ნაძალადევად გაუღიმა:

— მე მოვალ შენს თამაშზე, კარგი?

— კარგი, — დაეთანხმა აჩიკო, მერე ქალაღი გვერდზე გადასდო, ხელები გაშალა, თითები აათამაშა, მკლავები აამოძრავა. — ასე უნდა ვივარჯიშო. ექიმმა მითხრა. მაგარი კუნთები მექნება. აბა, ხელი მოკიდეთ.

მზია ფრთხილად შეეხო ბავშვის ფაფუკ მკლავებს.

— აი, ჩემი დედიკოც მოდის!..

შავსათვალიანი ახალგაზრდა ქალი მოიჩქაროდა მათკენ. ბიჭმა მზიასკენ გაიშვირა თითი და დედას მიახარა:

— დედიკო, ამასაც მზია ჰქვია!

ქალმა გაუღიმა მზიას და ნაღვლიანად შეხედა ვაჟს.

მზიამ ამ დროს შენიშნა, ვისაც ელოდა, უხმოდ დაუქნია ხელი.

დედას ბავშვი სილიდან ამოეყვანა და საოცრად გამხდარ ფეხებს პირსახოცით უწმენდა. აჩიკო კი მზიას შეჰყურებდა და უღიმოდა.

ამ დროს ტანმალაღი, მზით დამწვარი ვაჟი მიუახლოვდა მათ. მზიას მსუბუქად ჩაავლო ხელი მკლავში და წამოაყენა. ქალიშვილმა რაღაც უთხრა.

აჩიკომ უკმაყოფილოდ გახედა ახალმოსულს, მერე მუდარის თვალი შეაელო მზიას და სევდიანად ამოიხვნეშა.

მზია ვაჟს კიდევ უხსნიდა რაღაცას, მაგრამ აჩიკოს არ ესმოდა მათი გრძნობდა, რომ მასზე საუბრობდნენ.


ვაჟმა თავი დაუქნია ქალიშვილს, უკვე ჩაცმულ ბიჭუნას მიუჯდა გვე-

რდით, ფანქარი გამოართვა, გრძელი ფურცელი გადმოაბრუნა და მოქსო-  
ლი ხელით ხატვა დაიწყო, თან ხშირ-ხშირად შესცქეროდა აჩაჩანსაჲს  
ახლა სულგანაბული ცნობისმოყვარეობით მისჩერებოდა ფანქარს, რომ-  
მელსაც ეს ახალგაზრდა საოცარი სიმარდითა და ოსტატობით ხმარობდა.


რამდენიმე წამიც და ნახატი მზად იყო. ბავშვი დააკვირდა მას და ერთ-  
ბაშად გაეზადრა სახე: ქალაღზე გამოხატულ ბიჭუნაში თავისი თავი შე-  
იცნო. მას ლურჯი ტრუსები ეცვა, თეთრ მაისურზე ასო „დ“ ეხატა, ფე-  
ხებთან კი ბურთი ედო.

აჩიკომ სურათს თვალი მოსწყვიტა და მადლიერი მზერა მიაბურო ჯერ-  
ვაჟს, შემდეგ კი მზიას.

მზიამ შენიშნა, ბიჭს სიხარულის ცრემლი უბრწყინავდა თვალებში.







## შოთა ანანიძე

### ციურ დედოფალს

შეგარდენივით აიჭერ ცაში,  
შავი ღრუბლები ფრთებით გათელე,  
ვინ იცის, დაო, კოსმოსის ცდაში  
რამდენი ღამე თეთრად ათენე.  
ისე ვით მთვარემ, დაგვხედე თავზე,  
როგორც ვარსკვლავმა იწყე კაშკაში,  
მე გამითენდა ჩემს აივანზე.  
შემოგცქეროდი დედოფალს ცაში.  
ვარსკვლავთ სამეფოს რომ შეერკინე,  
შენ არ გაგვლია შიში ნორჩ გულში,  
მამულს მტრედევით შეესხა ფრთები —  
შენს გამირობაზე, დაიკო, გუშინ.  
შენმა სახელმა, ქუხილმა როგორც  
იფეთქა ქვეყნის კიდითი-კიდეს,  
იაროსლავლიდან მოფრენილ გოგოს  
ჩვენი ფიქრები კოსმოსში მიგდევს.  
გამარჯვებული შენ დაგვიბრუნდი  
და გულში გიკრავს ჩვენი ქვეყანა.  
ლექსმაც დატოვა მთვლემარე ბუდე  
და შენ ვარდებად გადმოგეყარა.



## გაბია ვაჩხანიძე

### ზ ლ ვ ა ს

დაუდგრომლობა შენ შთამაგონე,  
 აკვანი მე შენს ქარში დამირწეს.  
 გოროზ ტალღებში რომ ამაგორებ,  
 ასე მგონია, ცამდე ავიწევ.  
 ხან თუ ჩუმი ხარ, ვითარც თოლია,  
 ხანაც მქუხარე, ლომი ამარი.  
 შენი მარილი გამომყოლია.  
 შენი სუნთქვით და ქარით გავშავდი.  
 ჩემი მთის წყაროც შენ გარდამიქრე,  
 წყურვილი მაინც ვერ მოიკალი.  
 რომ დარდი ვიქმენ, რომ ცეცხლი ვიქმენ,  
 შენი ტალღები შემოვიკარი.  
 მე ვიცი, ვიცი, შორს სად იწყები,  
 სად მითავდები, სად გამეცლები,  
 ჩემი მიწიდან რომ გადიწევო,  
 თითქოს გაფრინდნენ ჩემი მერცხლები.  
 რაღაც დუმილად გადავიქცევი,  
 რაღაც ტკივილებს გულში გავიჩენ.  
 დიდ წყალთა შორის შენ მეფიცები  
 და წყალთა დედად მე შენ ავირჩევ.  
 უთვალავ ფერთა დედასაწუთროს  
 ლოკავ და ლოკავ ქინით, უწყალოდ:  
 იქნებ მით გვიყვარს საწუთრო უფრო

და მით გვებრაღვის მიწა უწყალო.  
 შენი ქარებით, შენი წვიმებით  
 რეკავს სიცოცხლე და არ თავდება...  
 ჩვენ წუთისოფელს სულ ვეწირებით,  
 შენ უკვდავება გადგას თავდებად-  
 დაუდგრომლობა შენ შემაყვარე  
 და შენს ზღვაურში სიმი ავიწყე.  
 მე შენ მადარდებ, მე შენ მახარებ  
 და სტყვარულით გულში ჩაგიწვენ...

## წუთისოფელი

ვუძღვნი ჩემს ვაჟს ნუგზარს.

ტუჩებზე ღიმი ვარდებს გაფარებს,  
 ვიცი, რად ელტვი ზღვასა და ბაღნარს.  
 ჩემი ოცნება მიუსაფარი  
 მიიწევს მაღლა, ლაყვარდზე მაღლა.  
 შენაც მაღლები და მე მგონია,  
 თანდათან თითქოს დავპატარავდი.  
 იქნება, ბიჭო, თვალი მომღლია,  
 იქნება, ბიჭო, რასმე მპარავდი.  
 ჩუმად იპარავ წუთებს და დღეებს,  
 მე მაკლდება და შენ გემატება,  
 როგორ ადიდდი პატარა ლეღე...  
 და წყალდიდობა მეც მენატრება.  
 მალე ლაყვარდა ნაპირს გადახვალ,  
 მე ნაპირიდან გადავიღევი.  
 ვა, წუთისოფლის მწარე დალახვრა,  
 ვა, წუთისოფლის სიამტკბილენი.  
 სინანულს მაინც ლექსით გავთელავ.  
 თავს არ დავუდებ, არა საწუთროს.  
 შენ მიტომ გაჩნდი, დიდი ნათება  
 ბედნიერებად დაისაკუთრო.  
 და მე გამოგწვრთნი, ვით ბარტყს არწივი,  
 რომ შენს ფრთათა ქვეშ მთები დადაბლდნენ.  
 მზეო, მიეცი მისი არჩივი,  
 ისიც, ცეცხლით რომ ასე დამადნე.  
 პატარა ბიჭი — ტალღა ამდგარი,

იგსები, ვითარც ახალი მთვარე.  
შენ ამოაესე ჩემი სანგარიც,  
დიდ წარღვნის უამს რომ სული ვაფარე,  
რომ დავბარბაცდი, ის ქვაც მოფშვენი,  
პატარა ჭერი ცამდე ასწიე.  
ბიჭო, დიდია წუთისოფელი.  
შორს შეიტყუებს შენს სიყმაწვილეს.  
სული იშფოთებს, სული ნაწაფი,  
ზოგჯერ მტრულად და ზოგჯერ მოყვრისად,  
განა ამაოდ ლექსი გასწავლე  
ვეფხთან მებრძოლი ვინმე მოყმისა.  
ტუჩებზე ღიმი ცისკარს ვაფარებს,  
ვიცი, რად ელტვი ზღვას და ვარსკვლავებს...  
და რომ მჯეროდეს ფიქრი ამკლები:  
ღარჩები ჩია, ასე პატარა,—  
ამოვავსებდი ჩვენთა ნაკვალევს,  
ვით ამოავსეს ძველი სანგრები.

## ს მ უ გ ე ლ დ ი !

ა, ეს ტაძარი? — უამის თამარის,  
მე მის დიდებას ასე რად ვჩემობ?  
მანდ სალოცავად არ მიმიხარის  
და არც მეჩეთში, ბატონო ჩემო.  
ქვევრი განახო სამასწლეული?  
მანდ ჭირვეულად მე შევაჩერო:  
ღვინოს ვსვამ ღვინოს გადაჩვეული,  
ნახე ჭაშნიკი, ბატონო ჩემო.  
იყვნენ მომხედურზე ასად მიმთვლელნი,  
ღრეობდნენ, ისხდნენ ხან სავაზიროდ.  
იყვნენ უებრო მოშაითენი  
და წიგნი ჰქონდათ წმინდა სამზითვო.  
იყვნენ... წარვიდნენ მეტად დაღლილნი,  
ვაზიც გარდაქრა, ღვინოც გარდაქრა  
და ჩემი მიწა, თაფლად დაღვრილი,  
მტერმა არად ქმნა.

ჯვარი, ტაძარი, კოშკი და ქვევრი,  
გაღამახედებს ჟამს დიდ წარღვნების,  
რომ არად იქცა აქ ყველაფერი,  
მაჰმადი იყო ციხის ამღები.

ისიც მტვრად იქცა...

შენ გაიხარე, ვაზის გამჩენო!

მოდო, გაშინჯე, ძმაო, ჭაშნიკი,

აჭარულია, ბატონო ჩემო.

ნეტავ, საითკენ მივეჩქარება

და რა იქნება, რომ შევაჩერო?

მობრძანდი, ცოტას ვიპურმარილებთ

და მოგასვენებ. ბატონო ჩემო.

მინდა განახო ჩემი სასახლე,

მინდა განახო ჩემი ბედელი,

შემოგატარო ჩემი სოფელი...

გაღამეღლები?

და მე შევიყვან მაღალ ტაძარში,

სადაც გალობენ ჩვენი გვრიტები,

ჩვენი ვეფხები, ბუღბუღო მბაძაენი

და ჩვენ, ჭარმაგნიც ავლიდინდებით.

სოფელი ფშვინავს და სიბრძნე ფშვინავს,

მოვიდა მარჯვე მხენელიც, მთესველიც,

დამწიფებული თავთავი ფშვინავს,

ლამის მეც ელვად დავიკვესები.

იქნებ პირველად მობრძანებულხარ,

მინდა ვიამბო... მინდა გაჩვენო...

ესეც ქართული სოფელი არი,

ხოშველდი ძმაო, ბატონო ჩემო!





## ბოკის მკვარველი

### ღ ი კ ლ ო მ ი

ავგისტოს მზით გავარვარებული ცა დასცქერის სტუდენტთა ქალაქს. კორპუსების წინ გაჭიმულ ქვაფენილზე ისე უღამაზოდ დაყრილან აკაციების დაკვრანჩხული და დაჩერებული ჩრდილები. თითქოს მათაც ცხელიდეთ. ჩვეულებრივი ხმაური არ ისმის კორპუსებიდან, კანტი-კუნტად, აქა-იქ თუ გამოჩნდება ორი-სამი გოგო ბიჭი...

სტუდენტთა ქალაქის ალაყაფის კარებში ტანახოვანი ვაჟკაცი გამოჩნდა. მას გალიფე შარვალი და ჩექმები ეცვა. ჯიბეებიან ხალათზე გულმოდგინედ შემოერთყა ფართო ქამარი. ხელში ცხვირსახოცი ეჭირა, რომელსაც მალიმალ ისვამდა ოფლიან სახესა და კისერზე. კაკარდიანი ქუდი მალდა აეწია და ცხენის ძუასავით ხეშეში თმა შუბლზე ჩამოყროდა.

მიდის ზანტად სიცხისაგან შეწუხებული არქიფო და ფიქრობს: „ერთი ჩვენებური დამანახა ვინმე, რომ სიხარული გავუზიარო“.

თითქოს ნატვრა აუსრულდა არქიფოს, მეოთხე კორპუსის წინ თვალი მოჰკრა ნაცნობ ბიჭს, რომელიც განმარტოებული იჯდა ძელსკამზე. მანაც შეამჩნია არქიფო, გაღიმებულმა წამოდგომა დააპირა, მაგრამ შეუყოყმანდა: ალბათ, იცნო და ვერც იცნო. „როგორ არ ვიცნობ! — გადაწყვიტა ბოლოს ბიჭმა. — ეგ ხომ ჩვენებური არქიფოა, უწერელები მეტსახელად „ბელდუყას“ ეძახიან. მე რომ მეორე თუ მესამე კლასში ვიყავი, ეს საშუალოს ამთავრებდა. მახსოვს, წიხლობაში ყველას ჯობნიდა; მაშინ პატარა ბიჭი ვიყავი და, ალბათ, არქიფოს არ ვახსოვარ“.

ბიჭი გაოცდა, როცა არქიფო მისკენ გაემართა.

— ალექსის ბიჭო, გამარჯობა შენი! ხომ კოწია ხარ შენ?

ბიჭი ღიმილით წამოიჭრა ძელსკამიდან და არქიფოს მიეგება:



— გაგიმარჯოს, არქიფო. აქ საიდან გაჩნდი?!

არქიფოს ოფლიან სახეზე ცეცხლივით შემოენთო ამყურველი. ლოყებზე ცხვირსახოცი ჩამოსვა და პირი ზანტად დაალო: *გინჯლითყა*

— მეც სტუდენტი გავხდი, კოწია, ამ სიბერის დროს. მამაჩემმა აღარ დამაყენა, ისწავლე, ისწავლეო და წელს რომ დავინახე, მეთერთმეტე კლასი მოუმატეს საშუალო სკოლებს და საშუალო დამთავრებულთა გამოშვება ერთი წლით გადაიდო, მეც ავდექი და ვტყუებ სატყუოზე თავი. თუ ღმერთმა მაღირსა დიბლომის აღება, მოვდგები და ვყიდი და ვყრი ამ ჩვენს ტყეებს.

— ერთი ეს მითხარი, მისაღები გამოცდები როგორ ჩააბარე?

— დიდი უბედურებით, ვაი-ვაგლახით, ნათესაეების დახმარებით...

კოწიამ არქიფოს უცნაური ჩაცმულობა შეათვალღიერა და მორიდებითა შეეკითხა:

— არქიფო, ამ სიცხეში ჩექმები რომ გაცვია, არ გცხელა?

— სრულებით არ მცხელა! აბა, ამ დამთხვეულ თბილისელებს რომ აცვიათ საცვალივით ვიწრო შარვლები და ქათმის ნისკარტივით წაწვეტებული ტუფლები, ის რა ჩასაცმელია! ისეთ ტანსაცმელს, მილიონი რომ მომცენ, არ ჩავიცვამ.

— რატომ, კაცო! — ეღიმება კოწიას.

— რატომ და კაცს კაცურად უნდა ეცვას. ეს ჩაცმულობა, რაც არის, არის, მაგრამ საკმელის ჭამაც არ იციან ამ თბილისელებმა!

— რატომ შე კაცო!

— ეს ორი კვირაა ბიძაშვილთან ვცხოვრობ. ყოველ დილა-საღამოს გამიწყალა გული ჩაის ჭიქების რაწკარუწკამა. დილით ჩაის სვამენ, საღამოსაც ჩაის. შუადღისას იქ არ შევდივარ, ალბათ, მაშინაც ჩაით იბერებოიან.

— რამ შეგაძულა ასე ჩაი, არქიფო?

— გაჩერდი, თუ კაცი ხარ! ჩაით გამაძლარი კაცი შევარცხვინე შე! რომ ვაავსებ თავამდე ხის ჯამს ლობიოთი და შიგ ჩაჩოხნი ჭადის ნატეხებსა და ამოძლები, ის არის მაღლი და მაშინ გაქვს მუშაობის წენი...

უცებ არქიფომ საუბარი შეწყვიტა და კოწიას ბლაგვი ხელი გაუწოდა.

— დიდხანს გამაჩერე შენ. აბა, კარგად იყავი, გნახამ, ალბათ, კიდევ.

დაიწყო არქიფომ სწავლა სატყუო-საინჟინრო ფაკულტეტზე. ოცდაათი წლის ვაჟკაცი ისე ჩანდა ცხრამეტი-ოცი წლის ბიჭებში, როგორც არწივი ჩხიკვთა ქორწილში. ლექტორებს აუდიტორიაში შესვლისთანავე თვალში ხვდებოდა მერხზე გოლიათურად წამომჯდარი არქიფო. ლექციის კითხვის დროს ისინი მეტწილად არქიფოზე აჩერებდნენ მზერას. მათ წარმოსახვაში იგი ყველაზე სერიოზული და კარგი მსმენელი ჩანდა.

მაგრამ პირველმა გამოცდებმა მათ ეს შეხედულება შეუცვალეს. მხრე-ში მოხრილი და ფერდაკარგული გავიდა არქიფო გამოცდებზე, ხელის

კანკალით აიღო ბილეთი. ლექტორმა შეატყო სტუდენტს მღელვარება და გასამხნეველად გაუღიმა.

— როგორ არის საქმე, რაჰველო?!

არქიფომ ზანტად ასწია თავი და ოდნავ გათამამებულმა აუჩქარებლად მიუგო:

— პატივცემულო ლექტორო, რაფა იქნება იმ კაცის საქმე, რომელსაც ერთი ურემი ცოლ-შვილი ჰყავს სარჩენი?

— როგორ, ბიჭო, ცოლი გყავს უკვე?

— მარტო ცოლს ვინ ჩივია, სამი შვილი ზედ მაყრია სარჩენად.

ლექტორმა დაწვრილებით გამოკითხა, რას აკეთებდნენ მისი მშობლები, როგორია მათი სოფელი... ბოლოს, ბილეთი გამოუცვალა არქიფოს, მაგრამ არც ამან უშველა საქმეს. ერთი საკითხის შესახებ ამოდერდა ორისამი ბლავი ფრაზა და გაჩერდა ბორბალგამოცლილი წისკვილივით.

ლექტორმა სიბრალულით შეხედა ფერდაკარგულ არქიფოს და წყნარად უთხრა:

— ამხელა კაცი ჩამოსულხარ ზემო რაჰიდან, ბავშვებთან ზიხარ მერხზე და არ გრცხვენია, ასე მოუშინებელი რომ გამოდი გამოცდებზე?!

— მაპატიეთ, პატივცემულო ლექტორო. ახლა ერთი საწყალი სამიანი დამიწერეთ და შემდეგ არ შეგარცხვენთ. კარგად ვისწავლი.

— კარგი, დაგიწერ სამიანს. მხოლოდ იცოდეთ, შემდეგისათვის კარგად მოემზადეთ.

გაოფლილი და აწითლებული, მაგრამ წელში და მხრებში გამართული გამოვიდა აუდიტორიიდან არქიფო. ორ ბიჭს, მხრებამდის რომ ძლივს წვდებოდნენ, ხელმკლავი გამოდო, წამოდით. დავლიითო, და კიბეზე დაეშენენ.

უმალესი მათემატიკის ლექტორი განცვიფრებული დარჩა, როდესაც არქიფომ გამოცდაზე სრული უცოდინარობა გამოამჟღავნა. მიუხედავად ამისა, მან წყნარად, ღიმილით გამოკითხა არქიფოს მისი ცხოვრების ამბები. არქიფოს ნელ-ნელა გაუქრა შიში და მორიდება, მზერა გაუსწორა ლექტორს და თქვა:

— პატივცემულო ლექტორო, ჩემი უშნო ბიოგრაფია უკვე მოგახსენეთ, ახლა ერთი გაჭირვებული სამიანი ისე მოგვიხდება მე და თქვენ, როგორც დათიკიანთ პავლიას მოწურული ღვინო.

ლექტორს გაეცინა.

— ვინ არის, ბიჭო, ეგ დათიკიანთ პავლია?!

— ზემო რაჰაში არის ერთი მეღვინე გლეხი;

ლექტორმა ხელი ჩაიქნია.

— ზემო რაჰველმა რა ღვინო უნდა დააყენოს, იქ ფრანგულას მეტი არც ერთი ჯიმის ვაზი არ ხარობს.



— რას ამბობთ, პატივცემულ ლექტორო, იმ პავლიას სულ მჯერა და ძველი ჯიშის ვაზები აქვს ჩაყრილი.

— მერე, ვერ დაიკავე მაკრატელი და ვერ დაუდექი გველიას?! ხომ ზედავ, სრულებით რომ არ გაქვს სწავლის ნიჭი.

— პატივცემულ ლექტორო, ერთი დიპლომი ჩამაგდებოე ზელში და მერე მე ვიცოყე!

ლექტორს გულიანად გაეცინა.

— გასაოცარი კაცი ყოფილხარ!.. კარგი, გიწერ სამიანს...

ხის ტექნოლოგიის ლექტორი უფრო მაკარი აღმოჩნდა და ულახათოდ ალულლულბულ, თავგზაბნეულ არქიფოს პირდაპირ მიახალა:

— საგანი არ იცი, ორიანს გიწერ.

არქიფომ დადვრემილი სახით შეხედა შუბლშეკრულ ლექტორს და ზანტად ამოდერდა:

— პატივცემულ ლექტორო, ადამიანისათვის სიკეთის გაწევვა საქმე, თორემ ჩაჭრა ადვილია! ჩაჭრით მეც შემიძლია ჩავჭრა კაცი, თუ შოვიწადინე.

ლექტორს ირონიულად გაეღიმა.

— აბა, ჩამჭერი მე, თუ შეგიძლია!

— როგორ, პატივცემულ ლექტორო, თქვენ როგორ ჩავჭრათ?! — გაიბატეა არქიფომ.

— 'შემეკითხე, რაც გინდა და ჩამჭერი, თუ ასე ადვილია ყველა კაცის ჩაჭრა.

— პატივცემულ ლექტორო, ჩვენ ზემო რაჭაში გვაქვს ერთი სათიბი — ველიგრძელა. იქ ვთიბავთ ზაფხულში ბალახს და ვდგამთ ზვინებს. აბა, თუ მეტყვიტ, როდის ჩამოგვაქვს ის თივა ქვევით?

ლექტორს ახლა ნამდვილად გაეცინა და პირდაპირ მიუგო:

— როდის ჩამოგაქვთ და შემოდგომაზე, თოვლის მოსვლამდე.

— ჩაჭრილი ხართ, პატივცემულ ლექტორო!

— რატომ, კაცო?!

— რატომ და, სანამ ზამთარი არ დადგება და წელამდე მაინც არ ჩამოთოვს, იქიდან თივის ჩამოტანა შეუძლებელია. თოვლში გავიყვანთ ვიწრო გზას, ერთმანეთზე საბლებით გადავბამთ რვა ან ათ თივის ზვინს და ისე ჩამოვაცურებთ ფერდობით ხევში; თოვლი თუ არ იქნა, თივა დაგორდება მთის ფერდობზე და მერე ეშმაკიც ვერ იპოვისყე.

ლექტორი გამხიარულდა და მოლბა.

— მადლობა ღმერთს, ეს საკითხი მაინც გცოდნია! კარგი, მეცოდები და გიწერ სამიანს, მხოლოდ ეს მიითხარი, სხვა საგნებში როგორ გაქვს საქმე?

— სხვა საგნებში არამიშავს-რა, პატივცემულ ლექტორო, თქვენს საგანში მიჭირს მხოლოდ...

— კარგი, კარგი, გიწერ სამიანს, ჯანდაბას შენი თავი!

ასეთი წვალებით და ხვეწნა-მუღარით დაამთავრა არქიფომ ინსტიტუტი. ხშირად გამოცდაზე ორ-სამჯერ გადიოდა. სამიანზე მეტყუარა საგანში არ მიუღია.

\* \* \*

ზაფხულის ცინცხალი დილის ოქროსფერი შუქი იღვრება შოვის ნაძვანარებში. ღრიანცელით, ლოდებზე მუხლების მტვრევით მორბის თავქვე ბუბის მთიდან გადმოვარდნილი ჭანჭახისწყალი. მოსარკული, ნაძვთა წვერებზე ჩამოხეული ცა ჩახატულია მდინარის კამკამა ზვირთებში. უღრანი ტყეების ზღვაში ნამგზავრი ხომალდებივით დამდგარან სანატორიუმები. წყაროების ჩხრიალი და ჩიტების ჭიკჭიკი ისმის გზატკეცილის გასწვრივ ტანაყრილ ტევრებში.

ნელი დიდინით მიჰყვება გზატკეცილს არქიფო. კმაყოფილი, მხიარული სახით გასცქერის ჭანჭახის გაღმა-გამოღმა ცამდე ატოტებულ ტყეებს.

ჭანჭახისწყალივით ჩაიარა ორმა წელმა მას შემდეგ, რაც არქიფო ინსტიტუტს დაემშვიდობა და მშობლიურ კუთხეს მიაშურა მეტყევე ინჟინრის დიპლომით.

ხიდის ახლოს, მყავე წყალთან მოკისკასე ქალიშვილებს მოკრა არქიფომ თვალი, მხერა შეუჩერდა მზეზე აბრაწულ მკლავებსა და მოხდენილ წვივებზე. „ვაი დედასა, ერთი ახლა ვიყო უცოლო, რავარ გვრიტს ავარჩევდიყე! მამაჩემს რა ვუთხრა, აღრე მომგვარა ცოლი!“

მყავე წყალთან ავტობუსი გაჩერდა. არქიფომ უხალისოდ შეათვალიერა ავტობუსიდან გადმოსული მგზავრები, რომლებიც წყაროს შეესივნენ.

არქიფო უცებ შედგა, თვალები გაუფართოვდა... და გაცეხილი მიამტვრდა ერთ ტანსრულ მამაკაცს, რომელსაც ჭილის ქუდი ეხურა და მწვანე პიჯაკი მკლავზე გადაეგდო. არქიფომ მაშინვე მისკენ გასწია:

— ალექსანდრე ივანიჩ, ალექსანდრე ივანიჩ... ეს თქვენ არა ხართ, პატივცემულო ლექტორო?!

ალექსანდრე გაცეხილი შემობრუნდა და ღიმილმა გაუბადრა მსუქანი პირსახე:

— ოჰ, არქიფოს ვახლავარ, არქიფოს! როგორ ხარ, ბიჭო, აქ რას აკეთებ? როგორ გყავს ერთი ურემი ცოლ-შვილი?

— რაჭის სატყეო მეურნეობაში ვმუშაობ, სატყეო უბნის უფროსი ვარ აქ. ხომ გახსოვთ, ალექსანდრე ივანიჩ, რომ დაგპირდით, რაჭაში თუ ჩამივარდით ხელში, კარგი პატივი უნდა გცე-თქო. ახლა რომ არ წამოხვიდეთ ჩემთან, თავს მოვიკლავ. აგერ, ახლოს ვცხოვრობ. საკუთარი სახლი ავაშენე. მამაჩემს გამოვექეცი სოფლიდან და კურორტზე ვცხოვრობ.

ეტყობა, ლექტორი კმაყოფილი დარჩა, მეგობრულად დაადო არქიფოს ხელი მხარზე:

— ახლა უნერხულია არქიფო, ექსკურსიაზე მივდივართ სოფელ ღურ-



შეკში. ხვალ დილით თუ გამომივლი სანატორიუმში, აუცილებლად წამოვალ...

მეორე დღეს, დილით, არქიფომ ალექსანდრე და მისი მეგობარი, რომელიც აგრეთვე ლექტორი აღმოჩნდა, სახლში მიიწვია. დილიდან დასდნენ და სამხრობამდე არ ამდგარან სუფრიდან სტუმრები და მასპინძელი.

შის ჩასვლისას ლექტორები, არქიფოს თანხლებით, ფეხით გაუყვნენ ჭანჭახს ადევნებულ გზატკეცილს. არქიფოს ენანებოდა სტუმრებთან განშორება.

უეცრად მათ გვერდით „ვილისმა“ ჩაიქროლა და მტვრის ღრუბელი წამოიშართა გზიდან. ლექტორებმა ცხვირსახოცები ამოიღეს და განზე გადადგნენ. „ვილისი“ მოულოდნელად შეჩერდა. ავტომანქანიდან შლაპიანმა კაცმა გამოყო თავი და არქიფოს ხელი დაუქნია. არქიფომ მყისვე იცნო სატყეო მეურნეობის დირექტორი და საზეიმო ელფერი გაუქრა სახიდან. ლექტორებს ბოდიში მოუხადა, ამ წუთში მოვლო, უთხრა და ავტომანქანასთან მიიბრინა. ლექტორები მანქანის ახლოს გზისპირას შედგნენ და საუბარი გააგრძელეს.

ნაძალადევად გაღიმებული არქიფო დიდკაცურად მიესალმა დირექტორს. შან უხალისოდ უბასუხა სალამზე და გოროზი თვალებით და შეკმუხენილი შუბლით გადმოხედა:

— კაცო, შენ ახლა სასეირნოდ გაქვს საქმე?! ასე რომ დასეირნობ ტურისტებით, სად დაკარგე სინდისი და შეგნება!

არქიფოს მკვდრის ფერი დაედო, შუბლზე ცივმა ოფლმა გამოჟონა, დაბნეულად მიიხედა უხერხულად გაჩუმებული ლექტორებისაკენ. მათ ყველაფერი ესმოდათ. ძლივს ამოილულლულა:

— რა გინდა ჩემთან, ტიტე პავლოვიჩ, ვმუშაობ, თავს არ ვზოგავ და მეტი რა ვქნა!

— ჰმ, მუშაობ!..— ჩაიცინა ტიტე პავლოვიჩმა.— ამ ორი წლის განმავლობაში, რაც შენ დაიწყე სატყეო უბნის უფროსად მუშაობა. სულ განადგურდა ტყეები. მე თვითონ ვნახე ბევრგან დაუდალავად გაჩეხილი ტყე. შენ კი არც ოქმი შეგიდგენია ამის შესახებ და არც ჩვენთვის გიცნობები. არ ვიცი, ეგებ შენ თვითონ აკეთებ ამ ბნელ საქმეს და ფულს იღებ ჯიბეში. ამასაც ამბობენ, აბა!

— რას ბრძანებთ, პატივცემულო ტიტე, მე ამას როგორ ვიკადრებ!

— ჰო, ჰო, ვიცი რა შეილიცა ხარ! ხვალ ჩამოხვალ სატყეო მეურნეობაში და მიიღებ განთავისუფლების ბრძანებას. არა, სულ არ გათავისუფლებთ, ჯერ ჩამოგაქვეითებთ. მელიქიძე იქნება უფროსი, შენ კი მისი მოადგილე.

— როგორ, ბატონო ტიტე, მე ბოლოს და ბოლოს, ინჟინერი ვარ, მელიქიძემ კი შარშან დაამთავრა ტექნიკუმი.

— საქმეც მაგაშია, — სულ აღარ დაინდო არქიფო უფროსმა.  
შენზე მეტიც იცის და პატიოსანიცაა.

არქიფო წახდა, სახე დაეღრიჯა.

— რას მიშვრები, მლუპავ, ხომ?!

— შენი თავი გლუპავს შენ, სხვა არაფერია!

ამ დროს ლექტორები ახლოს მივიდნენ ავტომანქანასთან, რომ უკეთ  
გაეგოთ საქმის ვითარება. რაღას იზამდა, არქიფომ უხალისოდ, დაბნეუ-  
ლად გააცნო მათ დირექტორი.

დირექტორს დამცინავად გაეღიმა და ალექსანდრეს მიმართა:

— თქვენ ბრძანდებით, ბატონო, არქიფოს ლექტორი?!

— დიახ. მე ვარ. რაშია საქმე?!

— მაღლობა ღმერთს! ახლა კი მჯერა, რომ ამ კაცს ინსტიტუტის კარე-  
ბი უნახავს. აქამდე კი დარწმუნებული ვიყავი, რომ დიპლომი ნაყიდი ჰქო-  
ნდა.

— რატომ ბრძანებთ, ბატონო, ამას. რა ჩაიდინა ასეთი?!

— რაც მაგან ჩაიდინა ამ ორ წელიწადში, ალბათ, ათ წელიწადშიც ვერ  
გამოვასწორებთ ჩვენ...

სატყეო მეურნეობის დირექტორმა შეამჩნია, რომ უცხო კაცს სახე  
წამოუწივით ღდა და სიტყვა აღარ გაუგრძელებია.

— კარგი, ბატონებო, ამაზე ლაპარაკი ამით დავემთავროთ. ვატყობ,  
აქეთ მობრძანდებით. ჩაბრძანდით მანქანაში, მიგიყვანთ.

ალექსანდრემ უხალისოდ აიჩეჩა მხრები.

— არა, ვმადლობთ, ჩვენ ფეხით წავალთ.

დირექტორი ენაჩაფარდნილ, გაოგნებულ არქიფოს მიუბრუნდა:

— აბა, შენ წამოდი ჩემთან! თქვენთან კი ბოდიშს ვიხდი, ბატონებო.

— არაფერია, ბატონო, არაფერი...

როდესაც „ვილისი“ თვალს მიეფარა, არქიფოს ლექტორმა თავისუფ-  
ლად ამოისუნთქა და ხელი ჩაიქნია.

— საიდან სად დაგვხვდება წამხდარი საქმე!.. იქნებ ჯობდა დიპლომი  
ნაყიდი ჰქონოდა. ერთი მისი თავი მომცა ახლა პირველ კურსზე და მერე  
მე ვიცი!



## ზურაბ შირვილაძე

### ღია ბარათი ნაცნობ ინჟინერს

ინჟინერო!..  
 გამარჯობა შენი,  
 გამარჯვება ისეც დაგდევს თავადა,  
 შენ ეგ სუფრა დიდებულად გშეენის,  
 სუფრას შენი დიდებული თამადა, —  
 თავს აწონებ ლეილას თუ ბათუს.  
 მალალ ყანწებს არჩევბივით აქენებ,  
 შენ ყველაფერს ეხარბები ქართულს,  
 თითქო ხვალის საქართველოს აშენებ.  
 შენ გიყვარდა სუნი ნედლი თივის,  
 ოდეს ხარებს მიუძლოდი გოლიათს.  
 გაუმარჯოს საქართველოს!.. — ჰკივი, —  
 საქართველო ამ ბოთლებში გგონია!  
 თვალს აყოლებ თეთრი კაბის ფათქუნს,  
 აზარფემას ხიბლავს ლალი შუქსავესე,  
 ხვალ რას ეტყვი ფარდალალა სართულს,  
 მიტოვებულს რუსთაველის ქუჩაზე?!  
 წამო ერთი, ჩემი ფიქრით წამო,  
 ალბათ, სიტყვაც გაქვს პურივით ალალი,  
 ფარდალალა ის სართული, ძმაო,  
 განა ჩვენი საქართველო არ არი?!.  
 რად დაგედვა ფერი ცის და ქინის,  
 ვაჟკაცს როგორ თოთო გული გქონია,

განა ჩვენი წინაპრები ღვინით  
 აშენებდნენ საქართველოს — გოლიათს?!  
 მიდი ჰკითხე ქვებს ვარძის, მცხეთის,  
 გელათის და ალავერდის ბალავარს,  
 სვეტიცხოველს, სამკვიდრებელს ღმერთის,  
 ჩუქურთმის და ორნამენტის ფალავანს.  
 შნო არ აკლდა ლაქვარდების თავანს,  
 ვინ იყო, რომ არ დამთვრალა ამ ეშხით,  
 ავთანდილი როს წინდავდა თამარს,  
 ღვინო მაშინ ქაფქაფებდა ჯამებში.  
 მზე და ჩანგი მოეკონათ გულთან  
 და უყვარდათ ხავერდები მთვარეში,  
 საფლავს როცა გაუთხრიდნენ სულთანს,  
 ღვინო მაშინ ქაფქაფებდა ჯამებში.  
 კირს სწვავდნენ და ამღერებდნენ ხანძარს,  
 იისფერი ზეცა ედგათ თვალებში,  
 როცა მამულს აუგებდნენ ტაძარს,  
 ღვინო მაშინ ქაფქაფებდა ჯამებში.  
 შენ კი?.. თითქოს გიყვარს სუნი თივის  
 და ქართული ყოველივე გრუჯავს შენ,  
 გაუმარჯოს საქართველოს! — ჰკივი,  
 მაგრამ ავერ, რუსთაველის ქუჩაზე...  
 წამო ერთი, ჩემი ფიქრით წამო.  
 ალბათ, სიტყვაც გაქვს პურივით ალალი,  
 ფარღალაღა ის სართული, ძმავ,  
 განა ჩვენი საქართველო არ არი?!

## ი ზ ო ლ დ ა

მზე ეფარება იისფერ კალთას,  
 ზღვა მოაგორებს იისფერ დაისს.  
 იგი ზის და შენს სიყვარულს ხატავს,  
 მაგრამ თვალეები გამოსდის მაინც.  
 ეთერში იის ქანაობს ტოტი,  
 ეთერში ელვის იფშენება მშვილდი  
 და ჩემთან დიდი ხმაურით მოდის,  
 თვალეები მრგვალი,  
 თვალეები მშვიდი.


პაწია კოვზით მე ამ ზღვას შევსვამ,  
ეპ... ოკეანეს რა ვუყო ფიქრის...  
დავჯდები, თვალებს დავხატავ შენსას  
და სიყვარული იქნება იგი.

## ემსგავსება მზიანს წვიმიანი ღღე

ზეცა ირეკება, ისე როგორც თუთა,  
მიმოზებზე ახლა ხვავიანად წვიმს,  
ჩემს პატარა გოგოს მოფერება უნდა,  
როცა ითხოვს ლოგინს,  
როცა ითხოვს ძილს...  
ვეფერები, თვალებს ია-ია სცვივა,  
კვირტებივით თითებს უკაკუნებს ყელს...  
და სარკმელზე ისევ წკარაწყურობს წვიმა.  
ემსგავსება მზიანს წვიმიანი ღღე.

\* \* \*


სუფთა გრძნობების იისფერ კართან.  
მე მოგიხმე და... მარადის დარჩი,  
მე შენს წინაშე ვტყუოდი მართლა,  
შენ ყველაფერი გჯეროდა მაშინ...  
ცა და მზე ერთად წავიდა მაღლა  
და უფუმბათო გვახურავს ჰერი,  
მე შენს წინაშე ვლოცულობ ახლა, —  
შენ არაფერი არ გჯერა ჩემი!



## აკაკი ჩხიტი

### მიყვარს გაზაფხული

მიყვარს გაზაფხულის ფრთათვითი პეპლები,  
 ლორთქო ყვავილებზე ნაზად რომ ფრთებს შლიან.  
 მიყვარს გაზაფხული, შენც შემოგველები,  
 ნამდვილი გაზაფხული შენშია.  
 მიყვარს ირემივით ყელს რომ მოიღერებ,  
 წარბი მომშვილდული გიგავს ცისარტყელას.  
 ეს — შენს სიყვარულზე წამომცდა სიძღერა,  
 თუმცა სიყვარული მუნჯსაც ამეტყველებს.  
 გულის ამ ლელვაში სიცოცხლის ღაღადია,  
 ხეთა ფესვებივით გულში ჩამეზარდე,  
 გარდა სიცოცხლისა, მე რა მბაღია,  
 სიცოცხლის მოლოდინში ვდგავარ პაემანზე-  
 ვხარობ გაზაფხულის ფარფაღა პეპლებით.  
 პეპლები ლექსის წერაშიც მშველიან.  
 აპრილის სიტკბოს ვსვამ, შენც შემოგველები, —  
 ნამდვილი გაზაფხული შენშია.







## მოკამედ დიბი

### ლ მ დ ი ნ ი

მოკამედ დიბი ცნობილი ალყირელი მწერალია. თავის ნაწარმოებებში მოგვითხრობს უბრალო ალყირელ ადამიანებზე, მათ ცხოვრებასა და ფრანგ კოლონიზატორთა წინააღმდეგ ბრძოლაზე.

ნაშუადღევს, როცა ხეტიალით დაქანცული ომარი შინ დაბრუნდა, ოთახს თვალისმომკრელი სინათლე მოჰფენოდა. ჭუჭრუტანებიდან შეჭრილი მზის სხივები შუაში ჰკვეთდნენ ლითონისებრ გავარვარებულ მკვრივ პაერს. ოფლად გაღვრილი აუიშა და მერიემი ერთმანეთს გვერდით მიწოლოდნენ და ოდნავ თვლემდნენ.

როგორც კი ხმაური გაიგონა და მიხვდა ძმა დაბრუნდაო, აუიშამ თავი წამოყო. წამომჯდარი, იდაყვებზე დაყრდნობილი, უაზროდ მიჩერებოდა იგი წერტილს. სასოწარკვეთილებით სავსე, გაოგნებული თვალებით შეყურებდა ძმას. ომარი სახტად დარჩა.

მშვიერი თვალეებით შესცქეროდა ომარი დას. ძლივს მოვიდა გონს აუიშა. თავის მოძრაობით მიუთითა ძმას ჯამზე, რომელშიც პურის ნამცეცები დაცურავდა. ომარი ჩაცუცქდა, თითებით ამოკრობა თოვლივით თეთრი სველი პურის ნამცეცები. შემდეგ სულმოუთქმელად ხარბად მოსვა ჯამში დარჩენილი წვენი.

მაშინ კი აუიშა გაბრაზებით მიუბრუნდა ძმას:

— შენ ისევ სამათხოვროდ იყავი?

— გეფიცები, არა...

— ნუ სტყუი. მე დავინახე, იამანისთან რომ შედიოდი.

— გეფიცები, ლელვის მოცემა უნდოდა, მაგრამ უარი ვუთხარი.

— შენ საკმაოდ დიდხანს დგახარ მეზობლების კარებთან.

— მან მხოლოდ რაღაც საქმე დამავალა.

— თავის საქმეებს თვითონვე მოუაროს. როგორც კი დედას დაუბრუნდება, ყველაფერს ვეტყვი.

— მე ხომ ვეუბნები...

უჯდაში წასვლისას დედამ რამდენიმე ფრანკი დაუტოვა აუიშას, უფროსს ბავშვებს შორის. მაგრამ ეს ფული დიდხანს კი ეყოფოდათ? ერთი დღის შემდეგ მათ აღარაფერი დარჩათ ამ ფულისაგან და ბედის ანაბარა აღმოჩნდნენ. იკვებებოდნენ იმით, რაც ხელში ჩაუვარდებოდათ: საქმლის წარჩენებით, თანაც რამდენიმე სუ ისესხეს.

ასე გავიდა სამი დღე. აინი კი აღარსად ჩანდა. ომარი არაერთხელ ჩააფიქრა დედის გადაკარგვამ. ომის გამოცხადების შემდეგ კონტრაბანდამ ისეთი გავრცელება პოვა, როგორც არასოდეს. თუმცა დედამისს განზრახული ჰქონდა აღარ ევლო უჯდაში, მაგრამ მაინც იძულებული გახდა კონტრაბანდად გამოეტანა მაროკოს ქსოვილი. ომარმა კარგად იცოდა, რომ დედა სახლს გაჭირვების გამო ტოვებდა. მის ყოველ დაბრუნებას თან ახლდა ოჯახის სიუხვე, თუმცა ხანმოკლე. რამდენიმე დღეს უზრუნველყოფილი იყვნენ. მაგრამ შემდეგ ისევ იწყებოდა გაჭირვება.

დედის მოლოდინში ომარი ხშირად უნებლიეთ შეჩერდებოდა ხოლმე მეზობლების კარებთან, უყურებდა როგორ შლიდნენ სუფრას. რამდენიმეჯერ კიდევ მიიწვიეს, ორიოდე ლუკმაც შესთავაზეს, მაგრამ იშვიათად თუ გამოართმევდა იგი. უფრო ხშირად დარცხვენილი უარს ამბობდა და ვარბოდა.

\* \* \*

მეოთხე დღეც მიიწურა. აინი კი კვლავ არ ჩანდა. ბავშვები დაიქანცნენ ლოღინით. მხოლოდ ხვალინდელი დღითაა სულდგმულობდნენ.

დედის წასვლის შემდეგ საათები, დღეები საშინლად ნელა მიიზლანებოდნენ. მთელი საათობით ბავშვები მდუმარედ ისხდნენ.

დღისით დალასლავდნენ აღელვებულნი, შემფოთებულნი. მათი შემფოთებული სახის დანახვისას სახლის სხვა მოზინადრენი შიამხებდნენ ხოლმე ბავშვებს:

— დედათქვენმა უკვე მიგატოვათ. მას სიზმარშიც კი ვეღარ ნახავთ!

ბავშვებმა იცოდნენ, რომ ეს ბოროტი, ავყია ხალხი იყო. ქალები ენამწარედ ჰკორიკანობდნენ.

— ვინ იცის, იქნებ ქმარიც კი იპოვა? მაშინ იგი შინ არასოდეს აღარ დაბრუნდება.

მათი დედა? არა, ეს სისულელეა! მაგრამ ამ ხალხს რა უნდა მათგან? მათი ბოროტი ენა ხომ კიდევ უფრო მტკივნეულს ხდის ბავშვების უბედურებას? ისინი ისედაც საკმაოდ გატანჯული არიან.

სახლის მეპატრონე დიასახლისიც ასევე უმოწყალოდ ექცეოდა მათ.  
ახლა, დედის შინ არყოფნის დროს, იგი სულ უფრო და უფრო მეტ სიბრძნე-  
ძაგლეს ამბობდა. ხმამაღლა ეუბნებოდა ყველას, ვინც კი არ დადიოდა  
მის მოსმენას:

— ხედავ, ამ უკულო ქალმა როგორ მიატოვა ბავშვები? საცოდავები  
შიმშილით იხოცებიან. უჰ! განა ეს შეიძლება?

იგი ფარისევლური შემბრალები თვალებით შეცქეროდა ბავშვებს, ეს  
ბებერი ბუ, ქალი, რომლის ბოროტებას სახლგარი არ ჰქონდა. იგი თავისი  
გესლიანი ვნით მოუწამლავდა ბავშვებს გულს. შემდეგ კი ბრიყვულად ჩა-  
იხითხითებდა:

— ხიხი-ხი!

რა საზიზღარი და ამაზრზენი იყო მისი ეს მხიარულება!

შიმშილისა და ლოდინისაგან განაწამებ ომარს ძალზე უჭირდა. იგი  
მისუსტებული ხმით ეუბნებოდა უფროს დას. შიმშილისაგან თავბრუ მეს-  
ხმისო. აუიშა ღუმდა. იგი მხოლოდღა ამას ეუბნებოდა ძმას:

— ალბათ, დედილო დღეს დაბრუნდება. სალამოს იგი სახლში იქნება.  
მაგრამ ამას ხომ ყოველდღე ამბობდა მას შემდეგ, რაც აინი სახლიდან

წავიდა!

აუიშა განმარტოვებოდა თავის კუთხეში, გულმოკლული ომარი კი  
თავისთვის მოიკალათებდა. ომარი გრძნობდა, რომ ამ წუთში მისი და წყე-  
ვლა-კრულვით იხსენიებდა დედასაც და მთელ ქვეყანასაც.

აუიშა უხეშად, დაუნდობლად ეპყრობოდა ომარსა და მერიემს.

— რა გინდათ ჩემგან? — გამწარებული შეყვირებდა უცებ. — დედა  
წავიდა, წავიდა, მიგვატოვა.

შემდეგ კვლავ გაპყვიროდა:

— განა მე გიმაღავთ ფულს? დედაჩემი თითქოს ორი დღით წავიდა,  
ოთხი დღე კი გავიდა!

ბოლოს კი დაიწყებდა ტირილს:

— მეტი არ შემიძლია! არ შემიძლია! თქვენ გადამრევთ!

\* \* \*

მეხუთე დღეს, ნაშუადღევს დამწუხრებული ბავშვები ისევ ელოდე-  
ბოდნენ დედას. აგვისტოს პირველი დღეების ქარნარევი სიცხე სხეულს  
უთუთქავდა მათ. საფეთქლები მტკივნეულად უცემდათ. თვალთ უბნელდე-  
ბოდათ. პაერი ცეცხლისებურ ზოლებს დაესერა. სიცხისაგან არაქათგამო-  
ლეული ბავშვები გამოტილიყვნენ ოთახის გარდიგარდმო. მათ წამოდ-  
გომის თავიც აღარ ჰქონდათ. წყურვილი ახრჩობდათ, მაგრამ პირგამომშ-  
რალთ წყლის დაღვეაც არ შეეძლოთ. შიმშილს მთლად მოეცვა ეს პატარა  
არსებანი.



სიბრაზითა და ბოღმით გაგულისებული აუიშა გვერდით იჯდა და თა-  
ვის ქნევით მიშტერებოდა და-ძმას. მან აუკრძალა ბავშვებს ზღუტეულებს  
კვნესას ველარ იტანდა. მათი ბრალი არაა? მით უარესი! დე გაჩუტეულებს  
მტანჯავმა დღეებმა ასე გულქვა გახადეს იგი. უცებ აქვითინდა. ამაოდ  
ცდილობდა ცრემლების შეკავებას უაზრო გაქვავებულ სახეზე.

დღე ნელა მიიწურა. ჩამოწვა ბინდი. ამ მწუხრის უამს ბავშვებს სევ-  
დით ავსებოდათ გული. მათ მოთმინებას ბოლო მოეღო. სასოწარკვეთი-  
ლებას მოეცვა ისინი.

მზის ჩასვლასთან ერთად ქარიც ჩადგა. ოთახში ჰაერი ფერფლივით  
გაშრა. ბავშვებს სიცხისაგან სული ეხუთებოდათ. ერთმანეთს მიწოლილ-  
ნი, თითქოს გახურებულ შავ ლუმელში იმყოფებოდნენ. შემდეგ თანდათა-  
ნობით ჩაეძინათ.

მეორე დღეს, რომელიც ომარს არასოდეს დაავიწყდება, სპილენძის-  
ფერი მზე მოეფინა არემარეს. პირქუშ ცაზე ქარდევნილი ღრუბლები ნე-  
ლა მიიზლახნებოდნენ. ასეთ ამინდს სიროკო უნდა მოჰყოლოდა. ამ დი-  
ლით ბავშვებს არაფრის იმედი არ ჰქონდათ. პურის ნამცეცვიც კი არ გა-  
აჩნდათ. ჰის წყლით პირი დაიბანეს, გამოთხიზლდნენ, და ისევე დაიწყო გუ-  
ლისწამლები ლოდინი.

ნაშუადღევს ოთხი საათია. ეს ის დროა, როცა უფროსი და ჩვეულებ-  
რივ ამბობდა, ამ მატარებლით უნდა ჩამოვიდეს დედაჩვენიო. ამის შემდეგ  
კი ლოდინს არავითარი აზრი არ ჰქონდა.

ომარი მშვიდად იყო, მაგრამ არა მერიემით განურჩეველი. მისი უმ-  
ცროსი და თითქმის ვერაფერს ვერ გრძნობდა: ვერც შიმშილს, ვერც მა-  
ტყლივით სქელ სიციხეს, ვერც მტანჯავ ლოდინს... კარის ზღურბლზე ჩამო-  
მჯდარს, პირში ჯოხი ჩაეჩრა და მშვიდად წუწნიდა. ყვითელი ნერწყვი შე-  
სქელებოდა ბაგეთა კუთხეში, სახე გაქვავებოდა.

რა თქმა უნდა, ყველაზე უფრო აუიშა დედაცა. მისი გულგრილობა  
მხოლოდ მოჩვენებითი იყო. იგი საშინლად განიცდიდა ყოველივეს.

ომარი ითმენდა. ფეხმორთხმული, მხრებში თავჩარგული იჯდა ოთა-  
ხის შუაგულში. იგი შეამფოთა მერიემის გამომეტყველებამ, მისი უმცრო-  
სი და ხანში შესულ, მოულოდნელად დაბერებულ ქალს უფრო ჰგავდა,  
ვიდრე პატარა გოგონას. მას თითქოსდა მთელი საუკუნე უცხოვრია, გო-  
გონას იერი კი შეუნარჩუნებია.

უცებ მათ სახლს, დარ სბიტარს, უჩვეულო გამოცოცხლება დაეტყო.  
გოგონები, აუიშა და მერიემი, კიბისაკენ გაექანენ. ქალები ხმაურობდნენ-  
ამ ხმაურში ომარმა იცნო დედის ხმა. მაგრამ წამოდგომის სურვილიც კი  
არ ჰქონდა. მეზობლები აინის გაოცების შეძახილებით და სიცილით შეხვდ-  
ნენ, აყრიდნენ უამრავ შეკითხვას.



ომარი ისევ თავის ადგილზე იჯდა. მას სულ უფრო და უფრო გულ-  
ვევით ესმოდა დედის ხმა.

მაგრამ ახლა არ სიამოვნებდა იგი, გულს უკლავდა. როგორც  
იმედით ელოდა მას. და მერე რატომ? ომარმა უცებ იგრძნო სიძულვილი  
ყველაფრისადმი და ამ წუთში სიკვდილიც კი ინატრა. მან იცოდა, თუ რა  
მძიმე იყო ცხოვრება. საბოლოოდ გულგატეხილი, უნუგეშო სასოწარკვე-  
თილებაში ჩააგდო უკიდურესმა გაჭირვებამ. რაღაც ჩაწყდა გულში.

გულისტკივილმა თანდათანობით, თითქმის შეუმჩნევლად იყუჩა. მაგ-  
რამ ომარს მაინც უნდოდა მკვდარივით უძრავი და უგრძნობი ყოფილიყო.  
სადაღა გაქრა მისი სიძულვილი? ნუთუ იგი აღარ გამოადგება? მხოლოდ სი-  
ძულვილია უმაგრებდა გულს. მაგრამ სად წავიდეს, ამ დუხჭირ ცხოვრებას  
სად გაექცეს? სადაც არ უნდა იყოს, სულ ერთია, იგი მაინც არ შეიცვლება.  
გაჭირვება ფეხდაფეხ აედევნება. მთელი ბავშვური გრძნობით ომარმა ისევ  
ინატრა ამქვეყნიდან გაქრობა. მაგრამ სადაც სულის სიღრმეში ამ ფიქრმა  
უნებლიე შიშით მოიცვა იგი. ცრემლები ზანტად ჩამოუცურდნენ დამჭკნარ  
სახეზე.

ფრანგულიდან თარგმნა პავლე ჯორბენაძემ.





ბეჟუა



საქართველოს  
განმანათლებლო  
სისტემა

საქართველოს  
განმანათლებლო  
სისტემა

## ნახვარი მალაზონია

### ბათუმში-სულო

მზავრის წიგნი

ვინც იცის, რომ მე ბათუმიდან ხულომდე და შემდეგ თვით საზღვრამდე ათეული წლებია ხშირად დავდივარ, ხოლო თითქმის ორმოცი წელია ამ მთებს და ზღვას შეყვარებულივით გავყურებ, უთუოდ გაუკვირდება: რაღა ახლა აღეძრა მაღა, ადრევე დაეწერა თავისი შთაბეჭდილებანი, როცა მისთვის აქ ყველაფერი ახალი და გასაოცი იყო.

მაგრამ ვისაც უვლია აჭარის მთებში, სოფლებში, შეხვედრია აქაურ კაბუეებს და ქალიშვილებს, მოუსმენია ბრძენ მოხუცთა დინჯი, აუჩქარებელი ტკბილი ქართული, იგი უთუოდ დამიდასტურებს, რომ მართალი ვარ: რამდენჯერაც არ უნდა მოიარო აჭარის-წყლის ხეობა, რამდენჯერაც არ უნდა ნახო მთეარის სიხლოვე ხულოში ან მზის ამოსვლა დიდაჭარაში, რამდენიც არ უნდა ინახულო ტბეთი, ღორჯომი, ქვანა თუ ხიხაძირი, ყოველთვის რაღაც ახალს, დაუჯერებლად გასაოცარ სილამაზეს ამჩნევ და გგონია, რომ დღეს პირველად ხარ აქ.

სხვებმა თუნდაც სხვა თქვან, მაგრამ მე ამ აზრისა ვარ!

და ეს მაწერინებს ამ ფურცლებს, ამ სტრიქონებს.

ძველად ასეთი შორი გზით წასვლისას ქრისტიანები პირჯვარს ვაღიწერდნენ, წაღმა შემობრუნდებოდნენ და ღმერთს ახსენებდნენ.

მუსლიმანები კი მშვიდობის გზას უსურვებდნენ მიმავალს—„უღურულათ“, ეტყოდნენ.

სხვათა შორის, ეს „უღურულა“ ლაზურიდან ხომ არ შევიდა თურქულში? დურა სიკვდილია მეგრულ-ჭანურ-ლაზურად. უღურულაც უსიკვდილობას, მშვიდობიან გზას ხომ არ ნიშნავს? ამას ენის სპეციალისტები იტყვიან, აღბათ.

ჩვენ კი, ხულოში, ღორჯომში მიმავალთ არც ერთი დაგვიკირვებია და არც მეორე. მანქანებში ჩავსხედით და რომელი წინ, რომელი უკან.

ანგისა, კახაბერი.

ევკალიპტებსა და ნარინჯებში სისინებს უჩუმრად ქვენაქარი... ძველებს უთქვამთ, თითქოს იგი დიდი კახაბრის მოქნეულმა ხმაღმა დასძრა. მერე რა ხანი გავიდა, ის ხმაღიც

გატყდა, მაგრამ ქარი არ შეწყვეტილა. ხმლის პატრონი კი სამუდამოდ დარჩნა ხარხერ-  
თქმაში: ყველა კაცი კაცი არის, კახაბერი სხვა კაცია!

შეიძლება ესეც მართალი იყოს: თითქოს სულხან-საბა ორბელიანს, შორეულ ქვეყნებში  
სა და მოქანცულს, გონიოში შეფერხებულსა და გაძარცვულს ისე ღრმად მოეხსენებინა  
ამოუხუნეშია, რომ კიდევ მრავალ საუკუნეს იცმარებს ქვეყნა ქარადო.

რა თქმა უნდა, ერთიც ტყუილია და მეორეც, მხოლოდ სახელოვან წინაპართა სადი-  
დებლად ნათქვამი.

ო, ეს დიდი წინაპრები!

დიდი კაცი იმითაც არის დიდი, რომ გარდაცვალების შემდეგ სიკეთეს თესავს.

ასე დიდი იყო სულხან-საბაძე. ასობით წლის შემდეგაც რომ აპარელ ბიჭს, ახალ-  
გაზრდა პოეტს ზურაბ გორგილაძეს ის ლექსი შთააგონა.

— ზურაბ, წაგვიკითხე! — ვთხოვე მე.

მანაც მისთვის ჩვეული ოსტატობით წაიკითხა.

და ჩვენ დაეტკბით. დაე, საბას მოსაგონარი და სადღევრძელო იყოს.

ჭალიანში მდორედ მოედინება ქოროხი. თუ დილადაა, მთებიდან მთებში გადმოქუ-  
ხებით. მიიწე რა პირქუშად გამოიყურება! ალბათ, სათავიდან ფიქრები და სევდა მოაქვს.  
აი მას აპარისწყლის კამკამა ტავლი შეერია. იგი ღიმილად დააჩნდა ქოროხის მღვრიე  
ფონს.

ეჰ, ქოროხი და აპარისწყალი! სხვადასხვა გარემოში მოედინებიან, თორემ ორივე  
თავიდან ბოლომდე ქართულია... იდინეთ, იდინეთ!

აპარისწყალი ქვევით მოქრის, ჩვენი მანქანები კი ზევით. წყალს ზღვისკენ მოეჩქა-  
რება, ჩვენ კი მთებისკენ, მთებში.

მარჯვნივ და მარცხნივ შრომის ყვირია. მდინარის ვაღმა-გამოღმა სიმღერის გუგუ-  
ნია და შრომის შეძახილებით შესევიან ნაგვიანეე გაზაფხულს, უტყვევ სამუშაოს.

აქ კარგად იციან, რომ ბუნების სილამაზე მაშინ არის კარგი, როცა ზედ შრომის სი-  
ლამაზეც ერთვის.

იწყება მთებზე მითესილი ყანები, გადამწვანებული თამბაქო.

უფრო ზემოთ კი მთებსა და გორაკებს ტყეები და ბუჩქნარები წამოუკიდიათ კეხიან  
ზურგზე და ცისკენ მიაქანებენ. ბილიყები გარბი-გამორბიან ფერდობებზე, ხშირად წყდ-  
ბიან ბუჩქებში, ტყდებიან და კვლავ ჩნდებიან. სწორედ ისე, როგორც მიაიკოვსკის  
სტრიქონები, და, როცა ამას ჩანჩქერების ქუხილიც ემატება, ასე გგონია, ხევეებსა და  
ფერდობებს კი არ გადიხარ, მიაიკოვსკის უკვდავ წიგნებს ფურცლავ.

მახუნცეთი. აწქესი.

აქ აპარისწყალი სინათლედ, სითბოდ და ენერგიად იქცევა. და ყოველივე ეს მიდის  
საქართველოს სიმდიდრეთა საერთო ჯამში.

მახარებს და სიმბოლურად მეჩვენება ეს: ჩემი სამშობლოს სიდიადე ასე იქმნება,  
საერთო ძალით — აწქესი, ზაპესი, ხრამპესი, აპარა, აფხაზეთი, სამეგრელო და სხვა და  
სხვა მრავალი...

ასე იგუგუნეთ, ჰესებო, იგუგუნეთ ყველა მდინარეზე, ყველა კუთხეში! ასე იშრო-  
მეთ ყველამ და ძმურად, შეკრული ძაღლონით ქედეთ ჩვენი ქვეყნის ბედნიერება!

ამ შთაბეჭდილებით დატვირთული შეეგრიადლით ქედამი.

ქედა დღეს ნამდვილ პატარძალივით მოჩანს.

ჯემალ ჯაყელს ეღიმიება. აქ დაიწერა მისი პირველი ლექსი და, ალბათ, მოაგონდა ის  
უსაზღვრო სიამოვნება, რაც განიცადა ამ ლექსის წაკითხვისას რაიონულ გაზეთში.

გვინდა სულ ვუტყვიროთ ფერდობზე შეფენილ თეთრ სახლებს, ყვავილებით დატ-  
ვირთულ ხეხილის ბაღებს, გახარებულ და გაფოთლილ ვენახებს...

მაგრამ მიგვეჩქარება. მივდივართ. თუმცა ბევრი ჩვენგანის გული ჯერ კიდევ ქედაშია.



ცხმორისი, ხიდი.

ხელმარცხნივ პატარა სოფელია — ნაძვევში შეფარებული რამდენიმე კახლქვილი ოღები თითქოს ცერებზე შემდგარან და ისე გადმოგვეტყვიან. ერთ სახლს კი წყნარად ბი უცინის მზის მოძალბებულ სხივებზე.

ეს ფრიდონ ხალვაშის სახლია. დავეინახა და შეწრილდა. უნდა ფრიდონი ვაწვიოთ და ჩვენც ვეწვიოთ.

ფრიდონიც ფართოდ გახელილი თვალებით დაქემს თავისი ბავშვობის ნაკვალევს ფერდობზე, სადაც თხები და ხბოები უძოვებია, სადაც ტოლ-ამხანაგებთან ათასი სათამაშო გამოუფონებია, სადაც მარწყვი და ყვავილები უკრეფია.

— ფრიდონ, უთხარი ლექსი შენს სოფელს! — შემოვლახეთ აქეთ-იქიდან.

— ლექსი?! — გამოერკვა იგი... — ვეტყვი... მაგრამ აქეთობისას... ახლა სიტყვა არა მაქვს... გაშრა!

ქელაში დაიწყო და თან მომყვება იუსუფ ფალავას „ხუმქრალი კერის“ სურათები. ...აი, მოხუცი კანიკაში ზის ფეხმორთხმით ქელაში, საპატიმროს წინ... მაზრის უფროსს შეუკრებია ურჩი აჭარლები, უარს რომ ამბობდნენ ისლამის მიღებაზე... დაეცა ერთი თავმოკვეთილი... გმინვა მოედო მიდამოს... აი, ამბობებული ვაყვაცები მოდიან დანდალოსკენ, რომ თურქთა ჯარებს შეებან.

მანქანამ ხიდი გაიარა, სიმაღლე აიღო და მეორე ხიდისკენ დაეშვა, ძველისძველი ხიდისკენ. რომელიც, ალბათ, რომაელების შემოსევის დროს აუგიათ. ეს ამოზნექილი, კირქვით უსაბრჯენოდ აგებული ხიდი ზურგით მისცხუნება გაზაფხულის მზეს და ძველებს იბობს.

მანქანა კი გაიჭრა აჭარისწყლის მარჯვენა მხარეზე და ქშენით მიჰქრის ამწვანებულ გორაკებისა და მთების გასწვრივ.

ხიკაურის ძველი ციხის ნანგრევმა ბეცი თვალებით შემოგვეხედა ტყიანი გორაკიდან და კვლავ ჩათვლიო. შეჩვევია ახლებურ ხმაურს და ხანდახან თუ მოაგონდება მშვილდისარი, ჩაფხუტებიანი მეომრები, ხმლების ლაწანი, მეციხოვნეთა შეძახილები და, ბოლოს, მაქახელას გრილი...

წაიღა დრო შფოთიანი, ამ ციხე-სიმაგრის ვაყვაცობის დრო!

ახლა აქ მანქანები განუწყვეტლივ გადი-გამოდიან გაწვრილებულ შარავზაზე და არაეის უკერის — არც ძველსა და არც ახალს, რომ არავინ შემოგხვდება ფეხშიშველი ან ქალამნიანი, რომ ბრიალა ქალიშვილი უჩადროდ ჩამოვიქროლებს გვერდით, მოგესალმება. შეკითხვაზე თამამად გიბასუხებს და გზას განავრძობს, რომ სკოლებში სიცოცხლე და ჟრიამულია, რომ მოსწავლის ფორმაში გამოწყობილი ბავშვები — ნორჩი პიონერები ლამაზად, ზრდილობიანად ჩაგივლიან...

აი ეს ასაქცივი გზა, ხელმარცხნივ რომ აიჭრა აღმართში, ნიგაზეულში შედის. ეს სახელი. ალბათ, იგივე ნიგაზიანია. და მართლაც უამრავი კაკლისხევა სოფელში.

მაგრამ აქ მთავარი მაინც ერთი სასაფლაოა. აქ უნდა ემარხოს ქართველი პატრიოტი სელიმ ხიმშიაშვილი, ვაყვაცი მამულიშვილი, რომელსაც სულთნის ჯალათებმა თავი მოკვეთეს... და მისი უკანასკნელი სიტყვები — „გურჯისტანი თურქებს არ დარჩება“ თითქოს ახლაც ჩამესმის...

შარავზას მომცრო გზა გამოეყო და თავქვე დაეშვა. იგი გადაკვეთს მდინარეს და ხეეში შეიჭრება. ყარადერე, წაბლანა, ჯაბნიძეები, ტბეთი, მესხაური, ვახტანგეთი, გოგაძეები... უჰ, აქ რამდენი მეგობარი მყავს! მარტო ხასან წულუკიძე რად ღირს!

მერე თოვლით დაფარული სასაზღვრო მთა... გადაღმა კი მიტაცებული შეეშეთი, ერუშეთი, არსიანი, ქართულად შემონახული სოფლები — იფხვრეთი, დიობანი და სხვანი...

შუახევში შევედით.

შუახევის ჯერ სრულიად ახალგაზრდა რაიონი გაუქმდა. მაგრამ ეს აქაურობას არც



კი ეტყობა, ისეთივე სიცოცხლე ჩქეფს ყოფილ ცენტრში, ისეთივე მშენებლობა და შრომის ფუსფუსია.

კულტურის სახლში რეპეტიცია უნდა იყოს: ალბათ, საესტრადო ბრიგადის შემთხვევა.

ჩვენ მივჭირვართ. ანდრო თევზაძე, რომელიც ქედაში შემოგვეერთდა, ეტყობა, რომ მოითხოვს ტენტი მოგვაცილებით... მაგრამ ამის დროა?!

— აბა, ხშირად მაინც გააჩერეთ... შეეხედო, დაეტბე...!

ჩვენ კი გვეჩქარება, ხულოში ველოდებიან.

გალმა, სხალთაში ძაფივით გაწყდა გზა... მწვანე გორაკებში დაიყარვა. ხიხაძის საცენსე-ხევე მიდის ის გზა. იქ პარმენ ლორის გამირები შრომობენ. ანდრო ბერტაძის გაყვანილი გზით შედიან სოფლებში.

ეპ, რატომ ჩვენთან არ არის პარმენი! მერე რა მადლიანი თბრობა იცის!

მთამ მთა შეცვალა, აღმართმა აღმართი... და მძაფრი მოსახვევის შემდეგ მალღობიდან გადმონათეს შეთერთებულმა სახლებმა.

— ხულო! — ერთად გაისმა რამდენიმე ხმა, თითქოს კოლუმბს შეეძახებინოს: „მიწა!“

მაგრამ ჯერ აყვავებული ოქტომბერი და ვაშლოვანი უნდა გავიართო. მერე ერთი-ორი მოსახვევიც.

და ხულოში ვართ.

ახლა გამოტოვებულა ნანა გვარიშვილი, აქამდე რომ მოყუყუელი, ფრთაჩამოყრილი იჯდა. იშვიათად ჩაგვერეოდა ამბავში... ხშირად ტყემალს — მწვანე ტყემალს ჭამდა, მანქანამ არ მაწყინოსო... ჩვენ ვეხუმრებით, ტყემალი რომ ასეთი წამალი იყოს, აფთიაქით იქნებოდა და არა ბაზარშიო. მაგრამ იგი მაინც თავისას გაიძახის — ტყემალმა მიშველაო... ასეა თუ ისე, კი ვადარჩა და...

თვალსა და გულს იტაცებს ხულოს მდებარეობა. მთის მაცოცხლებელი ჰაერი, წყაროები, კოხტად გადმოდგმული სახლები, ფერღობზე შეფენილი მოსახლეობა.

სამ ათეულ წელზე მეტია, რაც ხულო ვნახე პირველად. შემდეგ კი ყოველწლიურად თითო-ორორჯერ მაინც ვესტუმრები ხოლმე, თითქმის ორი წელი კიდევ ვცხოვრობდი და ვმუშაობდი აქ... მაინც არ იქნა და ვერ გავეშინაურე მას, თვალი და გული ვერ მოვიძლე მისი ცქერით.

უფრო მეტიც, ყოველ ახალ ამოსვლაზე იგი ახლებურად, რაღაც შეუცნობად მეჩვენება. ყველგან და ყველადგერში რაღაც ახალს ვხედავ, რომელიც დიდხანია არსებობდა, მაგრამ არ შემინიშნავს. და მივივრის, რატომ აქამდე ვერ ვნახე.

აჭარისწყლის გაღმა-გამოღმა ქედები უცნაურად შესცქერიან ერთმანეთს. გაღმიდან თავო და გამოღმიდან ქედლები მეგობრულად შესჩერებიან ერთიმეორეს და ჩანჩქერებისენით საუბრობენ.

ხულო, ხულო!

ვერც თურქთა სამასი წლის ბატონობამ, ვერც ძალად ჩაჩრიღმა ისლამმა, ვერც უამრავმა ხოცვა-ჟლეტამ, ალა-ბეგების მითრახებმა და თარეშმა — ვერავითარმა ძალამ ვერ გატეხა ზეგნელ აჭარელთა ნებისყოფა და ლტოლვა თავისუფლებისაკენ. უცხოელთა ბატონობისაგან თავდასხნისაკენ, დედა-საქართველოსთან გაერთიანებისაკენ.

იშვიათია ხალხი, რომელსაც ისტორიის უკუღმართობა ასე გმირულად გადაეტანოს საუკუნეთა მანძილზე და თავისი ეროვნული სული, ენა და ზნე-ჩვეულება შეენარჩუნებინოს.

ახლა დღითიდღე შენდება და მშენდება ხულო, როგორც მთელი ეს მხარე.

თუ საბჭოთა ხელისუფლებამდე აქ რამდენიმე ფიცრული და ბეგ ხიმშიაშვილთა ორი სახლი იდგა, ახლა ხულო პატარა ქალაქს წარმოადგენს. აქ არის ორსართულიანი კაპიტალური შენობები — ადმინისტრაციული სახლი, კომუნალური საერთო საცხოვრებლები.

სახალხო თეატრი, საშუალო სკოლა, ინტერნატი, ფოსტა-ტელეგრაფი, სამუსიკო სკოლა, საავადმყოფო, სასტუმრო, აფთიაქი, ბიბლიოთეკა... ერთი სიტყვით, ყველაფერი ის რაც დამახასიათებელია საბჭოთა მოწინავე დასახლებისათვის.

დღეს ხულო საზეიმოდ იყო განწყობილი. ეს ეტყობა მოსეირნე ქალ-<sup>ერქენულნი</sup> ვეზულნი<sup>მეცხე</sup> ლეებიც ასე ბლომად შეკრებილან მოედანზე: ეს ეტყობა მოსწავლეებს, რომლებიც მოზრ-<sup>ვენი</sup>დილ ჯგუფებად მოჩანან როგორც ქუჩებში, ისე სკოლისა და სასტუმროს წინ.

დღეს ხულოში პოეზიის დღეა.

სამ საათზე კულტურის სახლის დარბაზი გაქედლია ხალხით.

პოეტს ანდრო თევზაძეა ტრიბუნაზე. იგი ვრცლად ლაპარაკობს პოეზიაზე, ქართველ პოეტებზე. მსმენელებს ხიბლავს მისი მხატვრული შთამბეჭდავი სიტყვა, რომელიც ჩინებულად წაკითხული ლექსით დამთავრდა.

სცენაზე პოეტს პოეტი სცვლის. თავიანთი ლექსებით გამოდიან აგრეთვე ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტები — ახალგაზრდა პოეტები ცისანა ანთიძე, ომარ ვანაძე, იოსებ ჯორბენაძე.

შეკრება დამთავრდა.

ჩვენ კვლავ გვეჩქარება.

ხალხს კარგად უთქვამს, ცოცხალ ადამიანს მუდამ ეჩქარებაო.

და ჩვენც ეჩქარობთ.

ლორჯომში გველოდებიან. მიწვეული ვართ, არ ვიჩქაროთ?

„ვილისები“ სავსეა. ჩვენთან მოდიან რაიონის ხელმძღვანელი მუშაკები, პოეზიის მოყვარულები.

მხიარულება, სიმღერა, ხუმრობა, სიცილი, მოსწრებულ სიტყვა და... ფრთხილი მძლოლები!

თორემ საკმარისია ათიოდე სანტიმეტრი მარჯვნივ ან მარცხნივ და მშვიდობით, პოეზიაზე, ლორჯომო, ხულო!

ესეც ლორჯომი. ცენტრი. სკოლა.

დაქვეითდით. მოსწავლეები. მასწავლებლები. სოფლის ახალგაზრდობა. მოხუცთა საკმაოდ დიდი ჯგუფი.

ერთი სიტყვით, გველოდნენ და შეგვხვდნენ.

პოეტებს მოსწონთ მდებარეობა, ხიბლავთ ბუნების სიმდიდრე და სილამაზე.

— ამ მთას რა ჰქვია?

— ის რა სოფელია?

ეკითხებიან ბევრებს და მოზრდილებს დაინტერესებული სტუმრები.

აი, იმ მთაშია სოფელი ლურტა. დასანანია, რომ ლევან გელაძე აღარ არის ჩვენს შორის. მას აღარც თავის ლურტაში ელოდებიან.

ლევან, ლევან!

აი, იმ მთას გადაღმა, საზღვრისპირა მთაზეა ხიხანის ციხე. იქ ბუდობენ მამია ვარშა-ნიძის ხიხანელი არწივები.

ნამდვილად გვაკლია, რომ მამია ჩვენთან არ არის.

სალამო დაიწყო. მას ხელმძღვანელობს სკოლის დირექტორი ნური ირემიაძე. საქმიანი მოხსენებით გამოდის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი იური ბიბილე-იშვილი. მოსწავლეები კითხულობენ ლექსებს.

სალამო უკვე დიდი ხანია ღამედ იქცა. ლექსები უყვართ აქ. ლექსებს დაეინებით მოითხოვენ.

ვენატრობ ვიორგი სალუქვაძეს. ჩვენც გვეწყურდება მისი ომახიანად წაკითხული ლექ-სი „ზეიმი აჰარაში“. მაგრამ სად არის!

დადგა ჯემალ ჯაყელის, ზურაბ გორგილაძის და სხვა ახალგაზრდების ამინდი. მათ ხომ ლექსებით ვერ დაღლი.



იტყვიან, წაიკითხვენ და ახალი გამოხედვისათვის მზად არიან!

და ეს ხდება ღორჯომში.

მე ფიქრებს მივეცი თავი. მაგონდება ოცდაათიოდე წლის წინანდელი ღორჯომი.

რა იყო და რა არის?

როგორ იყო და როგორ არის?

უკვე ყველაფერი დაეწყო თავში მგზავრის წერილივით.

და ეს ფიქრები სუფრამდე მაწუხებდნენ, გამოთქმას მოხოდნენ.

ხოლო როცა შუალამე გადავიდა, უკანასკნელი საღვებრძელოს შემდეგ სიტყვა

მომცეს.

— ჩემო ღორჯომელებო!

ძველის მომსწრენო და ახლის შემოქმედნო.

წვერგაბენტილო მოხუცებო

და ტუჩებშექინქლული ჭაბუკებო,

იაზმამოფარებულო მანდილოსნებო

და თვალთა სახეანთებულო ქალიშვილებო,

წამიჩიტულო ბავშვებო და წითელყელსახვევიანო მოსწავლეებო!

თქვენი ქება მე ათეული წლების წინათ დაეიწყე. მაშინ მუქი წაბლისფერი თმა მქონ-

და. ცხოვრება წინ იყო და ადამიანის ჯანიც უძლეველი მეგონა.

მიყვარდით მთელი სიყვარულით და თქვენს სიხარულზე ვოცნებობდი.

ამიტომ არც გამივია, როდის და როგორ გავპლარავდი და, წარმოიდგინეთ, არც ის მჯერა, რომ მოვხუცდი.

თქვენ ჩემს თვალწინ შეიცვალეთ — დაქალდით და დაქაბუდით.

ჩემს თვალწინ ისე გაიზარდეთ, გაიფურჩქნეთ და აყვავდით. რომ ჩემს გახუნებულ სტრიქონებს ცალთვალმობუჭული რალაც ეჭვით გასტკერით... მე ვიცი, რომ ჩემი ლექსები აღარ ვაკმაყოფილებთ...

მე ვგრძნობ, თითქოს პირდაპირ, გასაგონად მეუბნებით:

— გმადლობთ, ძია კაცო, ესეც კარგია...

მაგრამ უკვე უკეთესის ღირსი ვართო..

და მე სწორედ მიხარია, რომ თქვენ მართლაც უკეთესის ღირსი ხართ.

შეიწირეთ ის მცირედი, რაც შევძელი და მოვახერხე.

შეიწირეთ ჩემი წრფელი გულით გათეთრებული ღამეები...

და მე მჯერა: თქვენი შესაფერი მესიტყვენი მოვლენ.

მწყობრი ნაბიჯით მოდის ჩვენი ნიჭიერი ახალგაზრდობა, ჩვენი ოქროს ფონდი!

და კიდევ ვინ იცის, ამ დარბაზში, ამ წითელყელსახვევიანთა შორის რამდენი იმალება თვალ-მარგალიტი ჩვენი მომავლისა და პოეზიისა!

ჩემო კეთილო ღორჯომელებო!

მე ჩემი ყანწი დავცალე ისე, როგორც შემეძლო... წვეთიც არ დამიზოგავს და არ ჩამიტოვებია...

ახლა ალავერდი თქვენთან ვარ, ჩვენო საიმედო ახალგაზრდებო!

ასახელეთ ჩვენი ხალხი!

ასახელეთ ჩვენი ქვეყანა!



## ჯაბალ ნოლაიელი

### მოგონებები ივანე ჯავახიშვილზე

ივანე ჯავახიშვილი იმ მკვლევართა პლედას ეკუთვნის, რომლებმაც წარუშლელი კვალი დატოვეს ქართული მეცნიერების ისტორიაში. ამავე დროს იგი ცნობილია როგორც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი, ახალი მეცნიერული კადრების მზრუნველი აღმზრდელი.

ივანე ჯავახიშვილს მეტად მგრძნობიარე ხასიათი ჰქონდა. იყო თავმდაბალი. როცა გესაუბრებოდა, გეგონებოდა, თითქოს ღვაწლმოსილი, ბუმბერაზი მეცნიერი კი არა, თანატოლიაო, თავაზიანობაში ბადალი არ ჰყავდა. სალამს ვერ მოასწრებდით. მასთან საუბარი — ეს იყო ცოდნის წყაროს დაწვება. თუ რაიმე ნაკლს შეგნიშნავდათ, თვითონ შეწუხდებოდა და გონივრულ რჩევა-დარიგებას მოგცემდა.

ი. ჯავახიშვილი უმწიკვლოდ ემსახურებოდა მეცნიერებას, მის სამსხვერპლოზე შეუდრეკლად მიჰქონდა მარად წმინდა გული. ერთი შეხედვითაც კი შეგავარდებოდათ ეს უბადლო, სახელოვანი მეცნიერი. მეც ასე, უნივერსიტეტში შესვლისთანავე ივანე ჯავახიშვილისადმი სიყვარული გამიძლიერდა. მიყვარდა და

თან დიდი მოყრძალება მქონდა ამ აღამიანისა.

\*\*\*

მთელი დღე მოუსვენრობას განვიციდიდი. ეღვლაედი. მართალია, ნაშრომი დალაგებით დაწერილი მქონდა, მაგრამ ღირდა კი მენახებინა იგი ივანე ჯავახიშვილისათვის და მისი აზრი გამეგო? ცხრილი გავსინჯე, საქართველოს ისტორია სამშაბოს და პარასკევს გვქონდა.

სამშაბათი დილაა. მესამე კურსზე ივანე ჯავახიშვილის ლექცია საქართველოს ისტორიაში 11 საათზე იწყებოდა. ორ დიდ საერთო რეჟელში სუფთად გადათეთრებული მაქვს ჩაშრომი — „ეთნოგრაფიული მასალები აჭარელთა ყოფაცხოვრებიდან“. გადავწყვიტე: დაამთავრებს თუ არა ლექციას, მივუსწრებ კათედრასთან და ვთხოვ. სიტყვები წინასწარ გაზეპირებული მაქვს: „ბატონო ივანე, აჭარელთა ყოფა-ცხოვრებიდან მასალები მაქვს და, თუ შეიძლება, გადაათვალიერეთ და თქვენი აზრი მითხარით!“ ვნახოთ, რას მეტყვის!

11 საათი შესრულდა. სტუდენტები აუდიტორიაში ვსხედვართ. მალე კარები გაიღო. ივანე მოღიმარე სახით თავაზიანად მოგვესალმა და კათედრაზე ავიდა.

დაიწყო ლექცია. ისტორიულ წყაროებს, თარიღებს, ყოველგვარ დეტალს ისე გვიყვებოდა, თითქოს ეს ყველაფერი კათედრალზე ეწყო და გვთავაზობდა. აღტაცებული სტუდენტები ხარბად ვუსმენდით.

ლექცია დამთავრდა. ის იყო, წამოდგომას აპირებდა, როცა შემინინა, რომ ორი საერთო რვეულით მისკენ მივდიოდით. წამოდგა და თვითონ მომეგება.

— ბატონო ივანე, — ვუთხარი მორცხვად, — აჭარის ყოფა-ცხოვრებიდან ცოტა მასალები მაქვს დამუშავებული და, თუ შეიძლება, გადაათვალიეროთ და თქვენი აზრი მითხრათ?

— დიდი სიამოვნებით, წავიკითხავ და ჩემს აზრს მოგახსენებ, — მითხრა სახელოვანმა მეცნიერმა, რვეულები გამომართვა და თავის პორთფელში შეინახა.

საქართველოს ისტორიაში ლექცია მესამე დღეს გვექონდა. ვიფიქრე: ასე ადრე როგორ შეძლებდა ჩემი მასალების წაკითხვას-მეთქი და, თვალში რომ არ შევჩეხებოდი, აუდიტორიაში უკან, შედარებით მოფარებულ ადგილას დავჯექი.

ლექცია დაიწყო. ვერც მოძრაობით გამოწვეულ ხმაურს, ვერც ჩურჩულს გაიგონებთ. ივანეს ლექციაზე საერთოდ ხმის ამოღებასაც ვერ ვბედავდით. განა იმიტომ, რომ გვეწინოდა? პირიქით, გვერიდებოდა. ლექცია დამთავრდა. აღვივლიდან არ ვიძვრი. ვადაწყვეტილი მაქვს — ჭერ გავიდეს აუდიტორიიდან და შემდეგ უნდა ავდგე. მალულად კათედრისაკენ გავაპარე მხურა. ვხედავ, რომ ივანე კარებისაკენ კი არა, პირდაპირ ჩემკენ წამოვიდა. სირცხვილით დავიწვი, ყურები დამიწითლდა. მაშინვე წამოგვარდი და მისკენ გავეშურე. მოვიდა, მოწიწებით ხელი ჩამომართვა, პორთფელიდან ამოიღო ჩემი საერთო რვეულები და მეუბნება: — დიდი სიამოვნებით და გულდასმით წავიკითხე თქვენი ნაწერები. ძალიან მომეწონა. თუ შეიძლება, მომავალ კვირაში ისტორიულ-საეთნოგრაფიო საზოგადოებაში საერთო კრებას დავნიშნავ და ეგ თქვენი ნაშრომი იქ წავიკითხეთ.

ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონ-

და. ეს იყო 1929 წელს. მაშინ ისტორიულ-საეთნოგრაფიო საზოგადოებაში, ჭავჭავაძის ქუჩაზე, თავმჯდომარეობდა კვირაში ორჯერ სტუდენტების კულტურულ-სპორტული ცენტრის ვაიკრა. სამწუხაროდ, მათი შინაარსი არ მახსოვს. ისინი ჩემს მოხსენებაზე იუწყებოდნენ. განცხადება პრესაშიც გამოქვეყნდა.

კრება საღამოს 8 საათზეა დანიშნული. ნახევარი საათით ადრე გამოვცხადდი საქართველოს მუზეუმის სხდომათა დარბაზში.

შევალე თუ არა დარბაზის კარები, ელდა მეცა. დარბაზი გაქედილი იყო პროფესორებით, ხანში შესული დარბაისელი ადამიანებით, რომლებიც ჩემს, ვიღაც სტუდენტის მოხსენებას ელოდებოდნენ. მე ძლიერ ავღელდი.

მალე გაისმა ზარის წყარუნთი. სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. თავმჯდომარემ გამოაცხადა: ეთნოგრაფიულ მასალებს აჭარელთა ყოფა-ცხოვრებიდან წაკითხავს ახალგაზრდა მეცნიერი ჭემალ ნოღაიდელი.

კათედრალზე მორცხვად შევდექი, გადავშალე საერთო რვეული და კითხვა დაიწყო. ერთი საერთო რვეულის წაკითხვას ორი საათი მოუწინა. აუდიტორია გულდასმით მისმენდა.

დავამთავრე თუ არა ერთი საერთო რვეულის წაკითხვა, თავმჯდომარემ შემაჩერა. დინჯად წამოდგა და გამოაცხადა: გაგრძელებას მოვისმენთ მომავალ პარასკევს, საღამოს რვა საათზე და კრება დასურა. ისტორიულ-საეთნოგრაფიო საზოგადოების სხდომები პარასკევებით, კვირაში ერთხელ იმართებოდა.

დამთავრდა თუ არა სხდომა, ამხანაგები, რომლებიც უნივერსიტეტიდან წამოყვანილნი, შემომეხვივნენ, შემაქვს და წამაქვს. მირჩიეს, მთელი კრებაზე უფრო გაბედულნი ვყოფილიყავი.

დადგა ეს დღეც. სხდომაზე იმდენი ხალხი მოსულიყო, რომ დარბაზში ნემსი არ ჩაეარდებოდა. კვლავ ორი საათი გაიგრძელდა კითხვა. დამთავრების შემდეგ რამდენიმე შეკითხვა მომცეს პროფესორებმა: გიორგი ახვლედიანმა, აკაკი

შანიძემ, არნოლდ ჩიქობავამ, ვარლამ თოფურიაშვილმა, სიმონ ყაუხჩიშვილმა, ნიკო ბერძენიშვილმა, სერგი მაკალათიამ და სხვებმა.

შემდეგ დაიწყო კამათი. საბოლოო სიტყვაში ლეაწმოსილმა მეცნიერმა ივანე ჯავახიშვილმა ქებით მოიხსენია ჩემი ნაშრომი. იქვე გადაწყდა, რომ ჩემი მასალები დაბეჭდილიყო. წიგნის რედაქტორად იმთავითვე სერგი მაკალათია გამოყვეს.

მას შემდეგ ივ. ჯავახიშვილთან კავშირი არ გამიწვევტია. უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე ბათუმში დაბრუნდი და აპარის ეთნოგრაფიის საფუძვლიან შესწავლას შევეუდღე. რამდენჯერაც თბილისში ჩავიდოდი, ისე უკან არ ვბრუნდებოდი, რომ პირველ რიგში ივანე ჯავახიშვილი და ვარლამ თოფურია არ მენახა. რადგან მეცნიერებაში პირველად ფეხი მათ ამაღმევიწეს. ხშირად ვხვდებოდი ავრეთვე გიორგი ახვლედიანს, აკაკო შანიძეს, არნოლდ ჩიქობავას, ნიკო ბერძენიშვილს, სიმონ ჯანაშიას და სხვ., რომელთა რჩევა-დარიგებანი, კონსულტაცია სტიმულს მაძლევდა და გაბედულებას მმატებდა.

ერთხელ ბათუმში სახელმწიფო ბანკს მუშაჲა უწყება გადმოძცა, რომ თქვენს სახელზე ორი ათასი მანეთია თბილისიდან გადმორიცხული და, როცა გნებავთ, გაიტანეთ. ვერაფრით ვერ გამეგო, თუ ვინ გამომიგზავნა ფული. მეორე დღეს ივანე ჯავახიშვილისაგან ვღებულობ წერილს და პროგრამა-ინსტრუქციებს. იგი მატყობინებდა: სარეწაო კავშირმა დამავალა, რომ დაწერო „შინამრეწველობისა და წვრილი ხელოსნობის ისტორია საქართველოში“. აპარაში ამ მასალების შეკრებას თქვენ უნდა უხელმძღვანელოთ და სარეწაო კავშირს ვთხოვე, რომ ორი ათასი მანეთი თქვენს სახელზე გადმორიცხონ. აპარაში ამ სამუშაოების საწარმოებლად.

1935 წელს ივანე ჯავახიშვილს ჩემი ძმის — ალ. ნოღაიდელის ხელით

პატარა ნარკვევი გავუგზავნე „გეოლოგიური წყობის გადმონაშთები აპარაში“ და ვთხოვდი, რომ შენიშვნები მომეხსენებოდა. თან დაკავშირებით დიდმა ბარათი მომწერა, რომელსაც აქვე გავაცნობ:

„ტფილისი, 1935. 9. VII.  
დიად ბატყეცემლო ბატონო ჯემალ! თქვენმა ძმამ თქვენი ნაშრომი გადმომცა, რომლშიც თქვენი ბარათიც იყო. მაშინ ჩემი ქალიშვილი აყო ძალიან მძიმე ავადმყოფი და ვთხოვე, რომ სამი კვირის შემდეგ შემოველო პასუხისათვის. მაგრამ მხოლოდ გუშინ შემოიარა და მას ვატან, როგორც თქვენს ნაშრომს, ასევე ამ ჩემს წერილსაც. თქვენი ნაშრომი სანტერესთა და საგულსხმო საკითხს ზება. იქ ბებერი საყურადღებო რამ შეგიკრებოთ. ჩემი აზრით, თქვენ მიერ დასახული მიზნის მისაღწევად და თქვენს ნაშრომს რომ ყოველმხრივი ღირებულება ჰქონდეს, კიდევ დამატებითი ცნობების შეკრება საჭირო და ზოგიერთი საკითხის გამორკვევაც არის აუცილებელი.

გვაროვნულ წეს-წყობილების ნაშთის შესახებ ცნობები თქვენ უმეტესად თქვენივე საკუთარი სიტყვებით გაქვთ მოთხრობილი, ამიტომ აქ ნახმარია თანამედროვე ტერმინები და გამონათქვამები: შეკითხვა, ანგარიში, არჩევა, გადაყენება, ორგანიზატორი, პოსტი და სხვა. აპარული გვაროვნული წეს-წყობილებს ვითარების გასათვალისწინებლად-კი აუცილებლად საჭიროა, რომ ვიცოდეთ, თუ თითონ ხალხი ყოველივე ამ ცნობის აღსანიშნავად რა სიტყვებსა და გამონათქვამებს ხმარობს. ამისათვის უნდა ქეიას და სხვა ზნეჩვეულების შესახებ მცოდნე მოხუცებულებს აამბობინოთ და მათი მონათხრობი სიტყვა-სიტყვით ჩასწეროთ. რაც უფრო მეტი გექნებათ ასეთი ჩანაწერები და სხვადასხვა ადგილას შეკრებილი, მით უფრო უხვი და მრავალმხრივი ცნობებისა და ტერმინების მქონებელი გახდებით, ზოგან თურქული ტერმინი შეგვხვდებათ,



ზოგან მის მაგიერ ძველ ქართულ ტერ-  
მინს ვაიგონებთ. გვაროვნული წეს-წყო-  
ბილების ნაშთს, ვითარცა უძველესი სო-  
ციალური დანაწევრების ანარეკლს, უუჭ-  
ველია, ქართული ტერმინოლოგია და სა-  
ხელები უნდა ჰქონოდა, თქვენ ცნობებში-  
კი, როგორც თქვენც აქა-იქ აღნიშნული  
გაქვთ, თურქული ტერმინოლოგიაა.  
ცხადია, ეს მერმინდელი მოვლენაა, ამი-  
ტომ წინადელი ქართული სახელების  
მოძებნა-გამორკვევაა საქირო. ცნობე-  
ბის სიტყვა-სიტყვითი ჩანაწერები აქარის  
სხვადასხვა ადგილას ამის საშუალებას  
მოგცემდათ. მარტო ზემო აქართ ნუ  
განსასწვრავთ თქვენი დაკვირვების ას-  
პარეზს: ზოგჯერ ქვემო აქარაშიც იპო-  
ვით ფრიად საყურადღებო ცნობებს. რო-  
ცა ამნაირად მასალებს შეაგროვებთ.  
მაშინ საბოლოოდ მოვილაპარაკოთ თქვე-  
ნი ნაშრომის გეგმის შესახებაც.

ესხლა შინა-მრეწველობისა და წვრილი  
ხელოვნობის ისტორიის მასალების შეგ-  
როვებაზეც. თქვენ ძმას თქვენთვის ვად-  
მოსაცემად მივეცი დაბეჭდილი ფურცე-  
ლი და პროგრამისა და ინსტრუქციის ში-  
ნაარსი გეცოდინებათ. ქალთა შორის ცნო-  
ბების შესაკრებად ჯერ რ. ხარაძე მან-  
დოდა, მაგრამ ის სენაეთში მიემგზავრე-  
ბა. ამიტომ მის მაგიერ ქართ. ენციკლო-  
პედიის მდივანი თამარ ანდლულაძე ავირ-  
ჩიე, რომელსაც აქარაში უმოგზაურნია  
და იქ ნაცნობებიც ჰყავს. დარწმუნებუ-  
ლი ვარ, რომ თქვენც ყოველნაირად  
ხელს შეუწყობთ აჭარელ ქალთა შორის  
ცნობების შეკრების გასაადვილებლად.  
შეკრებილი ცნობები უნდა ენკენისთვის  
დამღვეისათვის ჩამაბაროთ. თქვე-  
ნთვის ხარეწაო კავშირის მანდაურ გან-  
ყოფილებას უნდა ამ სამუშაოსათვის  
2000 მან. გადმოეცა. მიიღეთ თუ არა ეს  
ფული? ხასწრაფოდ მაცნობეთ ეს, რათ-  
გან აქ არ იციან, მანდაურმა ფილიალმა  
აახრულა ეს, თუ არა. იმედი მაქვს, რომ  
უხვსა და საინტერესო ცნობებს შეჰკ-  
რებთ. გისურვებთ ყოველგვარ ბედნიერე-

ბასა და წარმატებას — თქვენი

მოსურნე  
ივ. ჯავახიშვილი  
F. S. გთხოვთ თქვენი მუშაობის მიმ-  
დინარეობაზე დროდადრო მაცნობოთ  
ხოლმე.

ტფილისი, კალინინის ქ. № 66".  
პროგრამის, ინსტრუქციისა და ფულის  
მიღებისთანავე შევადგინე ექსპედიცია,  
რომელშიც შედიოდა ხუთი კაცი და ფო-  
ტოგრაფთან ერთად მასალებს შესაგ-  
როვებლად და სურათების გადასაღებად  
გავგზავნე ზემო აქარაში. მასალები თავის  
დროზე გადაეგზავნებოდა ივანე ჯავახიშ-  
ვილს, მაგრამ მისი დამუშავება და გამო-  
ყენება აღარ დასცალდა.

1935 წელს დაიბეჭდა ჩემი „ეთნოგრა-  
ფიული ნარკვევი აჭარელთა ყოფაცხოვ-  
რებიდან“. ეს წიგნი სათანადო წარწერით  
მიუძღვლენი ივ. ჯავახიშვილს. ეს იყო  
1935 წლის აგვისტოში. 1935 წლის 16  
ოქტომბერს ივ. ჯავახიშვილისაგან მივი-  
ღე შემდეგი შინაარსის წერილი:

ტფილისი  
1935 წ. 16/X.

დიდად პატივცემულო ბატონო ჯემალ!  
მეტისმეტმა მოუტყულობამ საშუალე-  
ბა არ მომცა აქამდის წერილი მომეწერა  
და მადლობა გადამეხადა თქვენი წიგნი-  
სათვის. ინტერესით და სიამოვნებით გა-  
დავიკითხე და ზოგი რამე ჩემთვის გა-  
მოსაღები ცნობებიც შემხვდა იქ.

თქვენი ნაშრომიდან ჩანს, რომ ნიჭი  
გაქვთ და დაკვირვების უნარიც გეტყო-  
ბათ. უფრო გაღრმავებული და ხანგრძლ-  
ვი შესწავლა შემდეგში უფრო მეტს  
შეგქენთ. მხოლოდ უნდა ეცადოთ ეხლა-  
ვე, ამ ორიოდ წლის განმავლობაში, მო-  
ახერხოთ ეთნოგრაფიული ცნობების შე-  
გროვება, სანამ მოხუცებულები კიდევ  
ცოცხლები არიან და ცხოვრებაც ჯერ  
მთლად შეცვლილი არ არის. ეცადეთ,  
რომ რაც შეიძლება მეტი ჩასწეროთ მო-  
ხუცთა ნაამბობი ყოფაცხოვრებისა და მე-  
ურნეობის ყოველი დარგის შესახებ და

წელიწადის სხედასხვა დროსა და დღე-სასწაულებთან დაკავშირებულ ზნე-ჩვეულებებზე. თქვენს ნაშრომში მე-18 გვერდზე ხმების სახელები მოყვანილია, მაგრამ ჩანს, ბანის სახელის მოხსენება გამოგრჩენიათ. ამას გარდა გთხოვთ მაცნობოთ, მთქმელი რატომ ეწოდება, რის მთქმელია, სიტყვებისა, თუ ხმის და სახელდობრ რომელი ხმის, წერილის, მომძახნელზე უფრო წერილის თუ არა? მომძახნელი რატომ ჰქვიათ ამ ხმას, რას მოსძახის? შემდეგ, გამყვიანი იგივე მოკრიმანჭულეა თუ არა? ბანს, როგორც ჩანს, 4 კაცი ამბობს, მაგრამ ერთნაირად ყველა, თუ ბანი ორნაირადაც ითქმის? ამის განმარტება ხალხური სიმღერის ხნიერს მცოდნეებს გამოჰკითხეთ და სი-

ტყვა-სიტყვით ჩამიწერეთ და თქვენი განმარტებითურთ გადმომიგზოვებთ, დიდი მადლობელი ვიქნები. მართლ თქვენი კეთილის მონატრული  
 ივ. ჯავახიშვილი

ამ წერილის მიღების შემდეგ დიდი დრო არ გასულა და მე ივ. ჯავახიშვილს პასუხი მიეწერე, რომელიც მან, ოფიციალური ნაწილი—1938 წელს თავის წიგნში „ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები“ გამოაქვეყნა.

ივ. ჯავახიშვილი იყო უდიდესი ერუდიციის მეცნიერი, შესანიშნავი მკვლევარი და კადრების აღმზრდელი. ქართველი ხალხი, მისი მოწაფეები დიდი მოამაგის — ივანე ჯავახიშვილის სახელს მოწიწებით ინახავენ გულში.





## კლასიკარ შაკაშიძე

# ჩსდმპ ბათუმის კომიზგეზი — პაკვიის II ყვიღობის მონაწილე

ჩსდმპ II ყვიღობას პარტიის ისტორიაში, მსოფლიო მუშათა რევოლუციურ მოძრაობაში უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა აქვს. ამ ყვიღობაზე შეიქმნა მუშათა კლასის ნამდვილი რევოლუციური პარტია, ახალი ტიპის მარქსისტული პარტია, რომელმაც რუსეთის მშრომელი ხალხი ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებამდე მიიყვანა და ამჟამად ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმიდან კომუნისმში გადასვლის გრანდიოზულ ამოცანას ახორციელებს.

ყვიღობა მუშაობდა 1903 წლის 17 ივლისიდან 10 აგვისტომდე (ახალი სტილით: 30 ივლისი—23 აგვისტო). 13 სხდომა ჩატარდა ბრიუსელში, მაგრამ იმის გამო, რომ ბელგიის პოლიციამ დელეგატების შევიწროება დაიწყო, ყვიღობა გადატანილ იქნა ლონდონში, სადაც მოეწყო 24 სხდომა.

ჩსდმპ II ყვიღობაზე მონაწილეობდა 26 ადგილობრივი პარტიული ორგანიზაცია. ყვიღობაზე წარმოდგენილ პარ-

ტიულ კომიტეტებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ჩსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტს, რომელიც 1903 წლის მარტის ბოლოს შეიქმნა.

დიდი ლენინი კარგად იცნობდა კავკასიის კავშირის საქმიანობას და წერილობითი ურთიერთობა ჰქონდა მასთან. ვ. ი. ლენინი სრულყოფილად იყო ინფორმირებული საქართველოში მუშათა მოძრაობის პირველი ნაბიჯების შესახებ და პირველი შესაძლებლობისთანავე ფართოდ ეხმაურებოდა „ისკრის“ ფურცლებზე.

სულ ლენინურ „ისკრაში“ დაიბეჭდა 50-ზე მეტი კორესპონდენცია, რომლებშიც გაშუქებული იყო საქართველოს პროლეტარიატის, მათ შორის ბათუმელ მუშათა ბრძოლის ღირსშესანიშნავი ამბები. პირველი კორესპონდენცია ბათუმიდან დაიბეჭდა 1902 წლის „ისკრის“ № 16 სათაურით „ბათუმი. მუშათა მოძრაობა კავკასიაში“. მასში ძირითადად აღწერილია ბათუმის ორი დიდი საწარმოს—

როტმისტრისა და მანთაშვიის ქარხნების მუშათა გაკორცხული მდგომარეობა და ახსნილია მუშათა უმწეობის მიზეზები. სულ ბათუმის შესახებ ლენინტრმა „ისკრაში“ 1902-1903 წლებში მოათავსა 30-მდე კორესპონდენცია და სხვა მასალა.

რსდმპ II ყრილობის მოწვევას წინ უსწრებდა საკმაოდ დიდი მოსამზადებელი მუშაობა, რომელიც განახორციელა სოარგანიზაციო კომიტეტმა. კომიტეტს შემუშავებული ჰქონდა ყრილობის ჩატარების წესდება, რომელსაც „II ყრილობის წესდება“ ეწოდებოდა. წესდების პროექტი წინასწარ გადაეგზავნა ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებს, საიდანაც მიღებული შენიშვნები გათვალისწინებულ იქნა საბოლოო რედაქტირების დროს. ამ წესდების შესაბამისად ამიერკავკასიიდან გაწვეული იყო კავკასიის კავშირი თავისი ძირითადი ადგილობრივი ორგანიზაციების — თბილისის, ბაქოსა და ბათუმის კომიტეტების სახით. თვითველ მათგანს დათმობილი ჰქონდა ორ-ორი ხმა. ესე იგი, თბილისის, ბაქოსა და ბათუმის კომიტეტებს ყრილობაზე შეეძლოთ გაეგზავნათ ორ-ორი დელეგატი.

რსდმპ ბათუმის კომიტეტის დელეგატად ყრილობაზე გაგზავნილი იყო ა. გ. ზურაბოვი, რომელსაც ორი ხმა ჰქონდა. ა. ზურაბოვი (1873-1920 წ.წ.), რომელიც ყრილობაზე გამოდიოდა ბეკოვის ხან კიდევ რაშიდ-ბეკის პარტიული სახელით, რევოლუციური მოღვაწეობა დაიწყო 1892 წელს ხარკოვის სტუდენტთა წრეებში. 1896 წელს იგი შედის ვ. ი. ლენინის მიერ დაარსებულ პეტერბურგის „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირში“. 1899 წლის დასაწყისში ა. ზურაბოვი გადმოსახლეს თბილისში, სადაც ირჩევენ რსდმპ თბილისის კომიტეტის შემადგენლობაში. იგი აქტიურად მონაწილეობს კავკასიის კავშირის კომიტეტის შექმნაში, ხდება მისი წევრი და შედის კომიტეტის ორგანოს „პროლეტარიატის ბრძოლის“ რედაქციის შემადგენლობაში. რუსეთის პირველი რევოლუციისა და მსოფლიო ომის პერ-

ოდში ემხრობოდა მენშევიკებს, იყო დასახლებაში, საიდანაც გაიქცა სპონტანურად. 1917 წლის თებერვალში ვოლუციის შემდეგ დაბრუნდნა მუშათა და შეყვანილი იქნა პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შემადგენლობაში. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ა. ზურაბოვი ამიერკავკასიაში იყო და აქტიურად იბრძოდა მენშევიკების წინააღმდეგ, საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის.

ყრილობაზე, როგორც ცნობილია, თავიდანვე იჩინა თავი განხეთქილება, რაც განპირობა იმ დროს პარტიაში არსებულმა სხვადასხვა იდეურმა მიმდინარეობამ. შექმნილ უთანხმოებათა მიხედვით ყრილობაზე ჩამოყალიბდა შემდეგი დავჯგუფებები: ისკრელები, რომელთაც 33 ხმა ჰქონდათ, მაგრამ ყველა მათგანი „ისკრის“ მტკიცე მიმდევარი არ იყო; 9 ხმა ჰქონდა არამტკიცე ისკრელებს, რომლებიც მარტოვს უჭერდნენ მხარს, და „ისკრის“ აშკარა მოწინააღმდეგენა, რომლებიც ითვლიდნენ 8 ხმას. დანარჩენი 10 ხმა ეკუთვნოდა ცენტრისტულ ელემენტებს, რომლებსაც „ქაობა“ ეწოდა. შემადგენლობის ასეთი სახესხვაობა ძირითადად პარტიაში შექმნილ ორ მიმდინარეობას გამოხატავდა: რევოლუციურსა და ოპორტუნისტულს. პირველის სათავეში იდგა ვ. ი. ლენინი, ხოლო მეორისა — მარტოვი.

ბათუმის კომიტეტის წარმომადგენელი ყველა ძირითად საკითხში მხარს უჭერდა მტკიცე ისკრელებს, ვ. ი. ლენინის წინადადებებსა და ფორმულირებებს. პარტიის პროგრამისა და წესდების თაობაზე გამართულ გადაწყვეტ დისკუსიაში ბათუმის კომიტეტის წარმომადგენელმა უყოყმანოდ დაიჭირა ვ. ი. ლენინის პოზიცია.

ყრილობაზე ვრცელი კამათი გაიმართა ბუნდის ადგილის შესახებ პარტიაში. ბუნდის წარმომადგენლები მოითხოვდნენ ერთგვარ ფედერაციულ უფლებებს რსდმპ პარტიასთან დამოკიდებულებაში.



თავიანთ მოსაზრებებს ისინი ასაბუთებდნენ ებრაელთა ეროვნული თავისებურებებით. ასეთი პოზიცია საფუძველშივე ეწინააღმდეგებოდა მარქსისტული პარტიის აგების ლენინურ პრინციპებს და სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის წმინდა ეროვნულ ჩარჩოებში ჩაყენებას ითვალისწინებდა.

ბუნდის შესახებ დისკუსიაში აშკარად იჩინა თავი ორმა ერთმანეთის საწინააღმდეგო ტენდენციამ: პროლეტარულმა ინტერნაციონალიზმმა და წვრილბურჟუაზტიულმა ნაციონალიზმმა.

ბათუმის კომიტეტის წარმომადგენელი სიტყვით გამოვიდა მეექვსე სხდომაზე, სადაც განიხილავდნენ საკითხს ბუნდის ადგილის შესახებ. ა. ზურაბოვა თავის სიტყვაში გააკრიტიკა ბუნდის წარმომადგენლის მ. გოლდმანის მოხსენებაში დაყენებული მცდარი დებულებები და ვ. ი. ლენინის შეხედულებათა პოზიციებიდან მოგვცა რიგი საკითხების სწორი, მარქსისტული ახსნა. ა. ზურაბოვა ამხილა ბუნდის წარმომადგენლის არასწორი, ანტი-მარქსისტული მოსაზრებები და მიუთითა, რომ სოციალ-დემოკრატია უნდა ისწრაფოდეს ყველა ორგანიზაციის გაერთიანებისა და შერწყმისაკენ და არა ეროვნული ორგანიზაციების შესაქმნელად თავისი პროგრამითა და წესდებით. „ყოველი სოციალ-დემოკრატია, — ამბობდა იგი, — იბრძვის ყოველგვარი ჩაგვრის წინააღმდეგ, მაშასადამე, ასევე იქვეა რუსეთის სოციალ-დემოკრატიაც. მოითხოვს რა ბუნდის განცალკევებულად არსებობას, ლიბერი (ბუნდოველი—ვ. შ.) იცავს საწინააღმდეგო შეხედულებას“.

ყრილობაზე გაიმარჯვეს ვ. ი. ლენინის მომხრეებმა, მტკიცე ისკრელებმა. დღევანდების უმრავლესობამ გამოთქვა აზრი, რომ რსდმპ უნდა აიგოს არა ეროვნული, არამედ ტერიტორიული პრინციპის მიხედვით, რომ ერთიანი პარტიის ორგანიზაციები უნდა შექმნას ყოველ რაიონსა და ქალაქში, ასეთ პოზიციაზე იდგა კავკასიის კავშირის მეორე წარმომადგენელიც, ბაქოს კომიტეტის დღევანდელი ლენინელ-ისკრელი ბ. კუნნიანიც.

რსდმპ 11 ყრილობაზე წარმოადგინა იყო მოხსენება ბათუმის კომიტეტის წმინდანის შესახებ. მოხსენებელი ბელია ბათუმის პროლეტარიატის ეკონომიური და პოლიტიკური ბრძოლების მნიშვნელოვანი მომენტები და ის დონისძიებება, რომლებსაც ადგილობრივი სოციალ-დემოკრატები ახორციელებდნენ მუშათა მასებში პოლიტიკური თვითშეგნების შესატანად, რევოლუციური განწყობილების ზრდის უზრუნველსაყოფად.

ბათუმში პირველი სოციალ-დემოკრატიული წრეების შექმნას მომხსენებელი უკავშირებს 1901 წელს. მას, აღმათ, მხედველობაში აქვს რსდმპ თბილისის კომიტეტის გადაწყვეტილებით ბათუმში თავისი წარმომადგენლის გამოგზავნა და სოციალ-დემოკრატიული წრეების ასალყაიდაზე შექმნა. სინამდვილეში მარქსისტული წრეები და საავტორიო მუშაობა ბათუმელ მუშებს შორის მანამდე წარმოებდა. ჯერ კიდევ 1896 წელს რუსმა მარქსისტებმა ი. ლუზინმა და ვ. ფრანჩესკიმ ბათუმში მოაწყვეს სოციალ-დემოკრატიული წრე, რომელმაც 1898 წლამდე იარსება. ამ წრემ მნიშვნელოვანი მუშაობა გასწია მუშათა ფენებში პოლიტიკური თვითშეგნების გაღვივებისათვის, შექმნა მუშათა სალონი, დაბეჭდა და გაავრცელა კარლ მარქსის ფოტოპორტრეტი, პირველად ქართულ ენაზე თარგმნა და პექტორაფზე დაბეჭდა „კომუნისტური პარტიის მანიფესტის“ ცალკეული თავები.

მოხსენებაში განსაკუთრებით ხაზგასმულია ბათუმის მუშების ერთსულოვნება, მონოლითურობა და სოლიდარული განწყობილება, რაც ქარხნების მეპატრონეთა წინააღმდეგ ბრძოლაში ბევრჯერ გამხდარა მათი გამარჯვების საწინდარი.

მოხსენებაში ლაპარაკია იმ დონისძიებებზე, რომლებსაც ბათუმის კომიტეტი ახორციელებდა ხელმძღვანელ პარტიულ მუშაობაში რაც შეიძლება მეტი პროლეტარული ელემენტების ჩასაბმელად.

თუ პირველ ხანებში ბათუმის კომიტეტის შემადგენლობაში სამი ინტელიგენტი და სამი მუშა იყო, შემდეგ, გადახალისებულ კომიტეტში უკვე სამი მუშა და ორი ინტელიგენტი შევიდა.

კომიტეტი იმისთვისაც ზრუნავდა, რომ მოემზადებინა მუშა პროპაგანდისტები. ამ მიზნით უფრო განათლებული მუშებისათვის შექმნა ე. წ. მოწინავე წრეები. აქ მომზადებული მუშები წარმატებით ართმევდნენ თავს პროპაგანდისტის რთულ მოვალეობას.

სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობაში მუშათა და ინტელიგენციის დამოკიდებულების საკითხი ბათუმის კომიტეტს თავიდანვე სწორად ესმოდა. კაპიტალიზმის პირობებში, სადაც წარმოებს შეუპოვებელი ბრძოლა ორ ძირითად კლასს — ბურჟუაზიას და პროლეტარიატს შორის, ბურჟუაზიის ყველაზე მოწინავე და ვაბედელი ნაწილი კავშირს წყვეტს თავის კლასსთან, გადადის მუშათა კლასის რიგებში და თავის ბედს სამუდამოდ უკავშირებს მშრომელ მასებს. ასეთი კატეგორიის ინტელიგენცია მოწოდებულია მუშათა ფენებში შეიტანოს სოციალისტური შეგნება, მუშათა მოძრაობა დაკავშიროს მარქსიზმის მეცნიერულ მოძღვრებას. მშრომელთა ინტერესების გამომხატველი ინტელიგენცია არა მარტო პროპაგანდისტულ საქმიანობას ეწევა, არამედ პროლეტარიატთან ერთად პრაქტიკულადაც მონაწილეობს კომუნისმის იდეალებისათვის ბრძოლაში.

ინტელიგენციის დამოკიდებულების საკითხი მუშათა მოძრაობისადმი ბათუმელ სოციალ-დემოკრატებს თავდაპირველად ერთნაირად რღობ ესმოდათ. ამით იყო გამოწვეული, რომ ბათუმის სოციალ-დემოკრატთა ერთმა ჯგუფმა 1902 წლის შუარიცხვებში პეტერბურგის კომიტეტს სთხოვა განემარტა მათთვის საინტერესო სამი საკითხი. ერთი მათგანი ენებოდა ინტელიგენციის დამოკიდებულებას მუშათა მოძრაობისადმი. პეტერბურგის კომიტეტის პასუხი ბათუმელი მუშებ-

სადმი გამოქვეყნდა გაზეთ „ისკრას“  
ბათუმის სოციალ-დემოკრატიული წრეების პროპაგანდისტებად მუშაობისათვის  
როგორც ადგილობრივი, ისე მხარეებისა და გამოგზავნილი ამხანაგები, მაგრამ მაინც შეინიშნებოდა პროპაგანდისტთა კადრების ნაკლებობა, რისთვისაც მომხსენებელი მოითხოვდა რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის ქმედით დახმარებას.

პროპაგანდისტის ცოცხალი სიტყვის გარდა, სოციალიზმის იდეების ქადაგებისათვის კომიტეტი ფართოდ იყენებდა არარეგალურ და ლეგალურ პოლიტიკურ და მხატვრულ ლიტერატურას. ბათუმელი მუშები ვატაცებით კითხულობდნენ ლენინურ „ისკრას“ და „ზორიას“, „ბრძოლას“ და სხვ. განსაკუთრებით ეწაფებოდნენ ისინი პროკლამაციებს, რომლებსაც ხშირად ბეჭდავდნენ ბათუმის კომიტეტის არალეგალურ სტამბაში, აგრეთვე იღებდნენ რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტიდან.

ბათუმის კომიტეტის გამგებლობაში, ამბობდა შემდეგ მომხსენებელი, მუშათა საღარო, რომელსაც სპეციალური კომისია განაგებს, საღაროს შემოსავალი ანარიცხები მუშათა ხელფასიდან, რაც თვეში საშუალოდ 600-700 მანეთს უდრის. ამ თანხიდან 100 მანეთი იგზავნება კავკასიის კავშირის კომიტეტის ფონდში, დანარჩენი ხმარდება ბათუმის კომიტეტის საპირობებს (ტრანსპორტი, დახმარება პატიმარ მუშებსა და შათი ოჯახის წევრებს და სხვ.).

მომხსენებაში თვალსაჩინო ადგილი აქვს დათმობილი ბათუმელი მუშების 1902 და 1903 წლების 9 მარტის პოლიტიკური დემონსტრაციების აღწერას. მითითებულია, რომ ფართოდ გამოყენებული საგაფიცო მოძრაობის საფუძველზე მუშების პოლიტიკურ აღზრდასა და რევოლუციური ბრძოლების გაფართოებას შედეგად მოჰყვა პროლეტარულ მოძრაობასთან სოციალიზმის შეერთების ლენინური პრინციპის განხორციელება. მომხსენებაში ნათქვამია: „1902 წლის



უდიდესმა დემონსტრაციამ მუშებს დაუმტკიცა, რომ მათი ყველაზე ძლიერი მტერი — ეს არის მთავრობა, რომელმაც დახვრიტა გავიქულები. თავისუფლებისათვის ტანჯულ მებრძოლთა თხოვნები საფლავი მკვერმეტყველურად ვუბნება ბათუმელ მუშებს, ვისთან უნდა იქონიონ ჯერჯერობით საქმე“.

ქალაქის პროლეტარებს შორის მუშაობასთან ერთად ბათუმის კომიტეტი ყურადღებას უთმობდა სოფლის მოსახლეობას. სოფლებში ავსავნიდა თავის წარმომადგენლებსა და პროპაგანდისტებს, ავრცელებდა არალეგალურ ლიტერატურას. ამ საქმეში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს აგრეთვე 1902 წლის 9 მარტის პოლიტიკური დემონსტრაციის მონაწილე მუშებმა, რომლებიც პოლიციამ გაასახლა ბათუმიდან. სოფლად მუშაობისათვის ბათუმის კომიტეტთან არსებობდა განსაკუთრებული კომისია.

მოსხენებაში მოყვანილია მასალები გურიის გლეხთა შორის რევოლუციური საქმიანობის შედეგების შესახებ. კერძოდ, ხაზგასმულია, რომ გლეხები უარს აცხადებდნენ დაემუშავებინათ მემამულეთა მიწები, გადაიხეხეს ტყეები და დაიწყეს გაწმენდილი მიწების დამუშავება. გურიის გლეხობის ასეთი რევოლუციური ალტკინებით შეშინებული მაზრის უფროსი იწვევს შეკრებებს და გლეხებს დაპატიმრების მუქარით მოუწოდებს დამუშაონ მემამულეთა მიწები, მაგრამ გლეხები მტკიცედ იცავენ თავის გადაწყვეტილებებს.

მოსხენების დასასრულს აღნიშნულია ჯარისკაცთა შორის რევოლუციური პროპაგანდის წარმოების საჭიროება, რასაც წინათ კომიტეტი ნაკლებ ყურადღებას აქცევდა.

ბათუმის კომიტეტის მოსხენებაში ძირითადად სწორადაა წარმოდგენილი ბათუმში წარმოებული რევოლუციური საქმიანობა, მაგრამ მთელი რიგი საკითხე-

ბი გამორჩენილია ან არასრულყოფილად შექმნილი. ამის მიზეზი ის არის, რომ ბათუმის კომიტეტის დელეგატები ბათუმი იმყამად ბათუმში არ მუშაობდა და კომიტეტის მრავალფეროვანი საქმიანობის კურსში არ იყო. უნდა ვიფიქროთ, რომ მას ხელთ ჰქონდა ბათუმიდან გაავსავნილი მასალები, რომლებიც საკმარისე არ აღმოჩნდა უფრო სრულყოფილი მოხსენების შესადგენად.

რსდმპ II ყრილობის ისტორიული მნიშვნელობა ის არის, რომ მან საფუძველი ჩაუყარა ახალი ტიპის რევოლუციურ მარქსისტულ პარტიას, რომელსაც ბოლშევიკების პარტია ეწოდა. ყრილობაზე გამომდევნდა სერიოზული უთანხმოებანი, რომლებიც პირველ ხანებში ორგანიზაციულ ხასიათს ატარებდნენ, მაგრამ მალე პარტია გაიყო ორ მოწინააღმდეგე ნაწილად — ბოლშევიკებად და მენშევიკებად. ბათუმის კომიტეტის დელეგატმა ყრილობაზე თავისი მოქმედებით ხელი შეუწყო რევოლუციური პროლეტარიატის ნამდვილი პარტიის შექმნისათვის ოპორტუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ვ. ი. ლენინის გამარჯვებას. კავკასიის კავშირის მეორე დელეგატთან ბ. კუნნიანთან ერთად იგი მტკიცედ იღვა ისკრელ მეთმრავლესეთა რიგებში და ყრილობიდან დაბრუნდა, როგორც ბოლშევიკი-ლენინელი.

კავკასიის კავშირის კომიტეტი, შეაჯამა რა რსდმპ II ყრილობის შედეგები, უყოყმანოდ დადგა ვ. ი. ლენინის პოზიციებზე და თავი ბოლშევიზმის მიმდევრად გამოაცხადა.

კავკასიის კავშირის კომიტეტის თანმიმდევრული და გაბედული ბრძოლა მენშევიკების წინააღმდეგ ვ. ი. ლენინის დიდ აღფრთოვანებას იწვევდა.


ყრილობიდან დაბრუნების შემდეგ კავკასიის კავშირში შექმნილი მდგომარეობისა და მენშევიკების წინააღმდეგ ბრძოლის თაობაზე ბ. კუნნიანცმა და ა. ზურაბოვა ვ. ი. ლენინს მიაწოდეს ვრცელი

ენობები. ამ მასალების საფუძველზე ვ. ი. ლენინმა ვ. ვ. პლехანოვთან ერთად კავკასიის კავშირის კომიტეტს გამოუგზავნა წერილი, რომელშიც წერდა: „ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ მივესალმოთ თქვენს გადაწყვეტილებებს...“ ვ. ი. ლენინი კავკასიელ ბოლშევიკებს უსურვებდა: „დაე კავკასიელი ამხანაგები მტკიცედ იდგნენ იმ გზაზე, რომელსაც ისინი დაადგნენ“. წერილის დასასრულს ვ. ი. ლენინი წერდა: „ჩვენ ახლა ძალიან ვფიქრობთ იმაზე, რომ მოვაწყოთ აქ ქართული და სომხური ლიტერატურის გამოცემა“. წერილი მთავრდება მოწოდებით: „სალამს ვუძღვნით კავკასიელ ამხანაგებს და მხურვალედ ვუსურვებთ წარმატებებს მუშაობაში“ (ტ. 34, გვ. 105).

კავკასიის კავშირის კომიტეტი მთელ თავის მოღვაწეობაში მტკიცედ ასრულებდა ვ. ი. ლენინის მითითებებს. იგი ყოველთვის იყო რსდმპ ბოლშევიკ-ლენინელთა ავანგარდში.

60 წელი გავიდა რსდმპ II ყრილობის მოწვევიდან. ტემპარიტად მარქსისტული ლენინური პარტიის დაარსებულის 10-ე წლის იუბილეის ამ მეტად მცირე მანძილზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია გადაიქცა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციის უმაღლეს ფორმად, საბჭოთა საზოგადოების ხელმძღვანელ და წარმმართველ ძალად.

აჭარის კომუნისტები, ყველა მშრომელი ამაყობენ იმით, რომ რსდმპ ბათუმის კომიტეტი ითვლებოდა პარტიის II ყრილობის მონაწილედ და ოპორტუნისმიწის წინააღმდეგ ბრძოლაში მტკიცედ იდგა ლენინური პარტიულობის ურყევ პოზიციებზე. აჭარის კომუნისტური ორგანიზაცია, აღზრდილი და გამოწრთობილი ლენინურ იდეებზე, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებათა განხორციელებისათვის, ჩვენს ქვეყანაში კომუნისმის იდეალებისათვის ბრძოლაში დღესაც მოწინავე რაზმს წარმოადგენს.





## იური სიხაჩულიძე

# გიორგი შუარტყელ-მაწყვერელის სადეპუტატობისათვის

გიორგი შუარტყელ-მაწყვერელს საპატიო ადგილი განეკუთვნება ძველი ქართული მწერლობის ისტორიაში. იგი IX-X საუკუნეში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა.

თავისი დროის ამ გამოჩენილი მწერლისა და მოღვაწის შესახებ ძვირფასი ცნობები შემოგვინახეს მისმა უმცროსმა თანამედროვეებმა ბასილ ზარზმელმა და გიორგი მერჩულემ.

პირველი მათგანის დახასიათებით, გიორგი შუარტყელ-მაწყვერელი იყო „ფრიად საჩინო“ და „ბრწყინვალე“ კაცი, „დიდი მღვდელთ-მოდელური“. მერჩულე კი მას იმ „ბრძენთა“ და „სრულთა მამათას“ ეპითეტით შემკულ მწერლებში ასახელებს (სოფრონ შატბერდელი, ილარიონ პარეხელი, სტეფანე მტბევარი). რომელთაგანაც მოვლდა გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების აღწერას. სხვა ადგილას ამავე მწერალს გიორგი შუარტყელ-მაწყვერელის დამსახურების აღსანიშნავად (სტეფანე მტბევართან ერთად) სიტყვა „ღირსნიც“ არ დაუშურავს.

სახელოვან მწერალთა ეს გამოხატუვაზე-

ბი (და სხვა ცნობებიც) ეკვივალენტული დადასტურებაა იმ დიდი განსწავლულობანიჭიერებისა და ავტორიტეტისა, რომლითაც თავის დროზე სარგებლობდა ჩვენი მწერალი და საეკლესიო-პოლიტიკური მოღვაწე.

მართალია, მაწყვერელის შესახებ არსებულ ცნობებს არაერთი მკვლევარი დაჰკვირვებია, მაგრამ ბნელით მოცული და გამოსაკვლევი მისი ბიოგრაფიიდან ჯერ კიდევ ბევრია. ამგვარ საკითხთა რიცხს მიეკუთვნება მწერლის სადეპუტატობის საკითხიც.

საამისოდ აუცილებელი საქამოდ ნათელი და კონკრეტული ცნობა დატულია ბასილ ზარზმელთან. ბასილის თქმით, ჩვენი მწერალი „ადმოსცენდა ხევისაგან შუარტყლისა, მშობელთაგან წარჩინებულთა და ღვთისმოწმითა“.<sup>1</sup>

ეს ხევი „სერაპიონ ზარზმელის ცხო-

1 კ. კეკელიძე, აღრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა, 1935 წ., გვ. 168. დაყოფა ჩვენია — ი. ს.



ერებაში“ რამდენიმეჯერ არის დასახე-  
ლებული და ყოველთვის ფუძემსებულ-  
ლი სახით („შუარტყელისა“, „შუარტყელ-  
ლი“ აკად. ივ. ჯავახიშვილი მას „შუა-  
რტყელად“ აღადგენს.<sup>1</sup>

როგორც ტბელ აბუსერისძის (XIII ს.)  
თხზულებიდან „სასწაულნი წმიდისა  
მთავარმოწამისა გიორგისნი...“ დასტურ-  
დება, განვითარებული ფეოდალიზმის  
ხანაში ამ ხევის (და სოფლის) ნამდვილი  
სახელი იყო არა „შუარტყელი“, არამედ  
„შუარტყალი“.<sup>2</sup>

XII საუკუნის შუახანებში შუარტყალ-  
ში კალატოზ ბოლოკ-ბასილს აქმენებია  
წმიდა გიორგის ტკლესია. ამ ეკლესიის  
სასწაულებრივი მშენებლობა არის სწო-  
რედ ტბელ აბუსერისძის თხზულების  
ერთ-ერთი ძირითადი ეპიზოდი.

შუარტყალის ადგილმდებარეობის სა-  
კითხმა კარგახანია მიიპყრო მკვლევართა  
ყურადღება. 1868 წელს ამ საკითხს გა-  
კვრით შეეხო აკად. მ. ბროსე. სახელოვან  
მეცნიერს შუარტყალი კლარჯეთში (ოპი-  
ზაში) ეკუთვნებოდა.<sup>3</sup> ასეთივე აზრის იყო  
აკად. ივ. ჯავახიშვილიც.<sup>4</sup>

ამავე რაიონში, თუმცა ოპიზიდან რამ-  
დენადმე მოშორებით, გულისხმობდნენ  
ამ ჰუნქტს თ. ჟორდანია და აკად. კ. კე-  
კელიძეც.<sup>5</sup>

1 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ის-  
ტორია, წიგნი II, 1948 წ., გვ. 53.

2 აბუსერისძე ტბელი, ბოლოკ-ბასი-  
ლის მშენებლობა შუარტყალში და აბუ-  
სერისძეთა საგვარეულო მატინე, გამოს-  
ცა ლ. მუსხელიშვილმა, 1941 წ., გვ. 65.

3 მ. ბროსე, ტეძნივის ქრონოლოგიის  
ეტიუდები, 1868 წ., გვ. 22 (ფრანგულ  
ენაზე).

4 ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული  
სახისტორიო მწერლობა, 1954 წ., გვ. 242.

5 თ. ჟორდანია, ქრონიკები, წიგნი II,  
1897 წ., გვ. 103 და 115, შენიშვნა:  
კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლო-  
ბის ისტორია, I, 1951 წ., გვ. 310.

შუარტყალის ამგვარი ლოკალიზაციის  
უმართებულობა პირველად შეჩვენა  
მისი ადგილსამყოფელის ახლტკელში<sup>6</sup> ივ. ჯა-  
სხვიძრის სცადა ლ. მუსხელიშვილმა. მი-  
სი აზრით, შუარტყალი „აჭარაში უნდა  
ვეძიოთ“.<sup>1</sup>

ამის საფუძველი მკვლევარისათვის,  
როგორც ჩანს, მიუცია ტბელის თხზუ-  
ლების ერთ ადგილს: „და შუარტყალს  
შინა მყოფი, თენიერ ნეტარისა იოსებო-  
სა და მისთა სახლუფლთაისაი არავენ დაშ-  
თა ულტოლველი კერძოთა აჭარისათა-  
ცაო“.<sup>2</sup> განსვენებულ მეცნიერს ეს ფრაზა  
დაახლოებით ასე ესმოდა: აჭარიდანაც  
არავენ აღარ დარჩა გადაუხვეწელი, გარ-  
და იოსებისა და მისი ოჯახისაო. იგი  
წერს: „თავის-თავად ის ცნობაც საინტე-  
რესოა, ჩვენი ძეგლის მიერ გადმოცემუ-  
ლი. რომ, ხვარაზმელთა შემოსევისას,  
„სამცხე და ყოველი ადგილი საქართვე-  
ლოისაი ივლტოდა ხიზნობად“ (135) და  
რომ „არავენ დაშთა ულტოლველი კერ-  
ძოთა აჭარისათაცაო“.<sup>3</sup> მოტანილი ამო-  
წერის მიხედვით, ეს თითქმის მართ-  
ლაც, ასე ჩანს, მაგრამ სრულ კონტექს-  
ტში სულ სხვა აზრი ამოიკნობა. ტბელ  
აბუსერისძემ საკმაოდ გარკვევით დაა-  
რკობს: „შუარტყალში მიცხოვრებნი („და  
შუარტყალს შინა მყოფო“), გარდა იოსე-  
ბისა და მისი „სახლუფლისა“, არავენ  
აღარ დარჩა გაუხიზნავი აჭარის ხევებო-  
საყენო („კერძოთა აჭარისათაცაო“). ტბელს  
რომ ამ მხარის (აჭარის) გახიზნა სდო-  
მოდა ეთქვა, მაშინ სამცხის გვერდითვე  
დაასახლებდა მას. მაგრამ მან იცის,  
რომ „ყოველი საქართველო“ (რომე-  
ლიც ამ დროს თავშესაფარის საქებნე-  
ლად დაძრულა) ძველისძველი საიშვლო  
სახიზნარი სწორედ აჭარა იყო. ძველ ქა-  
რთულ წყაროებში ცალი ცნობაც  
კი არ არის შემონახული აჭარის ხიზ-  
ნობაზე და არც ამ წყაროშია მსგავსი

1 აბუსერისძე ტბელი, ლ. მუსხელი-  
შვილის შესავალი წერილი, გვ. 10.  
2 იქვე, გვ. 15.  
3 იქვე.





ცნობა, როგორც ამას ლ. მუსხელიშვილი ფიქრობდა.<sup>1</sup>

ამ პუნქტის ადგილმდებარეობის გასარკვევად ზოგიერთი არაპირდაპირი ცნობა თვით ტბელის თხზულებაშია შემონახული. ეს ცნობები ყურადღების გარეშე არც ლ. მუსხელიშვილს დარჩენია, თუმცა ზოგჯერ მკვლევარი მათში გაცილებით მეტს ხედავს, ვიდრე ისინი გულისხმობენ სინამდვილეში.

ტბელთან დატული ცნობები გარკვევით მიგვიჩვენებენ შუარტყალის სამცხეში მდებარეობას. ასე, მაგალითად, ხვარაზმელთა შემოსევის დროს, როცა „სამცხე და ყოველი ადგილი საქართველოსა“ შედგომია გახიზვნის თაღარიგს, „ჯუარი ქვისაი, რომელ ესუენა სახელსა ზედა წმიდის მოწამისასა“.<sup>2</sup> წმიდა გიორგის საყდარში (შუარტყალში) შესვენებიათ.<sup>3</sup> ეს ფაქტი უყურადღებოდ არც ლ. მუსხელიშვილს რჩება და წერს: „თუ მისი (ქვის ჯვარის — ი. ს.) „შესვენება“ აქ სამცხის ამგებთანაა დაკავშირებული და იგი ხდება „ხარებითა სამცხესა ზედა მშვიდობისათა“, ეს იმას პნიშნავს, რომ ტაძარიც ან სამცხეშივე მდებარეობს, ანდა ის ადგილი, საცა ტაძარი აშენდა, უმეშვეოდ ზედ აკრავს სამცხის საზღვარს“.<sup>4</sup>

ავტორის ვარაუდებიდან მართებულია პირველი, მეორეთი კი იგი წინასწარღებულ აზრს უხდის ხარკს. ის კარგად გრძნობს, რომ ამ საბუთს მაგრად ჰყავს ჩაეტირილი შუარტყალი სამცხის ფარგლებში და ასეთ ვითარებაში ისტორიკოსს არავითარი სხვა გამოსავალი აღარა აქვს ამ პუნქტის სამცხე-აჭარის საზღვარზე მიტანის გარდა. ასე იქცევა კიდევაც.

გარკვეული აპელაციის გარეშე მკვლევარი არც მეორე, ამაზე არანაკლებ საგულისხმო ცნობას ტოვებს. ესაა ვინმე უდელის (სოფელ უდეს მცხოვრები) მი-

ერ წმიდა გიორგის საყდრიდან (შუარტყალში რომ შენდებოდა) ძელის წყვეტილი ეპიზოდი. როგორც ჩანს, ბუნებრივად უდელის შვილს, იოვანეს, ამ უდელის ძელი მართებია, მევალე მიხდომია, დაუფლია ხელი ძელისათვის და შინისაკენ გაუქანებია. ეს რომ გაუგია ბასილს, განრისხებულა წასულა უდემი, ღვთის სახელით (ამოწყვეტი) დამუქრებია უდელს და იძულებული გაუხდია ის ძელი „ზურგითა თვისითა“ მიებრუნებინა უკან. ამ ეპიზოდში, უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას იპყრობს სოფელ უდეს სიახლოვე შუარტყალთან (ძელის ზურგით წაღება ამას გულისხმობს, შორ მანძილზე ასეთი რამ გამორიცხული უნდა ყოფილიყო). უდე ახალციხის რაიონის კარგად ცნობილი სოფელია, მდებარეობს მდ. ქვაბლიანის მარჯვენა ნაპირზე.

ამ ეპიზოდთან დაკავშირებით ლ. მუსხელიშვილი თ. ყორღანისთან (რომელიც წმ. გიორგის საყდარს ოპიზაში გულისხმობს) კამათში შენიშნავდა: „აქედან (უდედან — ი. ს.) ოპიზაში მიტანა ძელისა „ზურგითა თვისითა“ სრულებით დაუჭრებელი იქნებოდა, იმ დროს, როდესაც სხალთის სათავეებამდე უდედან სულ 30-35 კილომეტრი იქნება და ანგვდოტიც, ამგვარად, საცხებით დამაჯრებელ იერს ღებულობდა“.<sup>1</sup>

ოპიზა აქ მართლაც გამორიცხულია, როგორც ამას სწორად შენიშნავს ავტორი, მაგრამ 30-35 კილომეტრიც ისე დიდი მანძილია ზურგზე ძელმოდებული კაცი-სათვის, რომ ესეც საეჭვო და გამოსარიცხავი ჩანს.

ამგვარაა, რომ შუარტყალი, სადაც წმიდა გიორგის ეკლესია შენდებოდა, გაცილებით უფრო ახლოსაა უდესთან, ვიდრე სხალთის სათავეები.

სხვა ცნობაც რომ არ გვექონოდა, ესეც შეუვალი საბუთი იქნებოდა იმისათვის, რომ შუარტყალი სადაც უდეს სიახლოვეს გვეძია. მაგრამ სჯობს სხვა ცნობე-

1 აბუსერისძე ტბელი, ლ. მუსხელიშვილის შესავალი წერილი, გვ. 15-16.

2 იქვე, გვ. 64.

3 იქვე, გვ. 65.

4 იქვე, გვ. 10, დაყოფა ჩვენია. ი. ს.

1 აბუსერისძე ტბელი, ლ. მუსხელიშვილის შესავალი წერილი, გვ. 10.

ბსაც მიემართოთ, რომელთაგან განსაკუთრებით გამოირჩევა ჯალეს „საოცარის“ გამოჩენის ეპიზოდი.

მწერალი, როცა ბოლოკ-ბასილის მიერ ეკლესიის ქვების თლის დროს შემთხვეულ სასწაულს გვაუწყებს, წერს: „ხოლო კაზმისა შინა ქვისსა, ადგილსა და უბანსა, რომელსა ეწოდების ჯალე, გამოუჩნდა საოცარი სახითა საზარელისა გუელისათა“.<sup>1</sup>

ესა და ეს, სხვა რამ ცნობა ჯალეზე თხზულებაში არ გვხვდება. აქედან ის ირკვევა მხოლოდ, რომ ჯალე ადგილის და უბნის, მასმასადამე, სოფლის უბნის სახელი ყოფილა. მაგრამ სად მდებარეობდა იგი ან რომელი სოფლის უბანი იყო, ამაზე მწერალი არაფერს გვაძენობს. მისი ცნობებიდან ჩანს, რომ „საოცარი“ ჯალეში „ხიხათა ზურგიდან“ მოსულა, შემდეგ კი „ქარალის მითი“ წასულა.<sup>2</sup> ეს კი იმას მოწმობს, რომ უბანი ჯალე ფოცხოვის ხეობაში მდებარეობდა. „ხიხანის ზურგსა“ (აქარაში) და „ქარალის მთას“ (სამცხეში) შორის სწორედ ფოცხოვია. ამ ზეგზე მიემართება „საოცარიც“ (დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ). თუ ჯალე ფოცხოვშია, აქვეა შუარტყალიც, რადგან, ტბელის ცნობებით, უკანასკნელი პირველის მახლობლადაა საძიებელი. ამ ხეობაში (ფოცხოვში), კერძოდ, იმ მიდამოებში, სადაც, ჩვენი აზრით, შუარტყალის ადგილსამყოფელი იგულისხმება, ყურადღებას იპყრობს სოფელი „შუარტყალი“. ეს სოფელი მდებარეობს დასავლეთ ფოცხოვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სექტორში, სოფლების — ხერთვი-

სის, პეტოზანისა და გიორგის უბნის წრეში. „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარიში“ შუარტყალი XIV სოფელია აღწერილი ფოცხოვის ლივანში მდებარე ნაპიეში — სოფლების ზემო პეტოზანისა და წინუბანს შუა.<sup>1</sup>


სოფელი შუარტყალი სულ რაღაც 10-12 კილომეტრით თუ შორავს უდეს. ამ სოფლებს აკავშირებდათ ირმიყელის კლდეგაპირზე გამოავალი მოკლე გზა, რომელიც ფეოდალური ხანის ქვაბლიან-ფოცხოვის მთავარი არტერია ჩანს. ეტყობა ამ გზით გაატარა ძელი ზემოხსენებული ეპიზოდის უდელმა და ბოლოკ-ბასილიც ამ გზით იყო უდემი.

შუარტყალ-შუარტყალის იგავების სასარგებლოდ გარკვეულ საბუთს იძლევა აგრეთვე ამ სახელწოდებათა ფონეტიკური სიახლოვეც. ძირეული განსხვავება აქ მხოლოდ წინაპილიასეულ ტ-სა და წ-შია. ამ ბგერათა შენაცვლება კი ქართულში არაჩვეულებრივ გამონაკლისთა რიცხვს არ მიეკუთვნება.

შუარტყალ-შუარტყალის იგავების მანიშნებელი საბუთ-არაგუმენტები ამით, რა თქმა უნდა, არ ამოიწურება, მაგრამ, ვფიქრობთ, მოტანილი საბუთებიც საკმაოდ ნათელს ხდის საქმის ვითარებას და ამიტომ ამით კვამყოფილდებით.

ამრიგად, მწერალ გიორგი შუარტყელ-მაწყვერელის სამშობლო სოფელი — შუარტყალი მდებარეობს ფოცხოვში (ბოცხევი). ფოცხოვი სამცხის ხევი იყო, ხოლო მისი მკვიდრი გიორგი შუარტყელ-მაწყვერელი „წარჩინებული“ მესხი.

1 გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, თურქულიდან თარგმნა ს. ჯიქიაშ, 1941, გვ. 299-300.



1 აბუსერისძე ტბელი, გვ. 58.  
2 იქვე.

## კაცობრიობის გაზაფხულის მომღერალი

გ. გ. მაიაკოვსკის დაბადების 70 წლისთავის გამო

ვლადიმერ ვლადიმერის-ძე მაიაკოვსკი საბჭოთა ეპოქის პოეტია, საბჭოთა პოეზიის ფუძემდებელია.

მისი სახელი ისევე უკვდავია, როგორც ის საქმე, რომელსაც თავდადებით ემსახურებოდა არა ვისიმე დავალებით, არამედ საკუთარი გულის კარნახით.

მაიაკოვსკი მთელი ხმით უმღეროდა რევოლუციას, უმღეროდა ხალხს, რომელიც აშენებდა სოციალიზმს, უმღეროდა ჩვენს საბჭოთა სოციალისტურ ქვეყანას — კაცობრიობის გაზაფხულს.

და მე როგორც შრომისა და  
ბრძოლებში შობილს,  
კაცობრიობის გაზაფხულს  
კისკასს.

ვემღერ ჩემს  
სამშობლოს.

ჩემს რესპუბლიკას.

ზოგ მოესტეოთ ვინმეს ყურს კრილა ასეთი სიმღერა, შეუთავსებლად მიაჩნდა ლირიკა და პოლიტიკა, ლირიკა და აგიტაცია. „რატომ უნდა დავწერო მანიას პეტრასადმი სიყვარულზე, — აღშფოთებით მიმართავდა მათ მაიაკოვსკი, — და რატომ ჩემს თავს არ უნდა ვთვლიდე იმ სახელმწიფო ორგანოს ნაწილად, რომელიც ცხოვრებას აშენებს?“

„პოეტი ის კი არ არის, — განმარტავდა მაიაკოვსკი, — ვინც გრუზა ვერძივით დადის და სიყვარულის ლირიკულ თემებზე ზღაღის, პოეტი ის არის, ვინც ჩვენს გამწვავებულ კლასობრივ ბრძოლაში თავის კალამს აძლევს პროლეტარიატის შეიარაღების არსენალს.“


მაიაკოვსკი ერთი პირველთაგანი იყო, ვინც თავისი კალამი უყოყმანოდ გადასცა მოიერიშე მუშათა კლასს. შეიტანა პროლეტარიატის შეიარაღების არსენალში.

მე კომუნისტში  
პოეზიის ლაქვარდებიდან  
დავეშვი.

რადგან  
მინდა მხოლოდ  
მისი ტრფიალი.

ეს იყო პოეტური ფორმულა, რომელიც განსაზღვრავდა მაიაკოვსკის პოეზიის მიმართულებას, მის შინაარსს, დანიშნულებას.

მაიაკოვსკისათვის არ არსებობდა დიდი და პატარა, მისაღები და მიუღებელი თემა — იგი წერდა ყველაფერზე, რაც კი, მისი აზრით, ხელს შეუწყობდა ხალხის გამარჯვებას, სოციალიზმის, კომუნისტის გამარჯვებას.



პოეზიაში მთავარია საჭიროება. თუ საჭიროა, მაშასადამე, უნდა დაწერო. უნდა დაწერო ქარხანა-გვიგანტის მშენებლობაზეც და „მოსსელპრომის“ პაპიროსებზეც, ომსა და მშვიდობაზეც და ბავშვის საწოვარაზეც.

„მე მაქვს ლექსი საწოვარას შესახებ. — ამბობდა მაიაკოვსკი, — ჩინებული საწოვრები — „მზად ვარ სიბერემდე ვწოვო“. ამის წინააღმდეგ შეზახებებს ჰქონდა ადგილი, მე კი ვამბობ, რომ თუ აქამდე სოფელში ბავშვებს ჭეჭყიან ჩვარს აძლევდნენ, ახლა საწოვრებისათვის აგიტაცია არის აგიტაცია ჩანმრთელი თაობისათვის, კულტურისათვის“.

პოეტი უნდა ცხოვრობდეს ხალხის ცხოვრებით, გარედან, როგორც მეთვალყურე, კი არ უნდა სწავლობდეს მას, არამედ დღენიანად ხალხის შუაგულში ტრიალებდეს, იმსჯელებდეს მისი განწყობილებით, მისი სულისკვეთებითა და მისწრაფებებით. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეუძლია თქვას ის, რაც საჭიროა, რაც მკითხველს უნდა.

ამიტომ იყო, რომ მაიაკოვსკი ბევრს მოგზაურობდა, ჩვენი ქვეყნის სულ სხვადასხვა კუთხეში მართავდა ლიტერატურულ საღამოებს. კითხულობდა მოხსენებებს, ლექსებს, პასუხს სცემდა შეკითხვებზე.

აუდიტორია პოეტის ბარომეტრი იყო. მკითხველებთან შეხვედრისას იგი ამოწმებდა თავისი პოეზიის ძალას, რამდენად სწორად ურტყამდნენ მიზანში მისი ლექსები, რა მოსწონდათ და რა არ მოსწონდათ.

განსაკუთრებით იზიდავდა მაიაკოვსკის მუშათა აუდიტორია და უპირველეს ყოვლისა მას უკითხავდა ახალ ნაწარმოებებს.

ცნობილია, თუ რა მონდომებით, რა პასუხისმგებლობით მუშაობდა მაიაკოვსკი პოემაზე „ლენინი“ და, დაამთავრა თუ არა იგი, მაშინვე მუშათა აუდიტორიას მიმართა, როგორც უმაღლეს მსაჯულს.

„დავამთავრე პოემა „ლენინი“, — კმაყოფილებით წერდა მაიაკოვსკი, — წავიკითხე მუშათა ბევრ კრებაზე, ძალზე მემონოდა ამ პოემისა, რადგან ადვილად შეიძლებოდა უბრალო პოლიტიკურ

თხრობამდე დაქვეითება. მუშათა აუდიტორიის დამოკიდებულებამ გამაჩნვეს განმობტყევა რწმენა, რომ პოეტმა უნდა იმსჯელოს“.

მაიაკოვსკის დიდად ახარებდა, რომ საბჭოთა ხელისუფლების წლებში ხალხის კულტურული დონე ძლიერ სწრაფად მაღლდებოდა და კანონიერად ამაყოფიდა თავისი ქვეყნით, საბჭოთა მკითხველებით. „ქვეყანა, სადაც მთელი საათი ისმენენ სერიოზულ ლექსებს, ღირსია პატივისცემისა. დაახ, კარგია ჩვენი ქვეყანა“.

ეს იყო 1926 წელს. 1930 წელს კი პოეტი ამბობდა: „ერთი თვის წინათ მე გავმოვედი კოლპანის ქარხანაში, ოცდაათი ვერსის დაშორებით ლენინგრადიდან... და აი დარბაზში... თავს იყრის 800-900 მუშა... ისინი იძლევიან ისეთ შეკითხვებს მწერლის და პოეტის გამოსჯულის შემდეგ, როგორც მე ვფიქრობ შეიძლება მოგვეცენ ევროპის ყოველ კულტურულ აუდიტორიაში“.

ხალხთან ასეთი მჭიდრო კავშირი და უშუალო ურთიერთობა, ღრმა თეორიულ ცოდნასთან ერთად, საშუალებას აძლევდა მაიაკოვსკის სწორად გარკვეულიყო ცხოვრების მოვლენებში, აელო სწორი პოლიტიკური ორიენტაცია.

თუ რამდენად მახვილი პოლიტიკური აზროვნება პოეტს, ამას უპირველეს ყოვლისა მოწმობს ბრწყინვალე ლექსი „სხდომებს გადაყოლილი“, რომელმაც თვით დიდი ლენინის ყურადღება მიიქცია.

„გუშინ „იზვესტიაში“ შემთხვევით წავიკითხე მაიაკოვსკის ლექსი პოლიტიკურ თემაზე, — თქვა ვ. ი. ლენინმა პეტროპოლის სრულიად რუსეთის ყრილობის კომუნისტურ ფრაქციას წარმოთქმულ სიტყვაში 1922 წლის 6 მარტს. — მე არ ვეკუთვნი მისი პოეტური ნიჭის თავყვანისმცემლებს, თუმცა საცხებით ვალიარებ ჩემს არაკომპეტენტურობას ამ სფეროში. მაგრამ დიდი ხანია არ განმიცდია ისეთი სიამოვნება პოლიტიკური და ადმინისტრაციული თვალსაზრისით. თავის ლექსში ის საშინლად დასცინის სხდომებს და საცინლად იგდებს კომუნისტებს, რომ ისინი სხდომებზე არიან გადაყოლილი. პოეზი-



ის მხრივ არ ვიცი, ხოლო რაც შეეხება პოლიტიკას, დაბეჭობით ვამბობ, რომ ეს სავესებით სწორია“ (თხზ., ტ. 33, გვ. 256).

ასეთი პოლიტიკური სიმახვილე და თანადროულობა მიაკოვსკის პოეზიის ძირითადი ნიშანია. მისი ლექსების მიხედვით თამამად შეგვიძლია აღვადგინოთ ჩვენი ცხოვრების განვითარების ყველა ძირითადი ეტაპი, მოვიდებულები პირველი მსოფლიო ომისწინა პერიოდიდან დამთავრებული პოეტის ტრაგიკულ დაღუპვამდე 1930 წელს.

ერთი სიტყვით, მიაკოვსკის შემოქმედება ჩვენი ხალხის ბრძოლისა და შრომის თანამგზავრი და მონაწილეა, განსაცვიფრებელი თავისი თემატიკურ-ეპიკურ-ბლივი მრავალფეროვნებით და, რა თქმა უნდა, იდეური სიმდიდრითა და მხატვრული ოსტატობით.

მიაკოვსკის პოეზიის მთავარი მოტივი პუმიანიზმი და საბჭოთა პატრიოტიზმია.

ადამიანის სიყვარული წითელი ძაფით გასდევს მთელ მის შემოქმედებას და მჭიდროდ უკავშირდება პატრიოტიზმს. იგი უმღერის აქტიურ, მეზობლად ადამიანს, რომელშიც ორგანულადაა შერწყმული საზოგადოების წინაშე მოქალაქობრივი მოვალეობის, ღრმა პასუხისმგებლობის გრძნობა და პირადი თავისუფლება, უმღერის თავისი სამშობლოს მგზნებარე პატრიოტს, შთაგონებულს მარქსიზმ-ლენინიზმის, კომუნიზმის დიადი იდეით.

არავის ისეთი ძალით, ისეთი შთაგონებით არ გამოუთქვამს სიამაყე სოციალისტური სამშობლოსათვის, სადაც ექსპლუატაციისაგან თავისუფალი ხალხი საკუთარი ხელით აშენებს ახალ ცხოვრებას და მაგალითს აძლევს მთელ პროგრესულ კაცობრიობას, როგორც ეს მიაკოვსკიმ შეძლო.

წაიკითხეთ და  
და შურით აღივსეთ:  
საბჭოთა ქვეყნის  
ვარ მოქალაქე.  
უცხოეთში მოგზაურობამ, კაპიტალის-

ტური სამყაროს, ნაქები კომუნალური ცხოვრების წესის“ განცხადებით, რომელიც როგორც საბჭოთა ადამიანის, საბჭოთა მოქალაქის სიამაყის გრძნობა.

ზოგიერთი თანამედროვე მოგზაურ-მწერლისაგან განსხვავებით, რომლებიც ამერიკის შეერთებულ შტატებში ხედავენ ცხოვრების ფასადს და ვერ ამჩნევენ ფასადისქიბა მოვლენებს, ხოლო ზოგჯერ არ თავილობენ და ხბოს აღტაცებას ეძლევიან ამერიკული წარმოების ქალის საცვლებითაც კი, მიაკოვსკი საბჭოთა ადამიანის თვალთ უცქერდა მთელ კაპიტალისტურ სამყაროს, მათ შორის ამ სამყაროს უძლიერეს ქვეყანას — ამერიკის შეერთებულ შტატებს.

არა, მიაკოვსკი შავი სათვალთ არ ჩასულა ამერიკაში, ტენდენციურად არ უყურებდა ამერიკულ ცხოვრებას. ასე არ იყო.

პოეტს მოსწონდა და გულწრფელად აქებდა ბრუკლინის ხიდს, ბროდვეის, ამერიკული ტექნიკის სასწაულებს, მაგრამ ქულის მოხდა და მონური სლექა მათი მიანიც არ სურდა.

ვემზერ ნიუ-იორკს  
და მის ვარაყებს,  
კეპის მოხდა კი  
მის წინ  
არ მიინდა,  
საბჭოელს  
თვისი აქვს სიამაყე,  
ბურჟუებს  
დავექვებით მალლიდან.

მიაკოვსკიმ მშვენივრად იცოდა, რომ ამერიკის ტექნიკური უპირატესობა დროებითი მოვლენა იყო, რომ ჩვენი ქვეყანა, იმეამად ეკონომიურად და ტექნიკურად ჩამორჩენილი, მაგრამ შემდგარი განახლების გზაზე, ნამდვილ სასწაულებს უჩვენებდა მსოფლიოს, გაასწრებდა თვით ამერიკის შეერთებულ შტატებს.

პე ბურჟუებო,  
გაკვირვებდეთ  
მძლე რესპუბლიკა  
სამუშაოზე,

ვაგონებში

და თვითმფრინავში;

სახელმწიფოებრივ

და ჩქარფხვა თქვენს ამერიკას

ჩვენ დავეწვივით და გაუქვსწრებთ

კიდევ წინსვლაში.

რა ბედნიერი იქნებოდა ახლა მიაკოვსკი, საკუთარი თვლით რომ ეხილა ჩვენი გმირი კოსმონავტების წარმატებანი, ეხილა, თუ როგორ გაუქვსწრო საბჭოთა მეცნიერებამ და ტექნიკამ ამერიკულს, როგორ შორს მოიტოვა იგი.

ერთადერთი ტექნიკა — სხვა რა პქონდა სამაყო მათინ ამერიკას! პოლიტიკურად იგი უკვე ჩამორჩებოდა ჩვენს ქვეყანას, სადაც ხალხმა დიდი ლენინის მეთაურობით თვითონ აიღო ხელში ძალაუფლება და დაიწყო გამართული ლაშქრობა კომუნისმისათვის. ამიტომ წერდა მიაკოვსკი ამერიკაზე 1924 წელს, ოქტომბრის რევოლუციის მეშვიდე წელს:

7000 ვერსით მსურდა

წინ წავსულიყავ,

მაგრამ

მოველი

და შეიღი წლით აღმოჩენდი უკან.

მთელი თავისი მგზნებარებით გამოესარჩლა მიაკოვსკი ამერიკის მრავალმილიონიან ზანგ მოსახლეობას და გადაჭრით დავმო რასობრივი დისკრიმინაცია. ლექსებში „ბლექ უნდ უაიტი“ („შავი და თეთრი“), „სიფილისი“ და სხვ. მან სამარცხეინო ბოძზე გააკრა თანამედროვე რასისტები, რომელთა ბნელი საქმიანობა დღემდე შევ ლაქად რჩება ამერიკის შეერთებული შტატების ცხოვრებაში.

ფასადსიქითა ამერიკის გაცნობამ მიაკოვსკი დაარწმუნა, რომ „ცხოვრების ამერიკული წესი“ სხვა არაფერია, თუ არა სასტიკი კაპიტალისტური ექსპლოატაცია, დოლარის განუკითხავი ბატონობა. როგორც ვამპირი, ისე სწოვენ სისხლს ამერიკელი ერთი მუჭა მილიონერები მშრომელ ადამიანებს.

ასეთი იყო მიაკოვსკის თვლით დანახული ამერიკა, კაპიტალიზმის ეს ნაქები ქვეყანა. პოლიტიკური ჩამორჩენილობის

გამო მართლაც მაღალი ტექნიკა და წარმოების დონე არ აძლევდა მშრომელ ხალხს იმ სიკეთეს, რის მიცემდა მან უფრო ეძლო სხვა ვითარებაში, იმ შემთხვევაში, თუ ხალხი თვითონ აიღებდა ხელში ძალაუფლებას. ამიტომ წერდა მიაკოვსკი ერთ-ერთ თავის ლექსში:

კოლუმბო, შტერო,

მოვახსენო

მსურს გულახდილად,

რაც შეგებება

მე პირადად —

ჩემს სიტყვას ენდე,

ამ ამერიკის დავხურავდი,

გავწმენდდი ფრთხილად

და შემდეგ ისევ

მეორეჯერ

აღმოვაჩენდი!

მიაკოვსკი იყო არა მარტო ამერიკის შეერთებულ შტატებში. მან იმოგზაურა საფრანგეთში, მექსიკაში, სხვა ქვეყნებში და ყველგან რჩებოდა თავისი ქვეყნის ერთგულ პატრიოტად, კომუნისმის იდეით შთაგონებულ პოეტად. მიაკოვსკის მუდამ თვალწინ ედგა თავისი სოციალისტური სამშობლო, ხალხის ბრძოლით და შრომით მოპოვებული და ამიტომ განსაკუთრებით ძვირფასი და საყვარელი.

მინახავს მხარე,

სად ლეღვი, ბია,

უშრომლად მოდის,

თვით მე მრგებია, —

იმას სხვა თვლით

უტკერ, ცხადია.

მაგრამ იმ მიწას,

რომელიც შენ

ბრძოლით დაგიცავს

და ცოცხალ-მკვდარის

იყავ გადია,

სად თოფით იწეკ

და ტყვიების

ხმა გაღვიძებდა;

სადაც მასებთან

ხარ თან შეზრდილი, —

ყველაზე მეტად

შენ აფასებ და

გურს მასთან შრომაც,  
ლხენაც,  
სიკვილიც!

ეს სტრიქონები ამოღებულია პოეტის ერთი უმშვენიერესი პოემიდან „კარგია!“ იგი მაიაკოვსკიმ დაწერა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ათი წლისთავისათვის და მასში გამოხატა თავისი საუკეთესო სურვილები, საბჭოთა ხალხის სიხარული, სიხარული იმ ხალხსა, რომელიც ახალ ცხოვრებას აშენებდა და უკვე იწყებდა შესვლას სოციალიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში.

ერთი დიდი ღირსება მაიაკოვსკისა ის იყო, რომ იგი მოვლენას ყოველთვის განიხილავდა მის განვითარებაში, პერსპექტივაში.

სადაც დღეს ჰაობი იყო, მან იცოდა, რომ ხვალ ხალხის ნებით ის ადგილი ბედნარად იქცეოდა, სადაც დღეს ცარიელი ტრაპალი იყო, ხვალ მას ახალი, თანამედროვე ქალაქი დაამშენებდა.

აქ იღებს სათავეს პოეტის პატრიოტული ოპტიმიზმი, რომელიც ემყარება ხალხის, მისი ძალისა და ნების ურყევ რწმენას, ჩვენი მართალი საქმის გარდუვალი გამარჯვების რწმენას.

ვაქებ სამშობლოს,  
რომელც დღეს  
ჩემს თვალწინ არი.  
მაგრამ სამწილად —  
მას ვუმღერო,  
რაც ხვალ იქნება!..

პოემას „კარგია!“ არნახული წარმატება ხვდა. ყველგან, საბჭოთა კავშირის სულ სხვადასხვა კუთხეში, სადაც კი პოეტი გამოდიოდა ამ ნაწარმოების კითხვით, მას აღფრთოვანებით უსმენდნენ და მკუხარე ტავით აჯილდოებდნენ. ხალხს მასში მოეწონა ღრმა ოპტიმიზმი, შთაგონებული სიმღერა ახალი ცხოვრების გამარჯვებისა.

მალალი შეფასება მისცა მაიაკოვსკის პოემას ჩვენი ღრთის გამოჩენილმა კრიტიკოსმა ა. ვ. ლუნჩარსკიმ. ერთ-ერთ მოხსენებაში 1927 წელს იგი ამბობდა: „მაიაკოვსკიმ შექმნა ოქტომბრის ათი

წლისთავთან დაკავშირებით პოემა, რომელიც უნდა მივიღოთ, როგორც უმშვენიერესი საზეიმო მუსიკა ჩვენი დღევანდელი ალსანიშნავად, რომელიც არის არც ერთი ყალბი ნოტი და რომელიც მუშათა აუდიტორიაში აპლოდისმენტებს იწვევს“.

ერთი შეხედვით, პოემა „კარგია!“ ე. წ. „სათარღო“ ნაწარმოებია. ასეთი ნაწარმოებები ჩვეულებრივ ერთ დღეს ცოცხლობენ და ვერ უძლებენ დროის გამოცდას. მაგრამ რით აიხსნება, რომ „კარგია!“ დღესაც ცოცხლობს და გვადევნებს, ისევე ზემოქმედებს ჩვენს გრძობასა და გონებაზე, როგორც ათობით წლის წინ?

ყოველდღიურ ცხოვრებას, თანამედროვეობის რომ ასახავდა, პოეტი არასოდეს არ ჩერდებოდა მის ზედაპირზე, ისწრაფოდა მოვლენათა სიღრმეებისაკენ, ეძიებდა ტიპურს, კონკრეტულში ხედავდა ზოგადს. მისთვის ორგანულად უცხო და მიუღებელი იყო ყოველგვარი ემპირიზმი.

მაიაკოვსკი წერდა თანამედროვეებისათვის, მაგრამ ისე, რომ არ იეიწყებდა შთამომავლებს.

აი რას ამბობდა ამის თაობაზე თვითონ პოეტი:

„ჩემი პოემის „კარგია!“ გამოცემა თითქოს კარგადაა შესამებული რევოლუციის ათი წლისთავთან, მაგრამ მე სრულებით არ მსურს, რომ იგი მხოლოდ ამ აოწლებულს ამშვენებდეს. იგი საქირო იქნება და მას მნიშვნელობა ექნება ოცი წლის შემდეგ, ორმოცი წლის შემდეგ. დიახ, მე ასე ვფიქრობ... მე ამაში დარწმუნებული ვარ...“

თითქმის ორმოცი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც მაიაკოვსკიმ ეს სიტყვები წარმოთქვა და დღეს ჩვენ შევიძლია თამამად დავადასტუროთ მათი სიმართლე, ვთქვათ, რომ პოეტის იმედი გამართლდა, მისი რწმენა ამაო არ ყოფილა.

მაიაკოვსკი მწვავედ დასცინოდა იმ ადამიანებს, რომლებიც უპერსპექტივოდ მუშაობდნენ, ყოველდღიურობის წვრილმანებში ჩაფლულნი ისაზღვრებოდნენ მიმდინარე ამბებით, დღევანდელში ვერ

ხედავდნენ ხვალინდელს. თვითონ მას დღევანდელი იმიტომ უყვარდა, რომ მასში ხედავდა ხვალინდელის ყლორტებს, ხვალინდელის საფუძველს და გაბედულად მიმართავდა შთამომავლობას, როგორც მისი თანამედროვე, როგორც ყოველი დროის თანამგზავარი.

ამას მოწმობს მაიაკოვსკის ბრწყინვალე პოემა „მთელი ხმით“. იგი პოეტის გაბედული. გადაძახილია საუტუნეებში, თავისი დროის ხელოვანის გულახდილი გასაუბრებაა მომავალ თაობებთან.

ამ პოემას რომ პირველად კითხულობდა 1930 წლის თებერვლის დამდეგს, მაიაკოვსკიმ თქვა:

„ამ ბოლო დროს ესინი, ვინც გაღიზიანებული არიან ჩემი ლიტერატურულ-პუბლიცისტური მუშაობით, ძალიან ხშირად ლაპააკობენ, რომ მე ლექსების წერა დამავიწყდა და რომ შთამომავალნი ამის გამო დამტუქსავენ, მე ვიცავ ასეთ შეხედულებას. ერთი კომუნისტი მეუბნებოდა, „რაა შთამომავლობა! შენ შთამომავლობას უნდა ჩააბარო ანგარიში, მე კი უფრო ცუდად მაქვს საქმე — ანგარიში უნდა ჩავაბარო რაიკომს. ეს ხომ უფრო ძნელია!“ მე გაბედული კაცი ვარ, მე მინდა თვითონ ვესაუბრო შთამომავლებს და არ ვუცადო იმას, თუ მათ ჩემი კრიტიკოსები რას მოუყვებიან მომავალში. ამიტომ არის, რომ ჩემს შთამომავალთ უშუალოდ მიემართავ პოემებში, რომელსაც ჰქვია „მთელი ხმით“.

ცენტრალური ადგილი ვ. ვ. მაიაკოვსკის შემოქმედებაში უკავია მის უკვდავ პოემას „ლენინი“. მისი წერა პოეტმა დაიწყო ჯერ კიდევ 1923 წელს, დიდი ბელადის სიცოცხლეშივე. მწუხარების უღრმესმა გრძნობამ, რომელიც მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად განიცადა ვ. ი. ლენინის გარდაცვალების გამო, პოეტი დაარწმუნა, რომ პოემა რაც შეიძლება მაღალ უნდა დემთავრებინა, ხალხს იგი ესაჭიროებოდა. მართლაც, 1924 შემოდგომაზე მაიაკოვსკის ეს გენიალური ნაწარმოები მზად იყო — 1925 წელს კი იგი ცალკე წიგნად გამოვიდა.

ხალხმა დიდი აღტაცებით მიიღო ეს

პოემა, რომელშიც დაინახა უსაკვარო სი ბელადის შთავონებული მხატვრული სახე, ლენინის, მის მიერ შექმნილი ტიისა და ხალხის ურღვევი ერთიანობა.

პოემა „ლენინი“ — ეს არის ამ ერთიანობის ამაღლებული პოეტური გამოხატულება, ლენინური იდეების, ახალი ყოფის ქებათქება.

მართალია, ამბობს პოეტი, ლენინი გარდაიცვალა, მაგრამ დარჩა მისი დიდი ადევები, რომლებიც ხორციელდებიან პარტიის, ხალხის საქმეებში; ლენინის მიერ შექმნილი და გამოწრთობილი სახელოვანი კომუნისტური პარტია, ხალხის დიდი პირშო, მისი ძალისა და ნებას გამოხატულებაა.

პარტია არის

ხერხემალი მუშათა კლასის,

და ჩვენი საქმის უკვდავება

არის პარტია.

ერთადერთია,

რაც არასდროს არ მიღალატებს

და დღეს ნოქარი

ხვალ სამეფოს

მოვული ქარტიდან.

კომუნისტური პარტია ჩვენი საზოგადოების ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალაა, მას განუხრევლად მიჰყავს ხალხი კომუნისმის გზით, ლენინის მიერ ნაჩვენები გზით. იგი ზრდის მასებს მარქსისტულ-ლენინური სულსიკვეთებით, კომუნისმის იდეებისადმი უსაზღვრო ერთგულების სულსიკვეთებით.

კლასის ტენი,

კლასის საქმე,

ძალა კლასის,

მისი დიდება —

აი პარტია.

პარტია და ლენინი, პარტია და ხალხი განუყოფელია, ერთიანია.

ჩვენი პარტია და ლენინი

ტყუპნი არიან. —

ისტორიაში

ვინ იქნება უფრო

ჩენილი.

ვამბობთ — ლენინი

და ვგულისხმობთ



მუდამ პარტიას,  
ვაშბობთ —  
პარტია  
და ვგულისხმობთ —  
ჩვენი ლენინი.

დიდი ლენინის მხატვრული სახე, როგორც მასების ბელადისა, უბადლო რევოლუციონერისა და ყველაზე „ადამიანური ადამიანისა“ მიაკოვსკის უმთავრესი მიღწევაა.

ვ. ი. ლენინის მხატვრული სახის შესაქმნელად პოეტმა ჰუმბოლტდ ტიტანური შრომა გასწია, ღრმად შეისწავლა ჩვენი პარტიის ისტორიის და ლენინის ბიოგრაფიული მასალები, მარქსიზმის კლასიკოსთა შრომები, ესაუბრა დიდი ბელადის ახლო მეგობრებს, ნაცნობებს.

მიაკოვსკის უსაზღვროდ უხაროდა, რომ გაწეულმა შრომამ ამაოდ არ ჩაუარა და სასარგებლო ნაყოფი გამოიღო.

პოემა „ლენინი“ საბჭოთა პოეზიის მარგალიტია, შედევრია, რომელიც საუკუნეებში იცოცხლებს.

მეტად საინტერესოა ვ. ვ. მიაკოვსკის სატირული ნაწარმოებებიც.

მგზნებარე რევოლუციონერმა მიაკოვსკიმ მშვენივრად იცოდა, რომ ახლის დამკვიდრებისათვის ზრუნვა შეუძლებელია ისე, თუ გადაჭრით არ ებრძვი ძველს, ყოველივე დრომოკმულს. ამიტომ იყო, რომ იგი გაბედულად ამხილებდა იმ ნაკლოვანებებს, რომლებიც ჩვენს ყოფასა და საქმიანობაში შეინიშნებოდა, იბრძოდა მათი დაჩქარებით აღმოფხვრისათვის.

თავისი მახვილით მიაკოვსკის სატირული ნაწარმოებები მიმართული იყო მეშინობის („მარუსია მოწამლულა“), კრებობა-თათბირობანათი მეტისმეტად გატაცების („სხდომებს გადაყოლილნი“), ცალკეულ თანამდებობის პირთა თავკასულობის („პომპადური“) და სხვა არაჯანსაღი მოვლენების წინააღმდეგ.

დიდი საბჭოთა პოეტი ამხილებდა აგრეთვე იმპერიალისტ ყაჩაღებს, რომლებიც სისხლში ახრჩობდნენ ხალხთა სოციალურ და ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, გამალებით იარაღდებოდნენ

და ამზადდებდნენ ახალ მსოფლიოს, რომს. მიაკოვსკი ხალხთა მშვენიერების უმეზროებისათვის დაუღალავად მუშაობდა იყო.

ჩვენ ვღვათ შენობებს,  
ჩვენ ვმკით

და ვთესავთ  
და გვაქვს ღოზუნგად:  
„მშვიდობა, ზავი!“

მშვიდობისათვის ბრძოლას მიაკოვსკი განუყრელად უკავშირებდა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დიად იდეას, ქადაგებდა სხვადასხვა ეროვნების მშრომელთა ძმურ ერთიანობასა და მეგობრობას.

ისტორია

წინ მიჰყავს

მუშათა ძმობას,

წინ მიჰყავს ყოველ დღე,

მძლედ,

მამაცურად.

როგორც ცნობილია, მიაკოვსკი დაიბადა და იზრდებოდა საქართველოში. მან მშვენივრად იცოდა ქართული ენა და ქართული პოეზია, უყვარდა ქართველი ხალხი და არაერთი ბრწყინვალე სტიქიონი მიუძღვნა მშვენიერ საქართველოს, მშობლიური ბაღდათის ლაყვარლებს.

შემთხვევითი როდია, რომ მიაკოვსკის პოეზიის ერთ-ერთი მშვენიერაა „ვლადიკავკაზი-თბილისი“, რომელიც პოეტმა რევოლუციურ, განახლებულ და აღორძინებულ საქართველოს მიუძღვნა.

ეს ლექსი მიაკოვსკიმ დაწერა 1924 წელს, როცა საქართველოს სრულიად ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკა იხის იყო იწყებდა დიდ აღმშენებლობით მუშაობას და მის წინაშე ისახებოდა წინსვლის გრანდიოზული პერსპექტივები. ამით აიხსნება, რომ მასში პოეტმა ყურადღებას ამახვილებს ქართველი ხალხის სახელოვან რევოლუციურ წარსულზე, რევოლუციურ ტრადიციებზე და ერთგვარი დაცინვით იხსენიებს „ძველ ისტორიას“.

ძველი ისტორია  
დიდი ცრუ რამ არი,  
ბრახუნებს,  
რომ იყვნენ  
აქ მხოლოდ მეფენი:  
ირაკლი,  
დავითი,  
თამარი.

ფრიად საგულისხმოა, რომ აქ მაიაკოვსკი ეხმაურება დიდ ქართველ პოეტს ილია ჭავჭავაძეს, რომელიც ჩვენს მემატრიანებს, უსაყვედურებდა. მათს ნაწერებში ხალხი არა ჩანს, მხოლოდ მეფეთა ცხოვრებას მოგვითხრობენო. ასე აღმოჩნდნენ ერთ პოზიციასზე ილია და მაიაკოვსკი საქართველოს ძველი ისტორიის შეფასებაში.

მაგრამ თუ ილია ჭავჭავაძე თავის მოწყენილ სამშობლოს ანუგეშებდა, „აწმყო თუ არა გწყალობს, მომავალი შენაო“, მაიაკოვსკი მოუწოდებდა მას, უკვე თავისუფალ, მხიარულ საქართველოს ეშენებინა თავისი ბედნიერი მომავალი და ოცნებობდა იმ დღეზე, როცა პაერში აიჭრებოდნენ თბილისში დამზადებულ „ჭაეროები“, ე. ი. როცა საქართველო გახდებოდა ინდუსტრიული რესპუბლიკა. ამ ამიტომ წერდა დიდი პოეტი:

პატივს ვცემ  
მე ქართველ

პოეტებს მაღლიანს,  
ქარგია  
ეს პანგიც,  
ზურნა და და



მაგრამ დღეს  
მწყურია  
მე მათზე აღრიან  
ქარხნების სიმღერა  
და კრანთა შაირი.  
აშენე, იმ ძველის  
დანგრევა მოასწრე  
და ახალ საოთულებს  
ჩაუღმე ღარჯალ.  
ყაზბეგიც  
რომ საქმეს  
გოსლიდეს. —  
მოაძრე,

რა უშავს,  
ნისლებში  
მაინც ხომ არა ჩანს!

გაივლის წლები, საუკუნეები, ბევრი რამ დავიწყებას მიეცემა, მაგრამ მაიაკოვსკის პოეზია იცოცხლებს, როგორც მხატვრული მატრიანე საბჭოთა ხალხის ბრძოლისა და შრომისა ახალი, კომუნისტური ცხოვრებისათვის, როგორც კომუნისმის მშენებელთა ფიქრებისა და გრძნობების პოეზია.

მაიაკოვსკი უკვდავია, რადგან უკვდავ საქმეს ემსახურებოდა სულითა და გულით, მთელი თავისი არსებით, თვითუღი ფიბრით.

ზ. ზოზოლიძე





## ლომენგი კილაძე

### მაყურებლის ჩანაწერები

ბათუმის თეატრმა წელს დადგა ნ. დუმბაძისა და გ. ლორთქიფანიძის კომედია „მე ვხედავ მზეს“. მაყურებლები ამ სპექტაკლს მოწონებით შეხედნენ, მათ შორის მეც. ამან დამიბადა სურვილი, ჩემი აზრი გამომეთქვა სპექტაკლის ზოგიერთი დირსება-ნაკლის შესახებ.

უპირველესად უნდა ვთქვა, რომ მაყურებელში შთამბეჭდავად სახიერდება ხატია.

რასაც არ უნდა აკეთებდეს ხატია, მაინც თითქოს ცის ფერთან ერთად მზის სხივებიც უნდა შეიტყუოს უსინათლო თვალებში. იგი სულ გაიძახის — „მე ვხედავ მზესო“, და ამ სიტყვებს ხატია ისეთი შინაგანი ძალით წარმოთქვამს, რომ მკვეთრად გვაგრძობინებს სიცოცხლის დიდ წყურვილს.

საოცარია ხატიას, ამ სოფლელი ბრმა გოგონას იდუმალი და ჯანსაღი ინტუიცია ნათლად წარმოიდგინოს თანამედროვე ცხოვრების მღელვარე მოვლენები და გახდეს მათი აქტიური მონაწილე.

ეს თვისება მას მკიდროდ აკავშირებს მშობლიურ ხალხთან, უფრო ხალისიანს ხდის ხატიას ცხოვრებას და ძლევს სიბრმავეთ დაბედებულ უიმედობასა და უქნარობას. ხატია თავისი ფიზიკური ძალების შესაძლებლობის შესაბამისად გულწრფელი მონაწილეა საზოგადოებრივი ჭირ-ვარამისა, იგი კეთილი, სათნო და მგრძობიარე გოგონაა, რომელიც მუდამ მზად არის იზრუნოს სხვისთვის, ვაკეთოს ის, რისი შესაძლებლობის უნარიც გააჩნია. ხატია ამიტომაც შეიყვარეს თანასოფლელებმა. მისმა ამ მაღალმა ადამიანურმა თვისებებმა მოხიბლა თანასოფლელი ვაჟიც და, მიუხედავად მისი დიდი ფიზიკური ნაკლისა, მთელი არსებით შეიყვარა იგი. მსახიობი ლ. ყარასაშვილი ღრმად ჩასწვდომია ამ გოგონას ფსიქიკას და ისე ბუნებრივად, ამასთან ოსტატურად გარდაისახა, რომ მაყურებლის მოწონება და სიმპათია დაიმსახურა. ყარასაშვილმა-ხატიამ თავისი ლირიკული „მე“ შეადუღაბა კოლმეურნეთა ჰუმანურ „ჩვენთან“ და თავისი დასანანი

უსინათლობა ამ უკანასკნელის დაძლევის იმედით განათა. თავისუფალი ადამიანის ცხოვრებაში მართლაც არის ისეთი წმინდა ნაპერწკალი, რომელიც ბედნიერებას იძლევა არა თუ უსინათლობისას, არამედ უკიდურეს ტრაგედიაშიც კი.

თუმცა ბეჟანა ვერც ამ ბედს ეზიარა.

ბეჟანას როლის განსაზიერება დაკავშირებულია ავადმყოფური სულის, ურთიერთგამომორცხველი თვისებების იგივეობის გახსნათან — ჰეკიანი გივის მძაფრ შეგრძნებათა არათანმიმდევრული ცვალებადობის გადმოცემასთან. საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა მ. ხინკაძემ სახის გახსნისას თითქოს მთლიანად განიშორა საკუთარი „მე“. შეიძლება თამამად ითქვას, რომ იგი ახალი აქტიორული შესაძლებლობით წარმოგვიდგა ამ როლში და დიდად გაახარა მაყურებელი ბეჟანას რთული მხატვრული სახის ღრმად გააზრებული ფსიქოლოგიური გამოკვეთით. გარეგნობით, ჩაცმულობითა და ქცევით ბეჟანა კომიკური და სასაცილოა. ბედისაგან დაჩაგრულ ამ ადამიანს სულიერი ავადმყოფობა აიძულებს იყოს ასეთი. მაგრამ იგი უაღრესად წმინდა, ფაქიზი სულის ადამიანია და კეთილი სხვების მიმართ. ბეჟანას უყვარს სიმართლე... და როცა სამართლიან მოთხოვნას საფრთხე ემუქრება, ბეჟანა მრისხანედ აენტება და გაიძახის — „ახლა მე გავედღებო“. ეს მისი შინაგანი აღშფოთება ხშირად ისე ძლიერია, რომ გვჩერა — ბეჟანა კლდესავით დაუდგა მცველად სიმართლეს და ამოა მასთან ჰიდილი. ბეჟანა თავისი ქცევით, კეთილშობილებით სიცილსაც იწვევს და სიბრაღესაც. მას თანაგრძნობით ეკიდებიან თანასოფლელები. უყვართ იგი, როგორც კეთილი და მოყვასი ადამიანი. ამიტომაც, რომ თანასოფლელები დიდი გულსტკივილით დაიტირებენ ბეჟანას, როცა მას ვერაგულად ჰკლავს ომისა და

შრომის დეზერტირი. ხალხის მოლოდინი და გარეწარი. მაყურებელიც სიყვარულით და პატივისცემით ეკიდება ბეჟანას, მწვეტი რომელი განიცდის მის ტრაგედიასს და მწყევტი რომელი შეასრულა მსახიობმა და მაყურებლის აღფრთოვანება მ. ხინკაძის უზადო თამაშით ჩვენ საესეებით საფუძვლიანად მიგვაჩნია. მსახიობმა თვალნათლივ წარმოგვიდგინა ბეჟანას ადამიანური ღირსებაც და ნაკლიც.

მეტად ღრმა განცდებით, მაგრამ არაკონტრასტული ცვალებადობით წარმართავს ბაბილოს მხატვრულ სახეს აჭარის ასსრ დამსახურებული არტისტი მ. შერვაშიძე. ბაბილო გულის კაცია: იგი გადმოგვცემს მშობლიური გრძნობისა და შვილისათვის მიცემული სიცოცხლის აზრს. მისი სპეტაკი ოჯახი დამწუხრებულია სამამულო ომში უვზო-უვლოდ დაკარგული შვილების ფარული გლოვითა და მათი შინ დაბრუნების ამალოდინით.

მამის სახეს მ. შერვაშიძე ხატავს ერთმანეთთან შეძერწილი მწუხრიანი სიამაყით — იგი იტანჯება, როგორც დაკარგული შვილის მამა. მაგრამ ამაყობს, როგორც სამშობლოს წინაშე ვალმობილი მამულიშვილი და მოქალაქე.

ხატავსა და სოსოიას ბაბილოსა და კაცანოს (საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი ნ. კეკეხმაძე) ოჯახში სტუმრობის სცენა ამ ჰუმანური წარმოდგენის მარგალიტია. მ. შერვაშიძემ ოსტატურად გამოიყენა ის ხერხი, რომლითაც მსახიობმა სიცრუეს სიმართლის სახე უნდა მისცეს. უაღრესი გაკვირვების გამო, რასაც კაცანოსა და ბაბილოს უანგარო კეთილმოქმედება იწვევს. მაყურებელი სცენურის იქით, თავისი წარმოსახვით იმასაც ხედავს, თუ როგორ მამაცურად იბრძვიან ვერაგი მტრის წინააღმდეგ, მამულის თავისუფლებისათვის ნასია და ბათუა



(ბაბილოს შვილები). არც კი გჯერა, რომ ამ ვაჟკაცების წერილები და სიცოცხლე ერთად შეწყდნენ, რომ მათ შესახებ ველარაფერს გაიგებ და ისინი შინმოუსვლელნი დარჩებიან. კეთილი ადამიანის გონიერი აზრის ამ მშვენიერ სურათში, რომელიც ბაბილოსა და კაქანოს ოჯახში ხატისა და სოსოიას სტუმრობის შედეგად იხატება, მოჩანს ფრონტისა და ზურგის ურყევი კავშირი. შეუძლებელი იყო არ გაემარჯვა ამ ხალხს, ამ ქვეყანას. შიმშილ-

სა და გაჭირვებას ადამიანთა ჰუმანური დახმარება ამარტყენულნი ბოლოს, სპექტაკლის ნაკლებობა.

უფრო მეტად, ვიდრე წიგნში. ესთეტიკურად გაუმართლებელი აღმოჩნდა სცენაზე გერმანელი ტყვე, სამხედრო აკვეთილის პირველი ნაწილი და საერთო კრების თავმჯდომარე, რადგან აქ მოქმედებას, წიგნის გვერდით თავის ნებაზე ხომ ვერ გადაფურცლავ!



## აბელ სარგულაძე

# გეგენახეობა-მეღვინეობის ისტორიისათვის აჭარაში

გეგენახეობა-მეღვინეობა აჭარის სოფლის მეურნეობის ერთ-ერთ უძველესი დარგია. არქეოლოგიური მასალები და წერილობითი წყაროები ერთხმად მიუთითებენ აქ ამ კულტურის მაღალ დონეზე, მის სიძველეზე. კიდევ მეტი, თანამედროვე აჭარის ტერიტორია ვაზის კულტურულ ჯიშთა ერთ-ერთ სამშობლოდ ითვლება.

ქართული ვენახის ჯიშების გასარკვევად ფასდაუდები მუშაობა გასწია აკად. ი. ჯავახიშვილმა. მან შეკრიბა ცნობები აჭარაში გავრცელებული ჯიშების შესახებაც, რომელთა რაოდენობა ოცდაექვსს უდრიდა.<sup>1</sup> მაგრამ ეს რიცხვი ზუსტი არ იყო, რამდენადაც მეცნიერი აღწერდა მხოლოდ ლიტერატურაში მოცემულ ჯიშებს. მართლაც, უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე წარმოებული მუშაობის შე-

დეგად ნაპოვნი და ამპელოგრაფიული მეთოდებით შესწავლილ იქნა ვაზის ორმოცი ადგილობრივი ჯიში. საგულისხმოა, რომ კიდევ არსებული ათი ჯიშის აღწერა, მისი გავლურება-გატყუერებისა თუ სხვა მიზეზების გამო, არ მოხერხდა. აღნიშნული ციფრები კი იმაზე მეტყველებენ რომ „აბორიგენული ვაზის ჯიშთა მდლარეზა აჭარის ტერიტორიაზე უფრო ფართოდ არის წარმოდგენილი, ვიდრე საქართველოს სხვა რაიონებში“.<sup>1</sup> ამ მხრივ კი აჭარას ჩვენს ქვეყანაში, სხვა კუთხეებთან შედარებით, მეორე ადგილი უკავია. ადგილობრივი ჯიშებია — ბროლა, თეთრა (თეთრი), საწურავი, ბუტკო, აჭარული ცხენისძეძუ, კოდი, ქორქაულა, ჩხუში, კიბურა (შავი და წითელი) და სხვ. ჩანს, ძველად ისინი ფართოდ ყოფილან გავრცელებული, დღეს კი თითო-ორთა ძირის სახით გვხვდებოდა, თუმცა

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, II, 1934 წ., გვ. 463-465.

<sup>1</sup> მ. რამიშვილი, გურიის, სამეგრელოს და აჭარის ვაზის ჯიშები, 1948, გვ. 2, 30.

ზოგი (თეთრა) ახლაც მრავლადა და უხვი მოსავლითაც ხასიათდება (ხულოს რაიონში).

საერთოდ ვენახს დიდი ეკონომიური მნიშვნელობა აქვს, რადგან ყურძნისაგან შეიძლება არა მარტო ღვინის დაწურვა და არაყის გამოხდა, არამედ ფელამუშისა და ჩურჩხელის სახით თათარას დამზადებაც. ეს უკანასკნელი კი საკვებად ძალზე ნოყიერია და მეტად მარგებელი. ზოგჯერ მას პურის მაგივრადაც ხმარობდნენ. ალბათ, ამის გამოც იყო, რომ აჭარაში უძველესი დროიდანვე იცნობდნენ და აშენებდნენ სასუფრე ჯიშის ვაზებსაც. ამ მხრივ ავად. ივ. ჯავახიშვილი აჭარაში ფართოდ გავრცელებული ვენახის შვიდი ჯიშიდან გამოყოფს ოთხი საწური და სუფრის სამი სახეობის ყურძენს.<sup>1</sup> საღვინე ჯიშებიდან კარგი მოსავლიანობით გამოირჩეოდა ბუტკო, მტევანდიდი, მწვაწვე, პოვნილი. სუფრის შესანიშნავი ყურძენი იყო კლარჯული, ცხენისძუძუ, ხარისთვალა, ხოფათური და სხვ.

ამჟამად შეუძლებელია აჭარის ვაზის კულტურული ჯიშების ასაკის განსაზღვრა, მაგრამ ის კი ფაქტია, რომ ისინი ვითარდებოდნენ საუკუნეების მანძილზე და ხელსაყრელი ეკოლოგიური პირობების შესაბამისად ადგილობრივ ვითარებას ეგუებოდნენ. უკანასკნელი დროის არქეოლოგიური გათხრებით დადასტურდა, რომ ჩვენს წელთაღრიცხვამდე რამდენიმე ათასი წლის წინათ ქართველმა ტომებმა ტყეში მზარდი ველური ვაზი კულტურულ მცენარედ აქციეს და მისი ნაყოფიდან ღვინის დაწურვა დაიწყეს. ეს და ცალკეული ჯიშის თავისებურებანი (გვიან დამწიფება, დიდი გამძლეობა და დაუკრფავად თითქმის ახალწამდე ხეზე შენახვა-დაქოშმობა, მკვრივხორციანობა და სხვ.) იმაზე მიუთითებენ, რომ დასავლეთ საქართველოს, კერძოდ, აჭარის ვაზის ჯიშებს შორეული წარსული აქვს. ამ მხრივ შეიძლება მიუთითოთ ბუტკოზე, რომელიც უარესად ძველი

ჯიშია. თვით სახელწოდებაც ძველია. ძველად „ძველის-ძველია“ აჭარაში გავრცელებული ყურძენი ცხენისძუძუ ჯიშისაა დაბოლოს, აჭარაში ვენახის დამადასტურებელია ველური ვაზის აღმნიშვნელი უძველესი ქართული ტერმინი „ძღვამლი ყურძენი“ (იგივე ძღვამლი), რომლის ხსოვნა ჯერ კიდევ შემოუნახავთ აჭარაში მევენახეებს.<sup>2</sup>

სამწუხაროდ, არა გვაქვს მასალები ამ დარგის ინტენსიობის შესახებ ძველად, თუმცა, არაპირდაპირი ცნობებით, შესაძლებელია მისი მასშტაბის გათვალისწინება. ამ მხრივ მნიშვნელოვანი წყაროა ტოპონიმია — ადგილთა სახელწოდებანი, რომელიც ნათლად ასახავს ადამიანთა შრომით საქმიანობას. და მართლაც, მევენახეობა-მეღვინეობასთან დაკავშირებული ტოპონიმების სიმრავლე აჭარაში ამ დარგის ინტენსიობის მაჩვენებელია. დღემდე მართლაც შემორჩენილია ადგილთა სახელწოდებანი: ნაკურვალი, ნავენახარი, ნამარნევი და სხვ. გარდა ამისა, თვით სოფლების ან უბნების სახელებად გვხვდება ზვარი (ზვარია), ღვინაშვილები. საინტერესოა, რომ მეტწილი ასეთი ტოპონიმები გვხვდება ხულოს რაიონში. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ იგი მევენახეობის ერთ-ერთი დაწინაურებული კუთხე ყოფილა.

საგულსხმობა, რომ ვრცელი ფართობის მქონე ვენახის აღსანიშნავად აჭარაში იხმარება ტერმინი „ზვარი“. ესეც ამ დარგის მაღალგანვითარებულობაზე მიუთითებს, რადგანაც „დიდი ვენახის აღსანიშნავად ზუარის-სიგანაც მევენახეობის ინტენსიობის ზრდის მაუწყებელია“.<sup>3</sup>

ანალოგიური ვარაუდის შესაძლებლობას იძლევა არქეოლოგიური მონაცემებიც. მიწის სამუშაოებთან დაკავშირებით

1 ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 481, 538.

2 ჩავიწერეთ ქედის რაიონის სოფ. ახოში.

3 ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 603.

1 ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 592.

შემთხვევითი აღმოჩენისა თუ გეგმაზომიერი არქეოლოგიური დაზვერვების შედეგად ნაპოვნი მატერიალური კულტურის ძეგლები (ქვევრები, საწინახლები, ქვის მარნები) მევენახეობა-მეღვინეობის ოლითმე დაწინაურებულობის უტყუო, მაგრამ ნავითიერი მტკიცებაა.

აქვე შეგვიძლია ფოლკლორული მონაცემების ვითვალისწინებაც. საერთოდ ვენახისა და მისი ცალკეული ჯიშების ხობტა ქართულ ფოლკლორში ხშირია, მაგრამ აქარულ ზეპირსიტყვიერებაში დღემდე შემონახული ფრაგმენტი ლექსისა „ჩაღმა ჩაყრილო ვენახო“ ვაზის უძველესი ქება-პიშინა და მხოლოდ აქარისათვისაა დამახასიათებელი.<sup>1</sup> ეს ფაქტიც არა მარტო მევენახეობა-მეღვინეობის სიძველეს მტკიცებებს, არამედ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ამ დარგის ინტენსიურობის მაჩვენებელიცაა.

საგულსხმაოა, რომ აქარულ მევენახეებს უზრუნველ ვაზის ჯიშობრივი გაუმჯობესებისათვისაც. ასეთია, ჩვენი აზრით, „კაიკაციშვილისეული“ და „ტაკიჭრა“ (ჩაქვის რაიონი). სათანადო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ისინი მხოლოდ შემოტანილია საქართველოს სხვა რაიონებიდან კაიკაციშვილებისა და ტაკიჭეების რომელიღაც წინაპრის მიერ, მაგრამ ანალოგიური ჯიშების სხვაგან არარსებობა, ვფიქრობთ, გარკვეულად მიუთითებს ამ ორი გვარის დამსახურებაზე შემოტანილი ვაზის ჯიშობრივი გაუმჯობესების საქმეშიც. აქ არსებითად, იგივეს თქმა შეიძლება, რაც გურული „მგალობლიშვილისეულის“, „ჭეიშვილისეულის“, რაჭული „წულუჭიძის“, „ეციფანურისა“ და სხვათა შესახებ. ასევე ითქმის „კებურა-ზეც“, რომელიც სოფ. კებეში (ჩაქვის რაიონი) გამოყვანილი ჩანს. ალბათ, პირვანდელი ჯიშისაგან იგი იმდენად განსხვავებული აღმოჩნდა, რომ სამშობლო სოფლის სახელი შეარქვეს. ეს ფაქტები ქა-

1 ჯ. ჩხეიძე, შრომის პოეზიის ძირითადი სახეები აქარის ზეპირსიტყვიერებაში, 1961, გვ. 65-66.

რთულ მევენახეობაში აქარული მუყუნის წვლილზე მეტყველებენ.

აღსანიშნავია, რომ მაღალხეჩქარულენი ღვინო მდ. აჭყვას ხეობაშიც მრავალია. ძველ სოფელ ოსეთურსა და ჩაქეში საუკეთესო ვენახები ყოფილა. აქაურ ღვინოებს თურმე იმერულსაც (სოფ. ფერსათი) უტოლებდნენ. გამოთქმაც შემორჩინდა: „ფერი ფერსათული, ღვინო ოსეთური, ცოტას მოიჩაქურებსო“.<sup>1</sup> აქაური ღვინოების მაღალხარისხოვნობის შესახებ XVIII საუკუნეში ვახუშტი ბაგრატიონიც წერდა: „ზღვის კიდესაცა (ბათუმ-ქობულეთის უბანზე — ა. ხ.) ვენახი მაღლარი, ღვინო კეთილი, მსუბუქი და შემრგო, გემოიან სუნიანი მრავლად“.<sup>2</sup>

ასეთი თვისებებისა და რაოდენობის ღვინო, ცხადია, აქარელთა ვაჭრობის საგანი იქნებოდა. სამწუხაროდ, საამისო ცნობები არ შემონახულა.

XVII საუკუნის დამლევს ოსმალეთმა საქართველოს სამხრეთ რაიონებთან ერთად მიიტაცა აქარაც. მაჰმადიანურმა სარწმუნოებამ მაშინვე ბრძოლა გამოუცხადა მეღვინეობას. მართალია, წინააღმდეგობა თავდაპირველად არ იყო ძლიერი, მაგრამ მიტაცებულ ტერიტორიაზე დამკვიდრებასთან დაკავშირებით დამპყრობელი მეტი ენერჯით ებრძოდა ამ დარგს. განვითარებული ფეოდალური მეურნეობის მოშლით, კერძოდ, ბალ-ვენახების გაჩეხვითა და ყიშლალ-იალოღებად მათი გადაქცევით მტერი ცდილობდა მხარის საბოლოო დაპყრობას და გათურქებას. ამ საქმეში რეაქციულ როლს ასრულებდა აგრეთვე მიწათმფლობელობის ოსმალური სისტემა, რომლითაც მწარმოებელი კლასი მიწას იჯარის საფუძველზე ფლობდა. ეს მფლობელობა კი იყო პირობითი, რადგან შეიძლებოდა მიწის ხელახალი გადანაწილებისას ნაკვეთი, მომავალ წელს, იმავე გლეხს აღარ დარჩენოდა. ასეთ პირობებში ეს უკანასკნელი დაინ-

1 თ. სახოკია, მოგზაურობანი, 1950, გვ. 116.

2 ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 1941, გვ. 176.



ტრესებელი არ იყო მრავალწლიანი შრომატევადი ვაზის გაშენებით. ამით მევენახეობისათვის საჭირო პირობები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში მეტისმეტად შეიზღუდა და განადგურების გზას დაადგა.

ჩანს, მიიმე ვითარებაშიც კი ვერ ელენდენ ამ კულტურას. 1906 წელს ზ. ჭიჭინაძემ ერთი მოხუცისაგან ჩაიწერა: „ქარვად მახსოვს, რომ აჭარაში აქა-იქ ჩუმად ღვინოს დასწურავდნენ ხოლმე“. 1 მავრამ ამას აღარ შეეძლო მევენახეობა-მელვინეობის დაცემის ადრე დაწყებული პროცესის შეჩერება. 1896 წელს თ. სახოკია აღნიშნავდა: „თითქმის ყველა სოფელში დარჩენილი უზარმაზარი ქვევრები (შეგ 100 წლის ღვინოც კი უნახავთ) იმას-ღა კმოწმობს, რომ მელვინეობას აქ ოდესღაც საპატიო ადგილი სჭერია და ცხოვრების ერთ სახსართაგანს შეადგენდა, მაგრამ მხოლოდ „ოდესღაც“. დღეს კი სადაც არ დამტვრეულა ძველი ქვევრები, საცაა დაიმსხვრევა, ვაზები მოუვლელობითა და უპატრონოდ გადახმება და გადაიჩეხება“.<sup>2</sup>

1878 წელს აჭარა სამუდამოდ ვანთავისუფლდა ოსმალთა ბატონობისაგან და იგი საქართველოს დაუბრუნდა. ამით ხელსაყრელი პირობები შეიქმნა მევენახეობის აღორძინებისათვის. უკვე 1895 წლისათვის აქ ვენახების საერთო ფართობი თითქმის ცხრა ჰექტარს უღრიდა და დაახლოებით ოცდაათი ათას ფუთ ყურძენს იძლეოდა. მაგრამ 80-იანი

1 ქართველების გამაჰმადიანება, 1907, გვ. 76.

2 მოგზაურობანი, გვ. 174.

წლებიდან ვაზის სოკოვან გავრცელებამ და ართვინელ მევენახეობის კონსტრუქციის გაძლიერებამ შეზღუდულობასთან ერთად კვლავ შეაფერხა ამ დარგის განვითარება.

XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე რუსმა და უცხოელმა კაპიტალისტებმა სოლოფიცევმა, ვუჩინომ, კრიშტოფოროვიჩმა და სხვ., თავიანთ მეურნეობაში ვენახები გააშენეს. ძირითადად დარგეს აღმოსავლეთ საქართველოს, ყირიმისა და საფრანგეთის ვაზის რბილი ჯიშები, მაგრამ ეს წამოწყებაც ჩაიშალა. ერთბაშად შემოტანილი ვენახი ვერ შეეგუა ზღვის სანაპირო ზოლის ტენიანობას, ვერ მოასწრო აკლიმატიზაცია და მალე დაიღუპა. ასე, რომ მევენახეობის განვითარებაზე მათ ვერავითარი გავლენა ვერ მოახდინეს.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ აჭარაში სერიოზული პრაქტიკული ნაბიჯები გადაიდგა ამ დარგის აღორძინებისათვის. 1934 წელს ქედაში ერთ ჰექტარ ფართობზე მოაწყვეს საცდელ-საჩვენებელი ნაკვეთი, რომელზეც ადგილობრივი და შემოტანილი ვაზის ჯიშები გააშენეს. მიღებულმა პროდუქციამ და აგრეთვე ვაზის სხვადასხვა ჯიშის ზრდა-განვითარებამ ცხადყო აჭარაში მევენახეობის ფართო მასშტაბით წარმოების შესაძლებლობა. და მართლაც, იგი სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი ძირითადი დარგი გახდა. ამჟამად აჭარაში ვენახს 788 ჰექტარი ფართობი უკავია, მაგრამ ეს სრულიად ვერ ამოწურავს იმ დიდ შესაძლებლობას, ამ კუთხეს რომ გააჩნია მევენახეობის განვითარების საქმეში.



## ალექსანდრე ჩაქლიაშვილი

### სასარგებლო კრიტიკული ეტიუდები

სახელმწიფო გამომცემლობა „ცოდნამ“ ახლახან გამოსცა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის პროფ. გ. ჯიბლაძის „კრიტიკული ეტიუდების“ მეოთხე წიგნი.

როგორც ცნობილია, ყოველი ლიტერატურულ-კრიტიკული ეტიუდის მიზანია მწერლის მთელი შემოქმედების ან მისი ცალკეული ნაწარმოების განხილვა და ჭეშოროვანი შეფასება. სწორედ ამ ამოცანას ასრულებს პროფ. გ. ჯიბლაძის ეს ახალი წიგნი. მასში განხილულია როგორც ძველი, ისე ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის მნიშვნელოვანი მოვლენები, მწერლები და ნაწარმოებები: დავით გურამიშვილის შემოქმედება, ილია ჭავჭავაძის ლექსები, აკაკი წერეთლისა და ვაჟა-ფშაველას პოეზიის ზოგიერთი საკითხი, ეგნატე ნინოშვილის რომანი და მოთხრობები. აქვეა მოთავსებული პუშკინის, ოგარიოვისა და გერცენისადმი მიძღვნილი სტატიები.

ორი წერილი მიძღვნილია აკადემიკოს კორნელი კეკელიძისა და პროფ. მიხეილ ზანდუკელის სამეცნიერო მოღვაწეობის დახასიათებისადმი.

პროფ. გ. ჯიბლაძის წერილები, ნარკვევები, კრიტიკული ეტიუდების ოთხი წიგნი და სხვა ნაშრომები გამოირჩევიან ფაქტური მასალების საფუძვლიანი ცოდნით, საკითხების ღრმა მეცნიერული გააზრებით, ჭეშმარიტი დასკვნებით. განსახილველი „ეტიუდები“ ყურადღებას იპყრობს აგრეთვე იმით, რომ ავტორი ითვალისწინებს საკითხების კვლევის ისტორიას. ყველგან ასახელებს და ანგარიშს უწევს იმ აზრებს, რომლებიც ადრე სხვა მკვლევარებს გამოუთქვამთ საკვლევ თემასთან დაკავშირებით. მაგალითად, წიგნში თავის ადგილას მითითებული და სათანადოდ დამოწმებულია შეხედულებები ისეთი ცნობილი პირებისა, როგორც არიან კ. აბაშიძე, ი. მეუნარგია, ფ. მახარაძე, კ. კეკელიძე, ვ. კობეტიშვილი, ს. ხუნდაძე, გ. ქიქოძე, ლ. ასათიანი, ა. ბარამიძე, პ. ინგოროყვა, ი. გრიშოშვილი და სხვები. გარკვევით არის ხაზგასმული ყველა მათგანის სათანადო დამსახურება, აკად. კ. კეკელიძისა და პროფ. მიხ. ზანდუკელის შესახებ კი, როგორც აღვნიშნეთ, ავტორი განსაკუთრებული წერილებით გამოდის და მკითხველებს ღრმად აც-

ნობს მათ დამსახურებას ფილოლოგიური მეცნიერების დარგში. ეს წერილები დიდი სიყვარულითა და გულწრფელობით არის დაწერილი. ჩვენ მხოლოდ ის დაგვრჩენია, რომ მოვიტანოთ ზოგიერთი ამონაწერი თვითმული მთავანიდან. „ქართული ფილოლოგიის პატრიარქი“ დიდი მეცნიერის კ. კეკელიძის ეხება. სრულ სიმართლეს გამოხატავს გ. ჯიბლაძის შემდეგი სიტყვები: „ქორნელი კეკელიძე ძველი ქართული ლიტერატურის უდიდესი მცოდნეა. მეცნიერულ ასისტენაში სწორედ მან მოიყვანა პირველად ძველი ქართული მწერლობა, პირველად მან გვიჩვენა, თუ რა დიდი ღირებულების შემცველია არა მარტო საერო მწერლობა, არამედ რა მხატვრული ღირებულების მქონეა აგრეთვე მდიდარი სასულიერო მწერლობა როგორც თრეგინალური, ისე თარგმნილი“ (გვ. 495). „ქორნელი კეკელიძე, — განაგრძობს მკვლევარი, — ცნობილი დიდი მეცნიერია როგორც საბჭოთა კავშირში, ისე საზღვარგარეთაც. ეს საამაყო სახელი და მეცნიერული ავტორიტეტი მან მოიბოვა, არა მარტო ბრწყინვალე ტალანტის მეოხებით, რომელიც გულუხვმა ბუნებამ მიანიჭა, არამედ დაუღალავი, პირდაპირ მოწამებრივი შრომით, არქივებისა და წიგნთსამაგვრის მტვერთან დაშვების თევით და დღეების დაღამებით. მას მუდამ თან ახლდა იმედის რწმენა, ოპტიმიზმი, რასაც სამშობლოსადმი მხურვალე სიყვარული განამტკიცებდა, ყოველთვის თვალწინ ედგა ქართული კულტურისადმი სამსახურის უანგარო იდეა, გამოირჩეოდა იშვიათი თავმდაბლობით, ჰუმანიზმით და პრივიციულობით, ხოლო მისი შრომისმოყვარეობა — ეს უკვე გასაოცარი ფაქტორი იყო გასაოცარ მოვლენათა შორის“ (გვ. 500).

გ. ჯიბლაძის მოჰყავს მრავალი მაგალითი აკადემიკოს კ. კეკელიძის მეცნიერული შრომიდან, იძლევა მათ ღრმა დამაჯერებელ ანალიზს. აქვე აღნიშნულია კ. კეკელიძის უანგარო მოღვაწეობა ახალგაზრდა მეცნიერული კადრების აღზრდის საქმეში. გარკვევით უნდა ითქვას, რომ პროფ. გ. ჯიბლაძემ თავისი წერი-

ლი გამოხატა აკად. კ. კეკელიძის ეხება მუშაფის სიყვარული და პატივისცემა თავიანთი ძვირფასი მასწავლებლისადმი. ასევე გარკვევით უნდა ითქვას, რომ მრავალი მასწავლებელი და მეცნიერი მუშაყი შეუერთებს თავიანთ ხმას პროფ. გ. ჯიბლაძის იმ წერილს, რომელიც ეხება პროფ. მ. ზანდუკელის სასწავლო-სამეცნიერო მუშაობას და მის დამსახურებას ლიტერატურის ისტორიასა და მეთოდის დარგში. ჩამოთვლის რა მ. ზანდუკელის ფუნდამენტურ შრომებს, უკეთებს რა მათ ანალიზს, ავტორი წერს, რომ ეს შრომები „დაწერილია მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიის გამოყენებით“ (გვ. 538). „ვერ ვიტყვი, — განაგრძობს გ. ჯიბლაძე, — რომ ამ ვრცელ გამოკვლევებში არ იყოს სადაოდებულეები, რომლებიც დაზუსტებას, დახვეწას, შესაძლოა უჭვდებნასაც საჭიროებდნენ, მაგრამ ამაყმაღ ეს კი არ არის მთავარი; არსებითია დაუღალავი შრომის შედეგად შექმნილი ფუნდამენტალური გამოკვლევები მეცხრამეტე საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიაში, ასე ნათლად რომ მოწმობენ მათი ავტორის ტალანტს, უანგარო სიყვარულს მშობლიური ერისა და მისი დიდი მხატვრული შემოქმედებისადმი“ (გვ. 530). მარტოა, რომ ეს არის მთავარი და ამ დარგში პროფ. მ. ზანდუკელის დამსახურება მარად უჭკნობი იქნება, რაზეც კარგად მიუთითებს პროფ. გ. ჯიბლაძე თავის ნარკვევში „ლიტერატურის ისტორიის გზებზე“.

რასაკვირველია. ახლა არ გვაქვს შესაძლებლობა ვრცლად განვიხილოთ თვითმული წერილი. მაგრამ არ შეიძლება არ შეგჩერდეთ ზოგიერთ მათგანზე, როგორცაა, მაგალითად, ნარკვევები: „ი. ჭავჭავაძის ლექსები“, „ილია ჭავჭავაძის ისტორიული პოემა“, „მძაფრი რეალისტი“, „ტრაგიკული პოეტი“ და სხვ.


პირველ წერილში ავტორი განიხილავს ი. ჭავჭავაძის თითქმის ყველა ლირიკულ ნაწარმოებს. ზუსტად აღგენს თვითმული მათგანის თემატიკას და იდეურ შინაარსს, გაშუქებულია მათი მნიშვნელობა

იმ კონკრეტულ საზოგადოებრივ სიტუაციათან დაკავშირებით, რომელიც არსებობდა ლექსის გენეზისის დროს. ავტორი ვერცლად და ღრმად განიხილავს იმ ლექსებს, რომლებიც დაკავშირებულია თაობათა შორის ბრძოლის ისტორიასთან. უნდა ითქვას, რომ მკვლევარი აქ იყენებს ზოგიერთ ახალ მასალას და სწორად განსაზღვრავს ამ ბრძოლის იდეურ საფუძველს. დიდ დახმარებას გაუწევს დიანტირესებულ პირებს ილია ჭავჭავაძის „გამოცანებში“ ნაულისხმევი პიროვნებების დეტალური დახასიათება.

წიგნში ყურადღებას ახყრობს ილიას ცნობილი ლექსის „ქართვის დედა“ ღრმა მეცნიერული ანალიზი. ამ პოეტური შედევრის შესახებ გ. ჯიბლაძე წერს: „ჩვენ პირდაპირ გაოცებული ვდგავართ ამ ლექსის, როგორც მთელი ეპოქის უდიდესი ძეგლის წინაშე და ვკითხვებით ხოლმე ჩვენს თავს: როგორ შეიძლო სრულიად ჭაბუკმა პოეტმა, ჯერ კიდევ მეორე კურსის სტუდენტმა, ასე მძაღვრად გამოეთქვა მთელი თავისი ერის ფიქრები, განცდები, მომავალზე ზრუნვის, წარსულისა და აწმყოს ისტორიული ქეშმარიტებით განსჯის ფილოსოფია. „ქართვის დედას“ ისეთი ნაწარმოებია, რომელიც საუკუნეებში ერთხელ იწერება, როგორც მთელი ეპოქის დიდებული პოეტური ქარტია... მთელს ლექსში საქართველოს წარსული ისე ორგანიზალდა დაკავშირებული აწმყო ვითარებასთან, ისე გამოკვეთილი მომავლის კონტურები და ერთადერთი მისასვლელი გზა, რომ ეს დიდებული ჰომი, ეს უკვდავი საგალობელი, პროგრამად დაედო ახალ თაობას მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში“ (გვ. 136). და მართლაც ახალი სიტყვა იყო ილიას მედგარი დამხილი:

მას ნულარ ვსტიროთ, რაც  
 დამარხულა,  
 რაც უწყალის დროს ხელით  
 დანთქმულა,  
 მოვიკლათ წარსულ დროებზედ  
 დარდი...  
 ჩვენ უნდა ვსდიოთ ახლა სხვა  
 ვარსკვლავს,

ჩვენ უნდა ჩვენი ვშვით მსოფლიო,  
 ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი



მართალია, ქართველ რომანტიკოსებში სწამდათ მომავალი და იბრძოდნენ საუკეთესო მერმისის განხორციელებისათვის, რის ბრწყინვალე გამოხატულებაა ნ. ბარათაშვილის „მერანი“, მაგრამ ზოგიერთი პროგრესული ქართველი რომანტიკოსის შემოქმედებაში მაინც იგრძნობა დარდი წარსულის შესახებ. ამის მაგალითია გრ. ორბელიანის „იარაღის“, რომელშიც გვხვდება ასეთი ტაეპი: „წარსულთა დროთა, დიდების დროთა, ყოველ კეთილი თანა წარილეს“, ილია ჭავჭავაძე კი შთაბავთნებლად წერდა „მოვიკლათ წარსულ დროებზედ დარდი“ და „ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხსო“. ეს იყო ის ახალი, რაც თერგდალეულებმა შეიტანეს საქართველოს სოციალურ და ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში რომანტიკოსებთან შედარებით. ამის შესახებ კარგად არის ნათქვამი „კრიტიკულ ეტიუდებში“.

ერთობ კარგ შთაბეჭდილებას ახდენს ილია ჭავჭავაძის პოემის „მეფე დიმიტრი თავდადებულის“ საფუძვლიანი ანალიზი. პოემის ასე ვერცლად და ღრმად განხილვას ხშირად ვერ შეხვდებით ჩვენს სალიტერატურო კრიტიკაში. ავტორი ისტორიულ საბუთებზე დაყრდნობით ჯერ აღადგენს იმ ისტორიულ ვითარებას, რაც ასახულია პოემაში. შედარებით ირკვევა, რომ ილია ჭავჭავაძე სწორად და მთელი მხატვრული სიმართლით გამოხატავს ისტორიულ წარსულს. ამასთანავე მკვლევარი იმასაც აჩვენებს, რომ ილიას ზოგიერთი, რამ გამოუგონებია. მაგალითად, ისტორიიდან არ არის ცნობილი, რომ მეფე დიმიტრისთან მისულიყოს მოხუცი გლეხი თავისი ორი ვაჟით და ვთხოვოს მისთვის საქართველოში დარჩენა და ყაენის წინააღმდეგ შეუპოვარი ბრძოლა. შეიძლება ასეთი რამე არც მომხდარა, მაგრამ აქ არაფერია ისეთი, რაც არ შეიძლებოდა მომხდარიყო. როგორც არის ტოტალე წერს, პოეტს შეუძლია თქვას,



„თუ რა მოხდებოდა და რა არის ალბათობისა და აუცილებლობის მიხედვით შესაძლებელი“. მოხუცის გამოჩენა კი საქირო იყო და მოწმობს ილიას დიდ პოეტურ ოსტატობას. „მშვენიერი, ამაღლებული სახეა ეს მოხუცი, — წერს გ. ჯიბლაძე, — რომელსაც პოეტმა ისეთი შარავანდელი დაადგა, ისეთი გრძნობები მისცა, ისე გამოათქმევინა ხალხის საერთო აზრი, რომ გეგონება მისი პირით თითქმის მთელი ქართველობა ლაპარაკობს... იქნებ ეს მოხუცი პოეტისათვის მართლაც ძველი საქართველოს მხატვრული სიმბოლოა, იქნებ „აჩრდილის“ გრძნეული მოხუცია, რომელიც არასოდეს საქართველოს არ შორდება და მისგან მარად განუწყურელია?“ (გვ. 267-268). ავტორი ასევე აღნიშნავს, რომ ეს მოხუცი ორივე და ასეთი შეფასება სამართლიანად უნდა ჩაითვალოს.

ცალკე ანალიზს მოითხოვს წერილი „მზაფრი რეალისტი“, რომელშიც ძალზე ვრცლად არის განხილული ეგნატე ნინოშვილის ცხოვრება და შემოქმედება. ავტორი სრულად და ღრმად აშუქებს ე. ნინოშვილის ცხოვრებას და იყენებს ზოგიერთ ახალ მასალას. ეგნატეს ბიოგრაფიის ამგვარ გადმოცემას აქვს დიდი აღმზრდელი მნიშვნელობა. შეუძლებელია მკითხველს დაავიწყდეს ეგნატეს გაწამებული სიცოცხლე მოწაფეობის დროს: „საქმელს თვითონ იკეთებდა. ჯარგვალში ქონდა: კელამიდი (თიხის კეცი), ლიტრე (პატარა დოქი), ხელ-გობა და გატეხილი ჩარხანე (თუჯის ქვაბი). კიდომ კუთხეში ქონდა მიყუდებული ყვერო-ცოცხი, რომლითაც გვიდა მის სახლს. ჭადს ზელდა და იცხოვდა, თუ იყო რამე მინდორში მონახავდა ფხალს და მოხარშავდა, რასაც მარილს წააყრიდა. მიაქმევდა მჭადს ან კიდომ ყველს ან ტარანს, თვარა და ქე იყო მშვიერი. მიუხედავად ამისა, სულ კითხულობდა, სულ კითხულობდა და კითხულობდა. არ იქნებოდა მისი ტყვილა გაჩერება. სულ წიგნზე იყო მიციცქინებული“ (ესმა თითბაძის მოგონებანი, გვ. 344).

ავტორი კარგად აჩვენებს, რომ თავისი ცხოვრების ამგვარი ფაქტები ეგნატემ

შემდეგ შეიტანა სპირიტონ მკობილის ბიოგრაფიაში.

პროფ. გ. ჯიბლაძე განსაკუთრებით ყველა პუბლიცისტურ ნაშრომში ცხადყოფს, რომ ე. ნინოშვილი შესანიშნავი, მახვილგონიერი პუბლიცისტი.

ჯეროვანი ადგილი აქვს დამთხობილი „ეტუდებში“ ე. ნინოშვილის ლიტერატურული რომანის განხილვას. ისიც მნიშვნელოვანია, რომ გ. ჯიბლაძემ აღადგინა თავის უფლებებში რომანის ავტორისეული სახელწოდება „სამწუხარო შედეგი“. რატომღაც ჩვენს ლიტერატურისმცოდნეობაში ამ რომანის სახელწოდებად მაინცდამაინც „ჯანყი გურიისი“ მიანიჭებდნენ, როდესაც თვითონ ეგნატემ შესცვალა ეს სათაური და უწოდა „სამწუხარო შედეგი“, რითაც გაამახვილა რომანის იდეური შინაარსი. ამით იგი მკითხველს ეუბნებოდა, რომ რაღაც მომხდარა და, რაც მომხდარა, იგი სამწუხარო შედეგით დამთავრებულა, და თუ შემდეგში მსგავს რამეს მოახდენთ, სამწუხარო შედეგით არ დამთავრდითო. როგორც ცნობილია გურიის 1841 წლის აჯანყება სამწუხაროდ დამთავრებულა გლეხებისათვის. როგორც ჩანს, ე. ნინოშვილი ნაწარმოების არამც თუ შინაარს, არამედ სათაურსაც კი იყენებდა გასარევოლუციონერებლად. ბოლოს და ბოლოს, დროა ადგეს რომანის ავტორისეული სათაური „სამწუხარო შედეგი“.

კიდევ ბევრი დადებითი თქმა შეიძლებოდა წიგნის შესახებ, მაგრამ ახლა მსურს „ეტუდების“ ზოგიერთი ჩრდილოვანი მხარეების შესახებაც ვილაპარაკო.

კარგი იქნებოდა, უფრო მეტი თქმულიყო მაქსიმ გორკისა და ეგნატე ნინოშვილის ურთიერთობის შესახებ.

პროფ. გ. ჯიბლაძის კვლევითი მუშაობის ერთ-ერთ კარგ მხარეს ის წარმოადგენს, რომ ვიდრე იგი კონკრეტულად რომელიმე ნაწარმოებს ვაარჩევდეს, მანამდე წინასწარ აშუქებს თემასთან დაკავშირებულ ლიტერატურულ-თეორიულ საკითხებს. ამის მაგალითები სარეცენზიო „ეტუდებშიც“ ხშირია და ამიტომ კარგი იქნებოდა, ავტორი ვრცლად შეხებო-

და „ლირიკული გმირის“ ცნებას. როგორც ვიცით, ეს ტერმინი ამ ბოლო დროს სადავოდ იქცა. ხომ არ არის იგი ისეთი ტერმინი, რომელსაც შეიძლება შეველიოთ და სხვა რამეთი შევეცვალოთ? სასურველი იყო, რომ ავტორს განეხილა ეს საკითხი, რადგან „ლირიკული გმირის“ ცნება ხშირად გვხვდება „ეტიუდებში“.

წიგნის ზოგ ადგილას შეიმჩნევა კორექტურული შეცდომები. მაგალითად, ნ. ბარათაშვილის შესახებ დაწერილი ლექსის სახელწოდება წარმოდგენილია ასე— „ნიკოლოზ ბარათაშვილზედ“ (გვ. 156). ნამდვილად კი პოეტის სახელი „ნიკოლოზი“ ილიას დაწერილი აქვს როგორც „ნიკოლოზ“, ე. ი. ბოლო ნაწილი ორი „ო“-თი (ტ. 1, გვ. 58). ამით ილია ჭავჭავაძეს სურდა ხაზგასმით ეთქვა ის, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილი განსაკუთრებული ნიკოლოზია და ამიტომ სხვა ნიკოლოზისაგან განსხვავებით მისი სახელის ბოლო ნაწილი ორი „ო“-თი უნდა დაიწეროსო. როგორც ჩანს, კორექტორს ეს მეორე „ო“ გამოჩნენია. ასევე კორექ-

ტურული შეცდომაა „ე“-ს ნაცვლად „ო“-ს დაწერა. მაგალითად, „ჩემო კარგო ქვეყანავ“ ილიას უწერია „არ გიმტყუნებენ შენა, თუ ვაჩვენებენ ენდები“, „ეტიუდებში“ კი წერია „მეც კი მათ მიენდობი (გვ. 160). ერთი შეხედვით, ასეც უნდა ყოფილიყო, რადგან არსებობს სიტყვა „მინდობა“ და არა „მინდება“, მაგრამ ისიც აშკარაა, რომ სიტყვის ასეთი შეცვლა გამოწვეულია რითმის დაცვის მიზნით. ზედა ტაქეები ბოლოვდება სიტყვებით: „გულმტკიცები“, „იქნები“, და ამან მოითხოვა ყოფილიყო „მიენდები“ და არა „მიენდობი“. სიტყვის ასეთი რითმული დეფორმაცია ლექსს მეტ მუსიკალობას, ელერადობას აძლევს. მართალია, „მიენდების“ შეცვლა „მინდობით“ არ აზიანებს ლექსის შინაარსს, მაგრამ ამიტომ მის ეფფონიურ მხარეს.

ვეტიკობთ, ეს ორიოდ შენიშვნა ვერ დაჩრდილავს პროფ. გ. ჯიბლაძის „კრიტიკული ეტიუდების“ დიდ სასარგებლო მნიშვნელობას.





## ნუკალინ ჩხაიძე

### კირველი ექსკურსია

თექვსმეტი წელი ვისწავლე: დავამთავრე საშუალო სკოლა, შემდეგ პედაგოგიური ინსტიტუტი და გავხდი პედაგოგი.

— ახლა ისეთი დროა, ჯობი რომ მოიქნით, ხუთ მასწავლებელს მოხვდებო. რა გინდა სკოლაში რომ მირბიხარ? რაღაც ისეთი სამსახური გამოიხატე, რომ სახელი მოიხვეჭო, სახალხოდ დაწინაურდე, — დამიჩემეს სახლში და ხელი ამალეზინეს ჩემს სპეციალობაზე.

ჩვენი კოლმეურნეობის თავმჯდომარეს კაპიტონს მორცხვად მოვთხოვე შესაფერისი „დასაწინაურებელი სამსახური“. არც კი ჩაფიქრებულა, ისე მომახალა:

— ბიძიკო, აგი ბაღნები, თუ კი ისწავლეს ორი განაწევა, ქალაქში გარბიან და მინისტრობას ითხოვენ. ჩვენ კი მუშახელი ჩაიში აღარ გვყოფნის. თუ მოინდომებ, ჩაის კრეფაზე უფრო დასაწინაურებელი სამსახური რაა — ერთ წელიწადში სოციალისტური შრომის გმირი გახდები. ა. გინდა, ბრიგადირად გავიშვებ?

ინსტიტუტში ჩემთვის ჩაის კრეფა არ უსწავლებიათ. ისე გავიზარდე, ერთმანეთზე ერთი კალათი ჩაი არ მექნება მოკრეფილი. ამიტომ თავმჯდომარეს მორცხვადვე ვუთხარო უარა.

— ჩემი ნარიმანა სოფელში ჩასაგლახებლად რაღა მეშვებდა! იმდენი რა ვუთხრა კაპიტონას, იგი აქანა არ ჩავაგლახო! ქალაქში უნდა იცხოვროს! იქ დაწინაურდეს! — დანაზე ეხვოდა ბებიაჩემი მართა.

მეც ჩავედგევი ჯიბეში ცისფერყდიანი დიპლომი, წავედი ქალაქში და დავიწყე დასაწინაურებელი სამსახურის ძებნა. ბოლოს, ტურისტთა ბაზაში ექსკურსიის მძღოლის ადგილს წავაწყდი. ასეთი თანამდებობა მაშინ პირველად გავიგონე და ყურში მესიამოვნა. ეს არის, რასაც ვეძებდი, გაკეთდა ჩემი საქმე, ბედი გამომიგორდა-მეთქი, გავიფიქრე.

ინსტიტუტი ისე დავამთავრე, რომ კოლექტიურ ექსკურსიაზე არ ვყოფილვარ. ჩემმა თანაკურსელებმა ბევრი ისტორიული ადგილი მოიარეს, მრავალჯერ გატყუეს ღია ცის ქვეშ პური და ყველი, მაგრამ არც ერთში არ მიმიღია მონაწილეობა. მიყვარდა ციხე-

სიმაგრეთა ნანგრევებზე თუ მუზეუმებში მარტოდმარტო ხეტიალი, ყოველგვარი ექსკურსიის მძღოლის გარეშე.

კარგად რომ ჩაუფიქრდი ამ სიტყვას „ექსკურსიის მძღოლი“, ცოტა არ გეწყინებოდა. როგორ უნდა გავუძღვე ექსკურსიას? კარგი და გზა დამებნა, ექსკურსიის მძღოლად წყალში ხომ არ გადაცვივინ? გამოიჭირდება, ნამდვილად გამოიჭირდება... ვერ შევძლებ.

ერთი ცხადია — მე პედაგოგი ვარ და ექსკურსიის მძღოლსაც დასჯირდება პედაგოგიური ნიჭი და მომზადება. ექსკურსიანტებსაც ხომ თავისებური „აღზრდა“ ესაჭიროებათ. უნდა ელაპარაკო, უნდა აუხსნა ისე, როგორც ვაკვეთილზე მოსწავლეებს. ექსკურსიანტებს შორის იქნება ათასნაირი ხასიათის და მისწრაფების ადამიანი, სხვადასხვანაირი ცოდნითა და განათლებით. ზაფხულობით ექსკურსიაზე პროფესორებიც ჩამოდიან და აკადემიკოსებიც. მათთან საუბარი საუკეთესო სკოლა იქნება ჩემთვისაც. ასე შეიძლება იმდენი ცოდნა მივიღო, რომ დაუსწრებლად ასპირანტურაც დავამთავრო და ლექტორი გავხდე. ასრულდება ჩემი, ჩემი შშობლების, განსაკუთრებით ზეპიაჩემის ოცნება და „დავწინაურდება“.

მაგრამ ტურისტთა ბაზის დირექტორმა ლეონიდემ რომ განმიცხადა, ექსკურსიები რუსულ ენაზე უნდა ჩატარდეს და რუსული საფუძვლიანად თუ გეხერხებაო, გულის სიღრმეში რბლაც ჩამწყდა. ენათმეცნიერებაში ვისწავლე, რომ ენა ადამიანის ძირითადი იარაღია თავისი ნააზრვეის გამოსაქმლავებლად. ჰოდა, ექსკურსიის მძღოლმა თუ ექსკურსიანტთა ენა არ იცის, ისე როგორ უნდა ჩატაროს ექსკურსია, რა უნდა მოუთხროს მათ, როგორ გამოთქვას თავისი ნააზრვეი?

ჩვენში სოფელს ვერ ნახავ, ერთ-ერთი რუსული ოჯახი რომ არ იყოს. ჩვენს სოფელშიც ცხოვრობენ კრასოტკინები, მაგრამ იმათზე კარგად ზეპიაჩემი მართა ლაპარაკობდა რუსულად. სკოლიდან დაბრუნების შემდეგ გვიმჩინა ძირში ჩამოვადებული და დღედნით ვიზუალიზირებული პუშკინისა და ლერმონტოვის ლექსებს. ჰოდა, გვიმჩინა ძირში ნასწავლი რუსულით გაიბედებოდა პროფესორებთან და აკადემიკოსებთან ლაპარაკი? ახლა მეთხებო, ინსტიტუტში? ინსტიტუტში გრამატიკა ვისწავლე; რუსული ლაპარაკი კი ვერა.


მაგრამ სულიერი სიმხნევე მოვიკრიბე. დღეს ჩვენ სასწავლებლის ეპოქაში ვცხოვრობთ. დაე, მოხდეს კიდევ ერთი სასწაული — რუსულად ჩავატარო ექსკურსია! ბოლოს და ბოლოს, ხომ არ დამხვრეტენ! თუ ვერ შევძლებ, უარს მეტყვიან და ის იქნება. ისე, გაბედვა ყოფილა მთავარი, გაბედვა ნახევარი საქმის მოგებააო, ნათქვამია, და მეც ვაეკაცურად განვაცხადე, რუსული ენა საფუძვლიანად ვიცო-მეთქი. დამიჯერეს. კიდევ კარგი, განცხადება ქართულად დამაწერიეს და ექსკურსიის მძღოლად ამიყვანეს. მხოლოდ იმ პირობით, რომ ჯერ საცდელ ექსკურსიას ჩავატარებდი. შემამოწმებდნენ, გამოვდგებოდი თუ არა. გამაცნეს საექსკურსიო მარშრუტი და ობიექტები. მომცეს ჩემი წინამორბედის შედგენილი და დირექციის მიერ მოწონებული სალაპარაკო თემა, მიმითითეს გამოსაყენებელ ლიტერატურაზე და გამაფრთხილეს, ოცი დღის შემდეგ საცდელ ექსკურსიას ჩავატარებინებთო. ოც დღეში რუსულ მანქანაზე გადაბეჭდილი ოცდაათი გვერდი, კბილებით რომ შემეძება, უნდა დამეწავლა, მეტი გამოსავალი არ იყო.

პირველ რიგში ვიღაც დამხმარე, რუსულის მცოდნე უნდა მომენახა. მაშინვე ბიძაჩემი გამახსენდა, დეიდას ქმარი. იგი მეზობელ რაიონში ცხოვრობდა და მივაშურე.

ბიძაჩემს პირველად ძალიან გაუკვირდა ჩემი ექსკურსიის მძღოლობა, ისიც რუსულ ენაზე. ექსკურსიის ჩატარება ლექციის წავითხვავე უფრო რთულიაო, მითხრა. მაგრამ იგი გამოცდილი კაცია და წამახალისა: თუ მოინდომებ, მიუწოდებელი არაფერიაო. მეც არ ვიცი რუსული, კიევში სამედიცინოზე სწავლა რომ დავიწყეო.

ერთად ჩავუყვებით თემას. თავი მოვეუყარე დამხმარე ლიტერატურას. თემა სიტყვა-სიტყვით გადავთარგმნეთ. ბიძაჩემი მიკარნახებდა თარგმანს, მე ვწერდი. შემდეგ რუსულ





ლად ვცადე გადაწერა, მაგრამ არ გამომივიდა — ყოველ სიტყვაში შეცდომა დავუტყვი. მაშინ ბიძაჩემმა თავისი ხელით, მსხვილი ასოებით თავიდან ბოლომდე გავაწმენდა და დასწავლი მასალა. მის ნაწერს ნაბეჭდ ასოებზე უფრო გარჩევდი. მერე მას ვუწავლიდი და რამდენიმეჯერ ხმამაღლა წამაკითხა.

დავიწყე თემის ლექსივით დაზეპირება. დილიდან საღამომდე მაგიდას ვუჯექი და ხმამაღლა ვკითხულობდი. ჩემმა დედუნმა დეიდაჩემს სისხლი გაუწყალა და ტენი გადებოდა. სახლში ვეღარ შემოდიოდა. ბოლოს, მოთმინებულად გამოვიდა და პირდაპირ მითხრა:

— დეიდა, რომ დამჯდარხარ ამ დახუთულ ოთახში და თავს იხრჩობ, გადი პაერზე, გარეთ დაისწავლე მაგი რაღაცაა. ჩადი ბაღჩაში, ჩამოჯექი. მაგასაც დაისწავლი და ქათმებსაც დამიფრთხობ. ახალდათესილი მწვანილი არ დამიყენეს მიწაში იმ ტურის შესაქმელებმა.

ქუთაში დამიჯდა ერთდროულად ორი საქმის გაკეთება და ჩემი ადგილსამყოფელ ბოსტანში გადაიტანე.

— რომაელებმა პირველ საუთუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე დაიპყრეს შავი ზღვის აღმოსავლეთი სანაპირო... პო... რომლიანე ზახვატილი... ანი ზახვატილი... ზახვატილი ვოსტონოე პობერეჟეე ჩიორნოგო მორია... ჩიორნოგო მორია ვებრეომ ვეკე დონაში ერი... აქში, ქათამო, შე სამგლევი!.. ქორის წასაპწილებლო, უცეცხლოდ შესახრაკავო! არ ამცილდა შენი თავფეხი მე... — გავიძახოდი დილიდან საღამომდე.

კარგად რომ დავიზეპირე, შეკითხვები ჩამოვწერეთ, პასუხები გავეცით და ეს კითხვა-პასუხიც დავისწავლე.

ამ ჭაფაში მოახლოვდა საცდელი ექსკურსიის დღეც. დავნიშნე „გენერალური რეპეტიცია“. ბიძაჩემს და დეიდას ჩავუტარე პირველი ექსკურსია, გულთბილად გამოვემშვიდობე მათ და ტურისტთა ბაზას მივაშურე.

დაიწყო საცდელი ექსკურსია. ექსკურსიაზე მესწრებიან ტურისტთა ბაზის დირექტორი ლეონიდე, უფროსი ინსტრუქტორი და სხვა ექსკურსიის მძღოლები. დამაყენეს ტურისტთა კაბინეტში. კაკალ-კაკალ ჩავათავე ოცდაათგვერდიანი თემა საექსკურსიო ობიექტების მიხედვით.

— ბიჭოს, ეს ყოფილა რაც ყოფილა! — შევებით ამოისუნთქა ლეონიდე. მერე შევიტყვე, თურმე შიშით კანკალებდა, ეს რომ არ გამოგვადგეს, სხვა ექსკურსიის მძღოლი სადღა უნდა ვეძებოთ, ხვალ თუ ზეგ ტურისტები კარს მოგვადგებიანო.

მაგრამ მაინც არ მომეშენენ და შეკითხვები დაბაყარეს. დამიჯდა „დღეშაში“—ამ შეკითხვებზე პასუხები დაზეპირებული აღმომაჩნდა. მოხდა სასწაული და ენა მომიწონეს. რუსულს საფუძვლიანად ფლობსო, მახვილებს ზუსტად სვამსო, ნაკითხიაო და დაასკვნეს, რომ ახლო მომავალში ჩემგან საუკეთესო ექსკურსიის მძღოლი დადგებოდა. ის კი რა იცოდნენ, რომ ერთი შებერუნებული შეკითხვა თავდაყირა გადამატრიალებდა.

ბოლოს, ერთ-ერთ ექსკურსიის მძღოლს მოუნდა დირექტორთან თავის გამოჩენა და ქართულად შემეკითხა საერთაშორისო საკითხებზე. მგონი ისიც მწყურლად იყო რუსულზე. რაკი ქართული შეკითხვა გავგონე, მეც ქართულად ვუპასუხე და მთელი ლექცია წავიკითხე საერთაშორისო მდკომარეობაზე. ტურისტთა ბაზაში მაშინვე გავარდა ხმა, ასეთი მომზადებული ექსკურსიის მძღოლი ჯერ არ გვეყოლიაო და მეც წელში გამართული გამოვცხადდი სამსახურში. მშობლებს და ბებიაჩემს დაზღვეული წერილი გავუგზავნე: ვაკეთდა ჩემი საქმე, დასაწინაურებელი სამსახური ვ. შოვე, ლექტორობისაკენ გზა ვახსენილი მაქვს, ჩემზე არ იღარდოთ-მეთქი. ბიძაჩემს კი დეპეშით ეახარე პირველი გამარჯვება.

გავისო ტურისტთა ბაზა ტურისტებით. ვაზაფხულის აყვავილებას, მერცხლის ჭიკჭიკს მოჰყვა ტურისტთა პირველი ნაკადი. ახმიანდა მიძინებული კორპუსები, ოთხ-ოთხ საწოლიანი კარვები, მიწყნარებული ხეივნები, პლაჟი, პარკები...

და აი, ერთ დილას გამბატანეს ექსკურსიაზე ჯგუფი — ორმოცი კაცი და ქალი, როგორც წესი, ექსკურსიის დაწყებამდე რამდენიმე წუთით ადრე გავიციანი ჯგუფის ხელმძღვანელი — კაცი, სპეციალობით სამთო ინჟინერი და მისი მოადგილე — ქალი, ექსკურსიის ხელმძღვანელი. ექსკურსიანტები თითქმის ყველანი სხვადასხვა პროფესიისანი იყვნენ. ერთ-ერთი იყო ჩამოუჭრა. მაგრამ მაინც გაბედულად დაეიწყე ჩემი პირველი ექსკურსია.

დიდად შემეიწყო ხელი გარეგნობამ. ჩემმა მალაშმა, აშოლტილმა ტანმა, შავგვრემანმა სახემ, ბუნებრივად ხუჭუტუმა ბუჩქივით თმამ და შეკრებილმა ქართულმა ულვაშებმა მსმენელები მოაჯადოვა. ამას ისიც დაემატა, რომ ჯგუფში იყო ოცდათხუთმეტი ქალი, მათ შორის უმეტესობა ახალგაზრდები, გაუთხოვარნი..

მე ახლა მათთვის არ მეცალა. უკვე შემეძღა ტანში ციებ-ციხელების კანკალი. ერთი სიტყვა თუ სადმე შემიშალა, ერთი მახვილი თუ გამომჩრა, ვათავდა საქმე, ბრინჯივით დავიხრევი. ამიტომ, უპირველეს ყოვლისა, ვცდილობ. როგორმე თვალი ავარიდო ქალიშვილებს. ოღონდ პირველმა ექსკურსიამ გამიმართლოს, სირცხვილი არ გვაშო და სულ არ გავიხედავ მათკენ. ეს მერე, თუ მაინც და მაინც, სხვა დროს..

თვალწინ ბიძაჩემი მიდგას, სათვალის ზემოდან ჭროლა, გაღიმებული თვალებით მიყურებს და ყურში იმედინად მეჩურჩულებს: ხომ გახსოვს, რა გითხარი? მთავარია, არ აჩქარდე. აჩქარებით და დაუფიქრებლად თქმას, რომ არ თქვა, ის სჯობია. არ შეგეშინდეს..

მეც არ შემეშინდა და დავიწყე.

— ამხანაგებო, ჩვენი ექსკურსია ჩატარდება ფეხით... გაგრძელდება... ჰო, გაგრძელდება ხუთ საათს. ექსკურსიის დაიწყებთ სასაფლაოდან..

სასაფლაოს ხსენებაზე ზოგიერთებმა ჩაიფხუჯუნეს. ალბათ, არ ელოდნენ ასე ადრე სასაფლაოზე გამგზავრებას. ამ ჩაფხუჯუნებამ დაზეპირებული სიტყვები ენის წვერზე შემეძინა.

— რა გეცინებათ?.. ეს ასეა. ექსკურსია ჩვენს ქალაქში ყოველთვის სასაფლაოდან იწყება. იქ არის გმირი რევოლუციონერების ძმათა სასაფლაო, — დამეხმარა ფოტოგრაფი იოსკა, რომელიც შეუმჩნევლად შემოგვმატებოდა.

როგორც წინდაწინ ვადმოშვებ, იოსკა თხოთმეტი წელია მსახურობს ამ ტურისტთა ბაზაში, ათობით ექსკურსიის მძღოლისათვის მოუსმენია და ძლიერ მომზადებულია. რუსულად ჩინებულად ლაპარაკობს. თავისუფლად შეუძლია ექსკურსიის ჩატარება, მიუხედავად იმისა, რომ საშუალო განათლებაც კი არა აქვს.

ფოტოგრაფის დახმარებამ წამათამაშა და განვაჯარქე:

— სასაფლაოდან წავალთ ნავსადგურში, მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, რევოლუციის მუზეუმში, პიონერთა პარკში, ზღვისპირა პარკში, ბოლოს კი დავათვალიერებთ ქალაქის გარეუბანში შემორჩენილ ისტორიულ ციხე-სიმაგრეს და დავბრუნდებით უკან, ტურისტთა ბაზაში. მანძილი ექსკურსიისა ცხრა კილომეტრია. — ჩავაბუღებულე დაზეპირებული გეგმა და თავისუფლად ამოვიხუნთქე. ექსკურსიანტები პირდაპირი მონჩეობით დიდნენ. შევატყვე, ბევრი ვერაფერი გამიიგეს.

— ამხანაგებო, ყველაფერი გასაგებია. მართალია, ქართულად ვერ ვლაპარაკობ, მაგრამ ზოგი რამ მესმის ქართულად. თბილისში სამ თვეს ვისვენებდი გასულ წელს. გზადაგზა თარჯიმნობას გავწეე... — გაისმა ჩემს ახლოს ქერა ქალიშვილის წკრილა ხმა.

— ხელს ნუ უშლით ექსკურსიის მძღოლს, თვითონ განაჯარქოს, — მოითხოვა დის-ციპლინის დაცვა ჯგუფის ხელმძღვანელმა, სამთო ინჟინერმა ბორის ბორისის-ძემ.

რადაცის თქმა დავაპირე, მაგრამ გამშრალ პირში ენა ვერ მოვაბრუნე. აღარ ვიცოდი რა მეთქვა. სასაფლაომდე კილომეტრზე მეტია და რადაც ხომ უნდა გვეთქვა. მე კი დავმუნჯდი, რადგან ჩემი სალაპარაკო თემა მხოლოდ სასაფლაოდან იწყებოდა. ავანსად ხომ ვერ ვილაპარაკებდი ძმათა სასაფლაოზე.

ტურისტებში ატყდა ჩურჩული: „რა თავდაპირველი ექსკურსიის მძღოლი გვყავს!“ „როგორი სერიოზულია!“, „მორცხვია, ორ სიტყვას ერთად ძლივს ამბობს“, „თურმე უმაღლესი განათლებით ყოფილა“, „უტოლოა“.

— მასხრობა და ენის ტარტალი კულტმუშაკის საქმეა, ეს კი ექსკურსიის მძღოლია, სადაც საქირთა და სადაც გეგმითაა გათვალისწინებული, იქ ილაპარაკებს. — დამიჯვარდითა და თვითონ იყისრა ექსკურსანტების გართობა. პატარა გაფხეკილ მარტოებს, აპარატებით და ფოტოფირებით რომ ჰქონდა გაესებული, დოლივით ააბრუნებდა. ცეკვა „ქართულიო“, დაიძახა.

ამ შეძახებამ ტურისტები გამოაცოცხლა. ერთი მათგანი წინ გამოიჭრა და ჩამოუარა, მაგრამ „ქართული“ არ გამოუვიდა, „დოლის“ ტემპერამენტიან რახუნს ფეხი ვერ შეუწყო, შერცხვა და შეჩერდა.

— აბა, „ქართული“ იცეკვეთ, „ქართული“, საქართველოში ხართ! — ხმას აუწია ფოტოგრაფმა და ჩემოდანს კიდევ უფრო თავგამოდებით დასცხო.

— ვთხოვთ ექსკურსიის მძღოლს იცეკვოს, — მომესმა ზურგს უკან, მგონი, იმ ქერა ქალიშვილის ხმა.

— აბა, განი, განი, ექსკურსიის მძღოლს მიცევეთ გასაქანი! — დასწყვილა იოსკამ ალბათ. ვგონა, რუსულ ლაპარაკზე უფრო ცეკვა ვიცოდი და საშუალება მომცა თავი გამომეჩინა.

— შეჩერდით! რა დროს ცეკვა! ეს ხომ ექსკურსია! — მოინდომა ჯგუფის ხელში დაქვერა ბორის ბორისის-ძემ, მაგრამ მისი ხმა უკვე აღარ ისმოდა. ატაკუნდა ტაში. ჯერ აქა-იქ კანტი-კუნტად, შემდეგ კი შეწყობილად და შუა წრეში შემავდეს საცეკვაოდ.

მოგეცათ ლხენა, ვიშოვე საქმე! რუსული ლაპარაკი არ ვიცი, თორემ ცეკვა კი მებერებდა. აბა, რის ქართველი ვარ, ქართულად თუ ვერ ჩამოვუვლი! ცეკვასაც ხომ ლაპარაკი არ უნდა. ზედ სასაფლაოს კარებთან კისერი სასიძოსავით განზე მოვიღერე და ჩამოვუარე.

ექსკურსანტებს ტაშის ცემით ხელები ვაუხურდათ. ვიღაც ახსოვს ექსკურსია და ძმათა სასაფლაო.

ჩემი ნიჭიერებით აღტაცებულმა იოსკამ ჩემოდნის ბრაზუნი ცალი ხელით განაგრძო, მეორეთი კი ფოტოაპარატს დაუწყო ჩხაკენი. აზარტში შესულ ტურისტებს და მე ათასნაირად გვიღებდა სურათებს. როგორც თვითონ ამბობს, თავის „გეგმას ასრულებდა“.

თმა ამეწეწა, გამოიფლიანდა და თვალებზე ჩამომამწვა, მაგრამ მაინც არ ვეშვებოდი ცეკვას, თან ზოგჯერ შევიძახებდი ომახიანად: „ასა!..“

— ასა! — გაისმოდა ბასუხად ტურისტების ძახილი.

მთელი ნახევარი საათი გაგრძელდა ეს ცეკვა-თამაში. შორიდან თალხებიანი დედაკაციები გამოჩნდნენ და ამან მომიყვანა გონს.

სასაფლაოზე შევედი და ექსკურსანტები მაშინ დაინტერესდნენ ჩვენი მარშრუტის პირველი ობიექტით. აღარ დამაცალეს, სანამ გაზუპირებული თემის მიხედვით დავიწყებდი საუბარს და დამაყარეს შეკითხვები:

— პატრიცეპტლო ექსკურსიის მძღოლო, რომელია აქ „ძმათა სამარხი?“ — იკითხა ერთმა ხანშიშესულმა ქალმა.

უსიტყვოდ მივუთითე.

— „ძმათა სამარხის“ გვერდით რომ მარმარილოს ძეგლებია, ვისია? ეტყობა, აქაც ცნობილი ადამიანები არიან დამარხული. — იკითხა მეორემ.

— კერძო სამარხებია. — დამეხმარა იოსკა ფოტოგრაფი.

— კო, მაგრამ ასე ძვირფასი?! თვითელი ათასი მანეთი მაინც დაჯდებოდა. თქვენში ნამდვილად მდიდრულად ცხოვრობენ. ჩვენში ასეთ კერძო სამარხებს ვერსად ნახავთ. — გამოთქვა აზრი მესამემ.

— ეს მარმარილო სადაურია? — მკითხა ბორის ბორისის-ძემ.

— სასაფლაო ქრისტიანულია თუ მამადიანური?.. — აინტერესებს ქერა ქალიშვილს. მე ისე ვდუმდი, თითქოს-ორივე ტურისტს ვემღეროდე.



ისევ იოსკა ფოტოგრაფმა გამოიღო თავი და დაიწყო ლაპარაკი „ძმთა სამარხზე“ კერძო სამარხებზე, ქრისტიანობაზე... ასე თუ ისე, დაემყოფილა ცნობისმოყვარეობა ტერესი, მაგრამ ვერაფრით ვერ მოიგონა საქართველოს რომელ რაიონში მოხდა მამბარილო. აღარც მე გამახსენდა, თორემ ქართულად მაინც გადავვლია მამბარილო ექსკურსანტებმა ერთი კარგი სახლის ოდენა საფლავზე დამგლოვიარებული მამაკაცი შეამჩნიეს, ვარს შემოერთებენ და შეკითხვები ჯერ ნელ-ნელა, შემდეგ კი ხოშკაქალივით დააყარეს.

- რატომ არის თქვენში სამარხზე ასე ძვირფასი ძეგლები?
- როდის და რით მოგიკვდათ შეილი?
- რა საშუალებით აავით ასეთი ძეგლი სამარხზე?
- რისთვის გაქვთ წვერი მოშვებული?
- რატომ გაცივათ შავი ტანსაცმელი?
- რატომ ატარებთ შეილის პორტრეტს?

ჩემს ბედზე უცნობი არ ღაიბნა. იგი საკმაოდ გამართულად ლაპარაკობდა რუსულად. ნაკითხი ჩანდა. უნაბო, რომ ძვირფასი ძეგლის დადგმა სამარხზე მოცულებულის ხსოვნის დიდ პატივისცემას ნიშნავს, რომ წვერის მოშვება და შავი არშია მკვლავზე ისეთივე გლოვის ნიშანია, როგორც შავი ფერის ტანსაცმელი.

მე კვლავ ვდუმდი ენაგადაყლაბულივით.

საქვეში ისევ იოსკა ჩაერია და ექსკურსია წაიყვანა. მე უკვე მსმენელად თუ მოწმედ გადავიქციე. ტურისტებმაც შეანელეს ჩემდამი ყურადღება და ცოტა შვება ვიგრძენი.

ზღვის სანაპიროზე გავედით. ნიავმა გახურებული შუბლი გამიგროლა. ნახსადვტრს ჩავუარეთ. თავი განგებ უკან ჩამოვიტოვე და ექსკურსია მთლიანად იოსკას შევეტოვე ხელში. მაგრამ ცნობისმოყვარეთა თვალს მაინც ვერ დავეშალე. ერთი შეთვალწარბა გოგო, რომელიც, ალბათ, პირველად ხედავდა ზღვას, ამეკიდა და აღარ მოშვდა. თანაპირ შეკითხვას მაძლევდა, თან ხელებს იშველიებდა. ზოგ შეკითხვას მიუხვდი და ერთსიტყვიანი წინადადებებით ვუპასუხებდი. ჩვენს შორის გამართული დიალოგი დაახლოებით ასეთი იყო:


- რამდენი მეტრია შავი ზღვის სიღრმე?
- საშუალოდ ათას ორასამდე მეტრი (ასე ეწერა თემში).
- მაქსიმალური?
- 2244 მეტრი. — ესეც ვიცოდი თემიდან.
- მაქსიმალური სიგრძე?
- 1148 კილომეტრი.
- მაქსიმალური სიგანე?
- 615 კილომეტრი.
- რამდენი ჯიშის თევზი ცხოვრობს შიგ?
- ???

— არ იცით? — არ მეშვებოდა შეთვალწარბა ქალიშვილი.

აბა რა ვიცი, რამდენი ჯიშის თევზი ცხოვრობს შავ ზღვაში? ეშმაკს წაუღია ყველა! თევზი საშველადაც მენზარება, ამან კი ჯიშებზე დამიწყო ლაპარაკი! მე ხომ ბიოლოგი ან ზოოლოგი არა ვარ: არადა, პირში მომჩერებია, პასუხის გაუცემლობაც არ შეიძლება. ვითომ ვერ გავიგონე, წაყრუება ვცადე, მაგრამ გავიგონია? თევზის ჯიშებს რომ დაუჭირა თეზი, აღარ მოეშვა. სამჯერ გამიბეორა შეკითხვა. იძულებული გავხდი, სიცრუე მეტყვა.

— შავ ზღვაში... შავ ზღვაში ოცდაათამდე ჯიშის თევზი გეხვდება... — თუ არ დამიჭერებს, ჩავიდეს შიგ და დათვალოს.

ალბათ, ფოტოგრაფმა გაჭირვება შემამჩნია და სვლა შეანელა. ჩემი პასუხი რომ გავიგონა, ქართულად შემისწორა:



— შავ ზღვაში 169 ჯიშის თევზი გვხვდება. დაიმასხოვრე. შემდეგში გამოვალა...  
 და შეგვერემანი გოგო ტკბილი სიტყვებით სურათის გადასაღებად გაიტყუა.  
 მეშველა-მეთქი, გაიფიქრე, მაგრამ ახლა მეორე, უფრო საწინაშესული ტყუილი  
 თამორის“ შემეკითხა:

— რამდენ მეტრის სიღრმემდეა სიციცხლე შავ ზღვაში?  
 — ???

რა მაინც და მაინც შავ ზღვას ჩააჩემდნენ! თემაში არაფერი ეწერა შავ ზღვაში  
 სიციცხლის შესახებ. მალე, ალბათ, იმასაც შემეკითხებიან, რატომ ჰქვია ზღვას ზღვა და  
 რამდენია ადამიანთა შიგ ჩამხრჩვალი.

იმ ქალის შეკითხვა უპასუხოდ დავტოვე და ნაბიჯს ავუჩქარე.  
 წინ წასულ ტურისტებს დავეწვიეთ.

იოსკა ფოტოგრაფს უკვე დავმთავრებინა სურათების გადაღება, თავისი „გეგმა შე-  
 უსრულდება“. მხარეთმცოდნეობის მუზეუმში რომ შევედით, იგი თავისი სახლისაკენ გა-  
 იქცა, რომ სურათები თავის დროზე დამეზადებინა. რევოლუციის მუზეუმშიც დავათვალი-  
 ერეთ. მუზეუმებში ადგილობრივი ექსკურსიის მძღოლები ესაუბრნენ ტურისტებს და  
 ამით დიდი შეღავათი მომცეს.

შემდეგ ქალის პარკებს მივადექით და დავრჩი ისევ ღვთის ანაბრად.

გაზაფხულის მცხენვარე მზე აჭერს. ბიძაჩემის გამამხნევებელი ხმა ჩამესმა ყურში  
 და გამბედაობა მოვიკრიბე. ექსკურსანტები საზაფხულო თეატრის ლამაზ შენობასთან შეე-  
 კრიბე და დავიწყე საუბარი ქართველი ხალხის ისტორიულ წარსულზე. ასე იყო გეგმით  
 გათვალისწინებული.

მთელი საათი ვილაპარაკე, ბევრჯერ შემეშალა. ბევრი რამ გამომჩინა. ბევრჯერ შეე-  
 ჩერდი. ბევრჯერ ამიკანკალდა ხმა... ისინიც დავტანჯე და მეც დავიტანჯე, მაგრამ დამთავ-  
 რებით მაინც დავამთავრე. შეკითხვები აღარ მოუციათ. აშკარად ჩანდა, ვერაფერი გამი-  
 გეს და რას შემეკითხებოდნენ. ქერთამიანმა „თარჯიმანმა“ სცადა თავისი ოსტატობის გა-  
 მოჩენა, მაგრამ ბევრი რამ, ალბათ, მანაც ვერ გაიგო და მალე გაჩუმდა. საკვირველი ის  
 იყო, რომ ტურისტები მაინც კმაყოფილი დარჩნენ, ალბათ, საზაფხულო თეატრის შესანიშ-  
 ნავმა არტიტექტურამ მოხიბლა ისინი.

ბოლოს, ისტორიული ციხე-სიმაგრისაკენ ვავემართეთ. ესაა ბოლო ობიექტი და შემ-  
 დეგ სულსაც მოვიტყვამ. მივადექი ხავსმოდებულ კედლების ნანგრევებს. აქაც გამოვიდე-  
 ვი თავი და დავიწყე ციხე-სიმაგრის გმირული წარსულის მოთხრობა. დავიწყე, მაგრამ...  
 უთავბოლოდ დაუბეირებული მასალა ველარ დავაწყვე. ეს ჩემი „თარჯიმანიც“ რომ პირ-  
 დაპირ სახეში შემომტკეპრის. მერე და რა საოცარი თვალები აქვს: ზღვისფერი, შავი  
 ზღვისფერი და ზღვასავით უძირო; გონება ამირია ამ თვალებში. მთვრალივით ვბლუჯუ-  
 ნებ:

— თქვენს წინაშეა უძველესი ციხე-სიმაგრე. ეს ციხე-სიმაგრე არის უძველესი სა-  
 ქართველოში. ეს არის უძველესი ციხე-სიმაგრე... ციხე-სიმაგრე უძველესია.

შემდეგ აღარ მახსოვს რა ვთქვი. ექსკურსანტები ჯერ მისმენდნენ, მერე ილიმბოლ-  
 ნენ, შემდეგ აქეთ-იქით მიმოიფანტნენ.

— ეეხ, სად ხარ, შე ოჯახქორო იოსკა ფოტოგრაფო! რა შიგარბენინებდა სახლში!—  
 რად მიღირს ახლა შენი თავი!..

ყველა მხრიდან მესმის როგორ ეკითხებიან ტურისტები ერთმანეთს:

- ხედავთ, რა ციხე-სიმაგრე ყოფილა ერთ დროს?
- რა სქელი კედლები ჰქონია!
- რა ჰქვია ნეტავი?!
- ვინ ააშენა?
- როდის ააშენა?
- რისთვის ააშენა?



- ვინ დაანგრია?
- როდის დაანგრია?
- რისთვის დაანგრია?

მინდა პასუხი გავცე, მაგრამ სიტყვა ყელიდან არ ამომდის. ნეტავი, არავისთვის ვხუჭავ ნებნა ეს ციხე-სიმაგრე, ანდა, ვინც დაანგრია, ძირფესვიანად დაენგრია, ტანჯველში აღარ ჩავევარდებოდი.

ზეციურ ხატებასავით წამომჩვენა ბიძაჩემი. ოღნავ მოჭუტული, ქროდა თვალებით სათვალის ზემოდან გადმომხედა და თითი დამიჭინა: — არ დაგავიწყდეს, რაც გითხარი. მთავარია ვამბედაობა. არ შეგეშინდეს. არ დაიბნე. თუ სიტყვებს ვერ მოუყარო თავი, ხელები მოიხმარი, გაიცინე, გადაიხარხარე კადევაც. მხოლოდ სულელურად არ გამოგივიდეს, და როგორც მსმენელთა ყურადღება მიიპყარი. ჰოდა, მეც გამოვნახე უხერხულობიდან თავის დასაღწევი საშუალება. სიტყვამ თუ არ გასჭრა, ვაჟაკობა გასჭრის-მეთქი და ციხის ციკაბო კედელზე მთამსვლელივით ავალაქე. ათი მეტრის სიმაღლიდან მედიდურად გადმომხედე ტურისტებს და ხელით ვანიშნე, ვინც ვაჟაკი ხართ, ჩემთან ამოდით-მეთქი. ქანდაკებასავით ვიდექი ათასწლოვან ციხე-სიმაგრის ხავსმოდებულ თაღზე, მეჩხერი კბილებივით აქა-იქ შემორჩენილ კედლების ნანგრევთა შორის და ხელებგაშლილი გადავყურებდი ჩემს წინ გადაკიმულ შავი ზღვის სანაპიროს. ესეც არ ვაქმარე, რამდენიმე მეტრი გავირბინე სქელ კედელზე გამობრძმედილი ჯამბაზივით.

ექსკურსანტები პირდაღებული შემომიქეროდნენ. უყვირდათ, ეს რა ვაგბედილი ვაჟაკი ყოფილა, როგორ თავისუფლად დასეირნობს ამსიმაღლეზეო. ზოგიერთებს შეიძლება ეჭვიც შეეპარათ, ექსკურსიის მძღოლი ხომ არ გაგაყდა, თავს რომ იმტვრევსო.

უფრო ხანშიშესულებმა ხელით მანიშნეს, ქეუთი იყავი, არ გადმოვარდევო. ქერა ქალიშვილმა მოინდომა ჩემთან ამოსვლა, ორიოდ მეტრზე კიდევ ამობობლდა, მაგრამ მეტი ვეღარ გაბედა და ქურციკივით უკან გადახტა.

ბორის ბორისის-ძემ ხელი შეაშველა მას და მეც მანიშნა, ჩამოდით. ვილაც ფოტომოყვარულმა სურათი გადამიღო ასე, ციხის კედელზე წამოკიმულს.

ჩემმა ვაგბედაობამ მართლაც გასჭრა. ყურადღება მივიქციე. ახალგაზრდები ჩემს ფეხთ ქვეშ მიდიოდნენ, „რა გულმაგარი ყოფილხარო“, ამომძახოდნენ. ამან გამათამაშა და რამდენიმე წინადადება წარმოეთქვი ამ ციხის ისტორიული წარსულიდან. მათ ჩემი სიტყვები ვერ გაიგონეს. რომც გაეგონათ, რა თქმა უნდა, ვერ გაიგებდნენ, მაგრამ ჩემი გულმაგრობა, ციხის ქონგურზე თავადერილი ღვომა და გაშლილი ხელები ისე მოეწონათ, რომ ტაშითაც კი დამაჯილდოვეს.

როგორც იყო, მოვშორდით ციხე-სიმაგრის ნანგრევებს. ექსკურსანტები კმაყოფილებით შემომიციოდნენ.

დავიღალე ამდენი სიარულით, მაგრამ სწორედ ამ დაღლილობამ გამათამაშა. ჩემთვის ახლა ყველაფერი სულერთია. ხვალ ამითან შემხვედრი მაინც არა ვარ. რასაც დაეინახავ, ყველაფერზე ვლაპარაკობ. ვლაპარაკობ, როგორც მომეპრიანება. კულტურის სასახლეს გავუარეთ და ვაცნობე „ეტა სამი ბოლში კულტურნიი დვარეც“.


— რა ვუყოთ მერე! ადამიანს არ ეხერხება რუსულ ენაზე ლაპარაკი. რა გეცინებათ? ხომ მიხვდი, რისი თქმა უნდაო! — დამიცვა ქერა ქალიშვილმა.

ამ ტანჯვა-წვალებაში გავიდა ხუთი საათი და ტურისტთა ბაზაში დავბრუნდით. ჩემი პირველი ექსკურსია დამთავრდა.

შოშით ვკანკალებ. ვფიქრობ, ახლა ეს ტურისტები ღირექტორთან შეცვივდებიან საჩივრებით. ღირექტორი კი გამომძახებს, გამათახავს და სამსახურიდან დამითხოვს.

ჩემმა განსაცვიფრებლად, ისინი მაღლობით გამომემშვიდობნენ. ღიმილით მიქნევდნენ ხელს.

სადლოს შემდეგ ისევ მომეგებნენ, გარს შემომეხვივნენ, არ გამართვეს საშვილო და დაიწყეს სათითოდ ვაცნობა და გულანდილი საუბარი. მათ ლაპარაკს სანახევროდ ვერ ვხვდებოდი. უნერხულად ვუქნევიდი თავს. „თარჯიმანმა“ გამოიღო თავი და ბევრჯერ ვუთხარი: „გაგაგაგა“



რაც მივხვდი, დაახლოებით შემდეგი იყო:

— მე სამთო ინჟინერი ვარ, — დაიწყო ჯგუფის ხელმძღვანელმა პორის ბორისის-ძემ. — ათი წელია ციმბირში ვმუშაობ, ტაიგაში, ვიკლკეთ მის საიდუმლოებას.

— მე გეოგრაფი ვარ, — ჩაილაპარაკა იმ შავგვერდმანმა ქალიშვილმა, ექსკურსიის დროს საქმე რომ გამიჭირვა შავ ზღვაზე შეკითხვებით.

— მე — გეოლოგი.

— მე — ქვანახშირის მნგრეველი.

— მე — ლიტერატორი, ყურნალისტი.

— მე — მშენებელი ინჟინერი.

— მე — ბულალტერი.

— მე — ბალეტის მსახიობი.

— მე — ეკონომისტი.

— მე ენათმეცნიერი უნდა გავხდე, ლინგვისტი. ასპირანტურაში ვსწავლობ, — და აბოლოვა ქერა ქალიშვილმა და წამოიწყეს დღევანდელი ექსკურსიიდან მიღებული შთაბეჭდილების გაზიარება. უფრო სწორად, ჩემი პირველი ექსკურსიის გარჩევა.

ლიტერატორი მიჩნევს: ბევრი ვიკითხო რუსული წიგნები, ყურნალები, გაზეთები. იკითხეთ ხმამაღლა, სწერეთ მოკლე შინაარსები. მახვილებს მოაქციეთ ყურადღება, ხშირად ერთი გინდათ თქვათ და გამოვლით მეორე. სქესებს ვერ არჩევთ. ბრუნვები გეშლებათ. ნაწილაკები გავიწყდებათ.

ბორეს ბორისის-ძე ამბობს: უნდა შეისწავლოთ თქვენი რესპუბლიკის წიაღისეული სიმდიდრე. მათი განლაგების რაიონები. მაგალითად, მე ძალიან მაინტერესებს სად მოიპოვება ის მაღალი ხარისხის მარმარილო, სასაფლაოზე რომ გამოუყენებიათ ძველების ასაშენებლად.

გეოგრაფი უმატებს: უკეთესად უნდა იცოდეთ თქვენი მხარის გეოგრაფია. შავი ზღვის თავისებურება, აქაური ჰავა და ნალექების ცვალებადობა...

მშენებელი ინჟინერი ხაზს უსვამს: უნდა გამოარკვიოთ, რა მასალებითაა აშენებული ის უძველესი ციხე-სიმაგრე, საუკუნეებისათვის რომ გაუძლია. ამ საკითხზე კაცმა შეიძლება მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი დაიცვას.

ბულალტერმა შენიშნა: ექსკურსიის დროს საქირთა დროის უფრო სწორად განაწილება. მაგალითად, ჩვენ ბევრი ვიარეთ ქალაქის ქუჩებში, პარკებში კი, ამ ულამაზეს ადგილებში — ცოტა. ეს გაითვალისწინეთ შემდეგში.

ქვანახშირის მნგრეველმა დამარიგა: ერთხელ მალაროშიც უნდა წაიმუშაოთ. თქვენი თვალით უნდა ნახოთ იმ ქვანახშირის მონგრევის პროცესი. თქვენი ნავსადგურიდან რომ გააქვთ სხვადასხვა ქვეყანაში. შეისწავლეთ საქართველოს მალაროები. ექსკურსიის დროს სალაპარაკო მასალად გამოგადგებათ.

ბოლოს, ბალეტის მსახიობმაც გახსნა ბაგენი: თქვენ შესანიშნავად ცეკვავთ. პირდაპირ მოგვაჯადოვებთ ტემპერამენტისი „ქართულით“.

ჩემი ცეკვა მართლაც ყველას მოსწონებოდა. ამას ერთხმად აღიარებდნენ. მე კი ხმას ვერ ვიღებდი. თავს ისე ვგრძნობდი, თითქმის მძიმე დანაშაულით სასამართლოს წინაშე ვიჯექი.

როგორც იქნა, გული მოიჯერეს ჩემს პირველ ექსკურსიაზე მსჯელობით.

ისევ ქვანახშირის მნგრეველმა გამომიგრა გული:

— თქვენი ექსკურსია მინც მოგვეწონა, ყველა მონაცემი გაქვთ ექსკურსიის მძღო-

ლისა. რაც მთავარია, გაბედული ხართ. ამაში თქვენმა ციხის კედელზე ასვლამ დაგარწმუნა. მთავარია არ შეუშინდეთ საქმეს. პირველად მადაროში რომ შემიყვანეს, მაშინ უკან გამოვიქეცი. ახლა კი იგი სასერიანო მოედნად მიმაჩნია. რაც შეეხება თქვენს ჩუქურჭულს, ნეტავი ჩვენც ასე ვიცოდეთ ქართული, მოხარული ვიქნებოდით.

— ეს არაფერია. თავის თავზე უნდა იმუშაოთ, ყოველდღიურად იმეცადინოთ და დაძლეეთ ენას. მე ოც დღეს ვრჩები კიდეც აქ და, თუ გნებავთ, წაგამეცადინებთ. ბევრს დაეხმარებივარ სტუდენტობის დროს. მიყვარს სხვებისთვის დახმარება, — გააპო სქელი ბაგეები ქერა ქალიშვილმა, გამიღიმა და მარცხენა თვალი წასახალისებლად ოდნავ ჩამიკრა.

იმ საღამოს სეზონის გახსნასთან დაკავშირებით ტურისტთა ბაზაში დიდი ბალ-მასკარადი გაიმართა. ქალიშვილები თურმე მე დამეძებდნენ, ჩემთან უნდოდით ვცეკვოთ. მე კი ამ დროს საწერ მაგიდას ვუჯექი და ხმამაღლა ვიზებირებდი ახალ-ახალ რუსულ წინადადებებს, რომ მეორე ექსკურსიაზე უფრო წელგამართული ვყოფილიყავი.

საღდაც გულის კუნჭულში ვგრძნობდი, რომ ჩემი პირველი ექსკურსია გამარჯვებით დამთავრდა.





ხელმოწერილია დასაბეჭდად 24/VIII. 1963 წ. საბეჭდი 6. საგამომცემლო 5 თაბახი.  
შეკვეთის № 4980, ემ 00619. ქალაქის ზომა 60X92. ტირაჟი 2.600.

\* \* \*

საქ. სსრ კულტურის სამინისტროს მთავარბიბლიოგრაფიკომცემლობათა  
სამმართველოს ბათუმის სტამბა-ლითოგრაფია  
(ლუქსემბურგის, 22)

ფანე 40 333.

1257



წერილობითი  
კავშირები

ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ  
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

„*ლიტერატურული აჯარა*“

ОРГАН АДЖАРСКОГО ОТДЕЛЕНИЯ  
СОЮЗА ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ

ИНДЕКС 76118